

# ბურჯი ეროვნებისა

№8-9

1998

ბესარიონ
ჟღორბენაძის
საზოგადოების
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგი-
ილე
იოსებ ჭუმბურიძე

პასუხისმგებელი მდივანი
კახა გაბუნია

რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი ავალიანი

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობაიშვილი

სარედაქციო საბჭო
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჯულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ლევინჯილია,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჟღორბენაძე

მორიგე რედაქტორი
ნინო კვანტალიანი

„ბურჯი ეროვნებისა"
რეგისტრირებულია საქართველოს
იუსტიციის სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

მაგრამ რადგანაც
კაცნი გვქვიან.
შვილნი სოფლისა.
უნდა კიდეცა
მივდიოთ მას.
გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა.
რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს.
იყოს სოფელში
და სოფლისთვის
არა იზრუნოს!

ნიკოლოზ ბარათაშვილი

# შინაარსი


**სახელმწიფო ენა**

რას აკეთებს ენის სახელმწიფო პალატა? (ლ. ღვინჯილიას ანგარიში) ........ 2

**არნ. ჩიქობავა 100**

არნ. ჩიქობავასა და ქ. ძოწენიძის მიმოწერა........ 8

**ახალმოწამენი**

**დ. მელიქიშვილი, ს. ჭანტურიშვილი –** წმინდა მღვდელმოწამენი – ქუთათელ–გენათელი მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდელო კრებული ........ 9

**უკვდავება ღვაწლისა**

**ვ. იმნაიშვილი** – ქურუმი დედაენის ტაძრისა 13

**ფრთხილად, „დედაენაა"!!!**

**ნ. მაღლაკელიძე** – ექსპერიმენტები გრძელდება, შედეგები რთულდება... ........ 18

**აბიტურიენტის ფურცელი**

თ. შარაბიძე – ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ........ 22

**ციკლიდან: დაფანტული დღიურები**

გ. ცოცანიძე – მზევინარი ........ 26

**მცირე რეცენზია**

კ. გაბუნია – ქართული ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი ........ 28

**სიტყვის წიაღი**

ნ. ბართაია – ფერეიდნული ლექსიკიდან ........ 29

**გამოთხოვება** ........ 30

**ახალი წიგნები** ........ 32



ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№8–9

1998




*უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.*

*იაკობი*


გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



როცა ქართული ენის პრობლემებზე ვმსჯელობთ, მისი კონსტიტუციური სტატუსი თუ ფუნქციონირების საკითხები გვაფიქრებს, უეჭველად გაჩნდება კითხვა:

# რას აკეთებს ენის სახელმწიფო პალატა?

ამ კითხვას, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ წინამდებარე პუბლიკაცია უპასუხებს: ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე ბატონი

**ლევან ღვინჯილია**

1998 წლის 26 აგვისტოს ანგარიშით წარდგა საქართველოს მთავრობის წინაშე. ვაქვეყნებთ ამ ანგარიშის სრულ ტექსტს.

„ქართველი ხალხი შეიძლება მისმა ენამ გადაარჩინოს. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო იმის გაგება, რომ ხალხმა, რომელიც მხოლოდ 5 მილიონს ითვლის და ამბობენ, უფრო ცოტასაცო, შეძლო თავისი ენა შეენარჩუნებინა. გვერდიდან რომ უყურებ, ეს მომენტი თვალში საცემია. თუ ქართველებმა ასეთი მნიშვნელოვანი რამ შეინარჩუნეს, ისინი თავიანთ სახელმწიფოსაც მოუვლიან" (საქართველოში ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ცან თუნ (ცუანი).

შესაძლოა, საანგარიშო მოხსენების შესავალი ნაწილი რამდენადმე არატრადიციულად გამოიყურებოდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩინელმა დიპლომატმა ზუსტად გამოხცა ენის მნიშვნელობა ქვეყნის ერთიანობისა და სახელმწიფოებრივი სიმტკიცისათვის. ბატონი ელჩი იქვე დასძენს: – „ჩვენ მილიარდ ორასი მილიონი ვართ, ვთქვათ და, თუ ასმა მილიონმა ჩინელმა დაკარგა ენა, კიდევ მილიარდ ასი მილიონი რჩება. ენა ჩინელებისათვისაც ბევრს ნიშნავს. ჩვენ არა მარტო გვიყვარს ჩვენი ენა, მას აქტიურადაც ვავითარებთ" (გაზეთი „ალია", №125, 20 ივლისი, 1998 წ.).

საქართველოში სახელმწიფო ენაზე ზრუნვა ისტორიულად ერთ-ერთ პრიორიტეტულ პოლიტიკურ საკითხად ითვლებოდა, რის შესახებაც საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის მეფე ფარნავაზის მესტორიე, ასევე გიორგი მერჩულე – გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმწერელი.

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ენობრივი პოლიტიკა ერთგვარი გაგრძელებაა ხსენებული ისტორიული ტრადიციისა.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში არსებობდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია", რომელსაც ყოველთვის სათავეში ედგა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

დღეს „სახელმწიფო ენის მუდმივ სახელმწიფო კომისიას" სათავეში უდგას ქვეყნის პრეზიდენტი.

1997 წლის 24 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა „ენის სახელმწიფო პალატა", როგორც საქვეუწყებო სახელმწიფო აღმასრულებელი სტრუქტურა, რომლის სამოქმედო ამოცანები განისაზღვრა პრეზიდენტის ბრძანებულებითვე 1997 წლის 29 აპრილს დამტკიცებული დებულებით.

პალატა ანგარიშვალდებულია ქვეყნის პრეზიდენტის წინაშე.

დებულების შესაბამისად იგი ახორციელებს სახელმწიფო ენობრივ პოლიტიკას.

საანგარიშო პერიოდი არსებითად მოიცავს დროის მონაკვეთს 1997 წლის აპრილიდან – დღემდე – ანუ წელიწადსა და 4 თვეს.

იმთავითვე 20 საშტატო ერთეულით განისაზღვრა პალატის ცენტრალური აპარატი, რომელიც ფინანსდება ქვეყნის ბიუჯეტიდან.

სამსახური დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. თავმჯდომარეს ჰყავს ორი მოადგილე – ვახტანგ (გოჩა) ხუნდაძე და მიხეილ ჩიკვილაძე. თანამშრომელთა ფუნქციური მოვალეობანი განსაზღვრულია პალატის თავმჯდომარის მიერ.

რამდენიმე სიტყვით ენის სახელმწიფო პალატის ადგილობრივი სტრუქტურების ფორმირების პროცესის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის ზემოხსენებული ბრძანებულებით დაევალათ „მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს შესაბამისი რეგიონული სტრუქტურების შექმნით ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ენის სახელმწიფო პალატის საქმიანობას, ენის სახელმწიფო პალატის რეგიონალური ქვედანაყოფები ჩამოყალიბდეს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით (ორმაგი დაქვემდებარების წესით)".

რეგიონალური სტრუქტურების ჩამოყალიბება ხორციელდება ენის სახელმწიფო პალატის ადგილობრივი სამმართველოების სახით.

ასეთი სამმართველოები სადღეისოდ შექმნილია: დუშეთში, მცხეთაში, კასპში, ხაშურში, ქარელში, რუსთავში, ბოლნისში, გარდაბანში, სიღნაღში, საგარეჯოში, ყვარელში, ზუგდიდში, ფოთში, წალენჯიხაში, ხობში, გურიის სამსავე

რაიონში, ქუთაისსა და თბილისში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის გულისხმიერი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელობას ენის პალატისადმი გამოჩენილი მხარდაჭერისათვის. განსაკუთრებით გამოვყოფდი ქ. რუსთავის მერიას (ბ-ნი მერაბ ტყეშელაშვილი), ქ. ფოთის მერიას (ყოფ. მერი ბ-ნი იეანე ხოდელავა), დუშეთის გამგეობას (ყოფ. გამგებელი ბ-ნი კობა ბურჭულაძე), ზუგდიდის მერიას (ბ-ნი ლერი ჭითანავა), გურიის სამხარეო ადმინისტრაციას (ბ-ნი კარლო გუჯაბიძე).

ქუთაისის მერია და პრეზიდენტის რწმუნებული ერთ-ერთი პირველი ამოგვიდგა მხარში, მაგრამ, სამწუხაროდ, იმერეთის სხვა რაიონებში ჯერჯერობით ადგილობრივი სტრუქტურები ვერ ჩამოვაყალიბეთ.

ასევე დაბრკოლებები გვაქვს სამცხე-ჯავახეთში, კახეთის ზოგიერთ რეგიონში – განსაკუთრებით ლაგოდეხში, ახმეტაში, გურჯაანსა და თელავში.

პალატის ხელმძღვანელობას ცდა არ დაუკლია – იქნებოდა ეს ოფიციალური მიმართვისა თუ პირადი კონტაქტების სახით, მაგრამ ჯერჯერობით მეტის გაკეთება ვერ მოხერხდა.

ჩვეულებრივ, გამგებლები და მერები იმიზეზებენ ადგილობრივი ბიუჯეტების სიმწირეს, რის გამოც გასულ წელს ადგილობრივი სტრუქტურების ფორმირება ჯეროვნად ვერ განხორციელდა. გვპირდებოდნენ და იმედი გვქონდა, რომ 1998 წელს მაინც მოვახერხებდით ადგილობრივი სტრუქტურების შექმნის დასრულებას, მაგრამ, ჯერჯერობით საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს.

ცნობისათვის: ენის სახელმწიფო პალატის ადგილობრივი სამმართველოების შესანახად საჭიროა წელიწადში 1600-1800 ლარი.

ჩვენ არაფერი გვითქვამს ენის სახელმწიფო პალატის თბილისის სამმართველოს შესახებ. ეს სამსახური, რამდენადმე განსხვავებული სახელწოდებით, შეიქმნა ჯერ კიდევ პალატის დაფუძნებამდე ერთი წლით ადრე – დედაქალაქის მაშინდელი მერის, ბატონ ნიკო ლეკიშვილის ინიციატივით.

მაშინ მას ერქვა „სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ქალაქგაფორმების საზედამხედველო სამსახური", რომლის ბაზაზეც შეიქმნა ენის სახელმწიფო პალატის თბილისის სამმართველო (6 საშტატო ერთეულით), რომელიც საქმიანობს პალატის ცენტრალურ აპარატთან ერთად.

დედაქალაქის მერია (ყოფ. მერი ბ-ნი ბადრი შოშიტაიშვილი) სამმართველოს მაქსიმალურად უწყობდა ხელს მუშაობაში და, თუკი პალატის ფოთის სამმართველოს მიმართ ქალაქის ყოფილი მერის გულისხმიერ დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, იმედი გვაქვს, რომ არც თბილისის სამმართველოს მოაკლდება დედაქალაქის მერიის მხარდაჭერა.

ამ ცოტა ხნის წინ დაფუძნდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ენის სახელმწიფო პალატა, რომელიც დაკომპლექტებულია ქართველი და აფხაზი სპეციალისტებისაგან. ეს სამსახური აქტიურ კონტაქტშია ენის სახელმწიფო პალატის ცენტრალურ აპარატთან და იღებს შესაბამის სამოქმედო გამოცდილებას.

ცალკეულ პრობლემათა შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

ენის სახელმწიფო პალატის საქმიანობა სამ ძირითად მიმართულებას გულისხმობს; ესენია: სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა და ეროვნულ უმცირესობათა ენობრივი ინტერესების დაცვა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

მოგეხსენებათ, საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ფლობს ქვეყნის სახელმწიფო ენას. ამ პრობლემის მოწესრიგების მიზნით გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციების მხრიდან. ენის სახელმწიფო პალატა ხსენებულ პროცესში აქტიურადაა ჩართული ქვემო ქართლში, სადაც განსაკუთრებული მონდომებით მუშაობენ რუსთავის, ბოლნისისა და გარდაბნის სამმართველოები, განათლების სამხარეო სამმართველოსთან ერთად, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით სამცხე-ჯავახეთზე, თუმცა იმედი კი გვქონდა, რომ ამ მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული მეტ მხარდაჭერას აღმოგვიჩენდა, რაც, ვფიქრობთ, მთლად დაგვიანებული ჯერაც არ უნდა იყოს.

გასული წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 700000 ლარი ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში ქართული ენის გავრცელებისათვის ხელშემწყობ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

ხსენებული თანხა ბიუჯეტის დამტკიცების დროს გამოეყო ენის სახელმწიფო პალატას, რაც შემდგომ შეცდომად იქნა მიჩნეული და იმავე წლის სექტემბერში სამხარეო ადმინისტრაციებს გადაეცათ 350000 ლარი თითოეულს.

სინანულით აღვნიშნავთ, რომ ენის სახელმწიფო პალატა ამაოდ გაისარჯა მთელი შვიდი თვის მანძილზე, სანამ გაირკვეოდა, რომ ენობრივი პოლიტიკის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა თურმე ენის სახელმწიფო პალატამ კი არ უნდა განკარგოს, არამედ სამხარეო ადმინისტრაციებმა.

ამ საკითხზე დაწვრილებით შეჩერება, ალბათ, არ ღირს, მით უმეტეს, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. სამწუხაროდ, გამოყოფილი თანხა სრულად არც სამხარეო ადმინისტრაციებს მიუღიათ. ქვემო ქართლს გასულ წელს მხოლოდ 120000 ლარი ჩაერიცხა, ისიც დიდი დაგვიანებით.

ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№516, 1997 წ., 15 სექტ.) მოწონებულ იქნა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან შეთანხმებული „საქართველოს სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის მშობლიურ ენათა შესწავლის ხელშეწყობის პირობებში სახელმწიფო ენის ფუნქციონირების უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახელმწიფო პროგრამა".

# სახელმწიფო ენა

ხსენებული პროგრამის ავკარგიანობაზე ამჯერად სიტყვის გაგრძელებას არ ვაპირებთ, ჩვენი მოსაზრებები მოხსენდა მთავრობის შესაბამის სხდომას, რომელსაც უძღვებოდა სახელმწიფო მინისტრი, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ეს პროგრამა სახელმწიფო კანცელარიიდან არ გასულა. ყოველ შემთხვევაში, ენის სახელმწიფო პალატას მოუვიდა მხოლოდ პრეზიდენტის ბრძანებულების ასლი, ხოლო, როდესაც კანცელარიაში საკუთრივ პროგრამა მოვიკითხეთ, გვიპასუხეს, რომ მისი დარიგების შესახებ სათანადო მითითება არ ყოფილა.

ასევე არ მიუღია ხსენებული პროგრამა სამცხე-ჯავახეთის განათლების სამხარეო სამმართველოს და, ამავე ლოგიკით, ალბათ, არც ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს.

ხსენებული ფაქტის ამხსნელი მიზეზი ჩვენ არ მოგვეპოვება.

ენის სახელმწიფო პალატის ხელშეწყობით გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი ცენტრი თბილისში მცხოვრები უკრაინელებისათვის. დიასპორის ხელმძღვანელთა სურვილის შესაბამისად ცენტრში მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან. მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრებულია. პედაგოგებად იმუშავებენ ენის პალატის სპეციალისტები – ანაზღაურების გარეშე, რამდენადაც საამისო თანხები ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

სერიოზულ პრობლემად გვესახება ჩვენი ქვეყნის საჯარისო ფორმირებებში ენობრივი საკითხების მოწესრიგება.

თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ამჟამად ხმარებული სპეციალური ლიტერატურა, რომელიც ენის პალატამ გულდასმით შეისწავლა, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ლიტერატურა თარგმნილია რუსულიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთობ უხეიროდ, რაც ხშირად აზრის გამოტანასაც კი აბრკოლებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით მწერალთა კავშირში ჩატარდა თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს მწერალთა კავშირის, ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ენის სახელმწიფო პალატის ერთობლივი კონფერენცია, მაგრამ მის შედეგებს თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობის მხრიდან ადეკვატური რეაქცია არ მოჰყვა, რაც თითქოს მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო.

ორიოდე თვის წინ ენის სახელმწიფო პალატის ხელმძღვანელობას ჰქონდა საქმიანი შეხვედრა თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, გენერალ ომარ ლეკვეიშვილთან, რომელსაც გავაცანით არსებული ვითარება და შევთავაზეთ კონკრეტული წინადადებები. კერძოდ, ენის პალატა მზადაა სამხედრო უწყებას აღმოუჩინოს საჭირო მეთოდური და პრაქტიკული დახმარება საჯარისო ფორმირებებში ქართული ენის უკეთ დამკვიდრების მიზნით.

იმედი გვაქვს, საკითხის სათანადოდ მომზადებას არ მოაკლდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ყურადღება.

რაც შეეხება არაქართულენოვანი სამხედრო მოსამსახურეებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებას:

ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება შესაბამის სამხედრო ნაწილებში გაიხსნას სახელმწიფო ენის შემსწავლელი ჯგუფები არაქართველებისათვის, ხოლო სამხედრო სამსახურის დასრულებისას მოხდეს კურსდამთავრებულთა სერტიფიცირება, რაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს გზას გაუხსნის სახელმწიფო სტრუქტურებში მათთვის სასურველი თანამდებობის დასაკავებლად.

მოგეხსენებათ, რომ კანონი საჯარო სამსახურის შესახებ აუცილებელ პირობად გულისხმობს ქვეყნის სახელმწიფო ენის ცოდნას. ჯარში გატარებული ორი წელიწადი ამ მხრივ შეიძლება მიზნობრივად გამოვიყენოთ. ენის პალატა ამ მხრივაც გამოთქვამს მზადყოფნას და ახლა ჯერი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობაზეა.

ენის სახელმწიფო პალატას აქვს საქმიანი ურთიერთობა სტანდარტების სახელმწიფო დეპარტამენტთან. ამჟამად რამდენიმე სტანდარტი მუშავდება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად. მათგან გამოვყოფდი განსაკუთრებით მნიშვნელოვან ორ სტანდარტს: 1. ტერმინოლოგიაზე მუშაობა – ცნებებისა და ტერმინების ჰარმონიზაცია. 2. ტერმინოლოგიის პრინციპები და მეთოდები.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მომართვის საფუძველზე ენობრივად დამუშავდა „ციფრული სიგნალების ტერმინთა და განმარტებათა" სტანდარტი. ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც გაგრძელდება.

სულ მალე თბილისის მოსახლეობა მიიღებს ქართულენოვან სატელეფონო ცნობარს, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით დამუშავდა ენის სახელმწიფო პალატის მონაწილეობით. ცნობარში ბევრი საინტერესო ენობრივი სიახლეა, რაც ქვეყნის სამომავლო ენობრივი პოლიტიკის კონტექსტში იქნა მოაზრებული.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მომართვის საფუძველზე ენობრივად დამუშავდა 1999 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის საჭირო მასალები.

ამავე დეპარტამენტის ხელშეწყობით მოვიპოვეთ საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირთა სრული ნუსხა (შესაბამისი, ჩვენთვის საინტერესო, რეკვიზიტების მითითებით). ამჟამად ენის პალატას დამუშავებული აქვს თბილისში მოქმედ იურიდიულ პირთა მონაცემები, მათი სახელწოდებები, სახელდების პრინციპები და ტენდენციები, გამოვლენილია სერიოზული ენობრივი პრობლემები და დასახულია მათი დაძლევის გზები.

აღმოჩენილი დახმარებისათვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მადლობას მოვახსენებთ და იმედი გვაქვს, ეს ორმხრივ სასარგებლო თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება.

აქვე გვინდა მთავრობის წინაშე დავაყენოთ ერთი კონკრეტული საკითხი.

1999 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალები არ ითვალისწინებს საქართველოს მოსახლეობის სრული რეგისტრის შედგენას. ენის პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია ამგვარი სამუშაოს ჩატარება, რაც საშუალებას მოგვცემს მოვიპოვოთ და მრავალი პარამეტრის გათვალისწინებით კომპიუტერულად დავამუშაოთ ფასდაუდებელი ონომასტიკური მასალა. ამგვარი სამუშაო ასეთი სისრულით ჩვენში ჯერ არ ჩატარებულა.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს დამატებით ამ სამუშაოსათვის საჭირო თანხის ოდენობა განსაზღვრული აქვს; თუკი დაფინანსების საკითხი დადებითად გადაწყდება, მიღებული შედეგი უდიდეს სარგებელს მოუტანს ონომასტიკის კვლევით დაინტერესებულ მრავალ დარგს და საკუთარი ინტერესების ფარგლებში – ენის სახელმწიფო პალატასაც.

ქართული ონომასტიკის ოფიციალური გამოყენების სფეროში, სამწუხაროდ, დიდი სიჭრელეა, რაც ზოგჯერ კურიოზულ სიტუაციებსაც წარმოშობს. სახელმწიფოებრივ დონეზე მოსაწესრიგებელი საკუთარ სახელთა (და არა მარტო ონომასტიკის) ქართულ და უცხოურ ენებზე დაწერილობის საკითხი.

გასულ წელს საქართველოს შსს ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტმა მძღოლთა მართვის მოწმობების გამოცვლასთან დაკავშირებით ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებს დაუკვეთა ქართული გვარ-სახელების ინგლისურად გადმოცემის წესის დამუშავება.

სამწუხაროდ, დაკვეთის შემსრულებელთათვის ამოცანა ზუსტად არ იყო განსაზღვრული, რამაც საბოლოოდ მეტად არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანა. ამის შესახებ 1997 წლის 17 ოქტომბერს ოფიციალურად მოხსენდა ქვეყნის პრეზიდენტს.

1997 წლის 1 დეკემბერს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება აღნიშნული საკითხის მოწესრიგების მიზნით სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა განათლების მაშინდელი მინისტრი, ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე, მოადგილედ – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ბატონი გელა ჩარკვიანი. კომისიაში შედიან: მინისტრები, სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები, ენის სპეციალისტები, პარლამენტის წევრები, სახელმწიფო კანცელარიის პასუხისმგებელი მუშაკები.

განკარგულების მიხედვით კომისიის მუშაობის შედეგები საქართველოს პრეზიდენტს უნდა წარდგენოდა ერთი თვის განმავლობაში – ე.ი. 1997 წლის 1 იანვრამდე. გავიდა 8 თვე, კომისია შეიკრიბა 5-ჯერ, წინადადება კი დღემდე წარდგენილი არ არის.

მიზეზი შეიძლება რამდენიმე დასახელდეს; მაგრამ ამჯერად მინდა მთავრობის სხდომის ყურადღება გავამახვილო ერთ, ჩვენი აზრით, მეტად მავნე ტენდენციაზე, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ხშირად იჩენს თავს – ეს გახლავთ უმაღლეს დონეზე გამოცემული დირექტული აქტებისადმი ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. მაშ, სხვაფრივ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი,რომ ხსენებული კომისიის სხდომას არც ერთხელ არ დაესწრო რამდენიმე მინისტრი და უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელე?

კონკრეტულად ეს საკითხი უფრო ვრცელი და საგანგებო მსჯელობის საგანია, რისი დრო და ადგილი ამჯერად აქ არ არის, მაგრამ იქნებ დაინტერესდეს ბატონი შინაგან საქმეთა მინისტრი, რატომ მივიდა საქმე ასეთ კურიოზულ ვითარებამდე. ამჯერად შს მინისტრს მივმართავ, იმდენად, რამდენადაც მის დაქვემდებარებაში არსებულ უწყებას ეხება საქმე და არა როგორც საზოგადოდ სამართალდამცველი სტრუქტურის ხელმძღვანელს. მადლობა ღმერთს, ამ შემთხვევაში დასაჭერი არავინ ჩანს, მაგრამ სამსახურებრივი პასუხისმგებლობისაგან ხომ არავის გავუთავისუფლებივართ.

იმედია, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – ბატონი გელა ჩარკვიანი – 8 თვის შემდეგ დასრულებულ სამუშაოს კომისიის წევრებთან ერთად საბოლოო ფორმას მოუნახავს და წარუდგენს ქვეყნის პრეზიდენტს. ცხადია, ყოველივე ამას თავიდან ავიცილებდით, ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტს მანამდე რომ მიემართა ენის სახელმწიფო პალატისათვის, სანამ პრაქტიკულად დანერგავდა ქართულ გვარ-სახელთა ინგლისურად გადმოცემის „ახალ წესს", რომელიც, მართალია, დიდზე დიდი დაგვიანებით, მაგრამ საბოლოოდ სამთავრობო კომისიამ თითქმის ერთხმად უარყო, თუმცა პრაქტიკულად იგი დღემდე განაგრძობს მოქმედებას და დღესაც მართვის მოწმობები და პასპორტები ამ წესის მიხედვით გაიცემა.

რაკი არსებობს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა, ბუნებრივი იქნებოდა სათანადო საკითხები მასთან შეგვეთანხმებინა და შემდეგ მიგვეღო გადაწყვეტილება პრაქტიკული ქმედების შესახებ. სხვანირად ერთიანი სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია.

საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ ა/წ 4 მარტს განიხილა ენის სახელმწიფო პალატის მიერ წარდგენილი პროექტი „ტერმინოლოგიური საქმიანობის კოორდინირების შესახებ", მოიწონა იგი და დაამტკიცა. ამიერიდან ტერმინოლოგიური ლიტერატურის გამოცემა დაექვემდებარება შესაბამის კონტროლს, რომელსაც განახორციელებს ხსენებული კომისიის საბაზო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვის თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანაში დღემდე არც თუ სახარბიელო ვითარებაა. არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ქვეყნის სახელმწიფო ენა პრაქტიკულად არ გამოიყენება ბევრ ადმინისტრაციულ ერთეულში, რასაც გასაგები მიზეზები აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოწესრიგების პერსპექტივა – ბევრად უფრო რთული, უფრო სავალალო

კი ისაა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურა, სადაც ეს თითქოს ობიექტური მიზეზებით არ უნდა იყოს განპირობებული, ვერ ელევა უახლოესი წარსულის ინერციას და დღემდე რუსულენოვან ბლანკებს იყენებს. ისტორიული ყოფით ჩამოყალიბებული გაორებული მენტალიტეტი (ორი სამშობლო, ორი დედაენა, ორ-ორი აზრი) დღემდე ძალუმად იჩენს თავს.

დედაქალაქის გარეგნული იერსახის ენობრივი თვალსაზრისით მოწესრიგების მხრივ პოზიტიური შედეგები მოჰყვა რეკლამის კანონის მიღებას, რამაც ერთგვარად ხელ-ფეხი გაგვიხსნა უცხოენოვანი მოძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. გაგვიადვილა რამდენადმე გართულებული ურთიერთობა ადგილობრივ მეწარმეებთან და მათ უცხოელ პარტნიორებთან.

დაკვირვებული თვალი უთუოდ შეამჩნევდა ჩვენს დედაქალაქში ამ მხრივ დაწყებულ სასიკეთო ძვრებს, რაც ენის პალატის, მისი თბილისის სამმართველოს (ხელ-ლი ქ-ნი თამარ ომიაძე) და ანტიმონოპოლიური სამსახურის ერთობლივი საქმიანობის შედეგია.

ანტიმონოპოლიური სამსახურის მუშაკთა მიმართ მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნო, რომ არც ერთი ჩვენ მიერ გადაცემული საჩივარი რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. თითქმის ყველა უცხოენოვანი სარეკლამო ობიექტი ადიჭურვა კანონის შესაბამისად ქართულენოვანი რეკვიზიტით, ხოლო ზოგიერთი მათგანი საერთოდ მოიხსნა.

სამწუხაროდ, რეკლამის კანონით არ არის განსაზღვრული სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტის ადგილი და ზომები, რითაც ზოგიერთმა ჩვენმა მეწარმემ მოხერხებულად ისარგებლა და უზარმაზარი ინგლისური წარწერის ქვეშ მოაქცია მისი ქართული შესატყვისი, რაც სამომავლოდ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ.

ამ ერთი წლის მანძილზე გაწეულმა მუშაობამ ნათლად დაგვანახა, რომ ენის სახელმწიფო პალატის წინაშე მდგარი ამოცანები ბევრად უფრო რთული და მრავალწახნაგოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

გარკვეულ წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა საქართველომ მიიღოს კანონი ენის შესახებ. პრაქტიკულმა საქმიანობამ საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ ხსენებული კანონის მიღება აუცილებელია და თანაც, რაც შეიძლება მალე.

მართალია, ოფიციალურად ენის კანონზე მუშაობა დავალებული აქვს იუსტიციის სამინისტროს, მაგრამ იმ პრაქტიკული საკითხების კანონის საფუძველზე მოგვარების მიზნით, რომელთა გადაწყვეტა ყოველდღიურად გვიწევს, განვიზრახეთ იუსტიციის სამინისტროს და შესაბამისად შემდეგ საქართველოს მთავრობას შევთავაზოთ ენის კანონის ჩვენეული ვარიანტი. საამისოდ მოვიპოვეთ და ვთარგმნეთ უცხოეთის ქვეყნების შესაბამისი კანონები და მათი კომენტარები. ბარემ აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ, როგორც გაირკვა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ენობრივი საკითხების მოწესრიგების თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი გამოცდილება მოეპოვება. მხედველობაში გვაქვს ისეთი ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი, შვეცია, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, რომ არაფერი ვთქვათ თანამეგობრობის ქვეყნებზე და განსაკუთრებით კი აზერბაიჯანზე.

კვალიფიციური იურისტების მონაწილეობით ენის პალატაში თითქმის დამთავრდა მუშაობა კანონის პროექტზე და ვვარაუდობთ, რომ შესაბამისი ინსტანციების გავლის შემდეგ, სექტემბრის მიწურულს, მას წარვუდგენთ საქართველოს მთავრობას.

მიმდინარე წლის 14 აპრილს ენის სახელმწიფო პალატამ დედაქალაქის მერიის ფინანსური დახმარებით სურათების ეროვნულ გალერეაში მოაწყო თანამედროვე ქართული შრიფტის გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდა 30-მდე ცნობილი ქართველი მხატვარი.

გამოფენას დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა.

ჩვენ დიდ პატივად მივიჩნევთ, რომ ხსენებული გამოფენა დაათვალიერეს ქვეყნის პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა.

პრაქტიკულ სფეროში გამოყენებული ქართული შრიფტის დღევანდელი მდგომარეობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ენის მოვლა-პატრონობა კი სწორედ ანბანიდან უნდა დაიწყოს.

ცალკე მსჯელობის საგანია ჩვენში ხმარებული ე.წ. კომპიუტერული შრიფტები, რომელთა განსაკუთრებულად ნეგატიური ნიმუშები ხსენებულ გამოფენაზეც იყო წარდგენილი.

ამჟამად მხატვარ-გრაფიკოსებთან ერთად ვმუშაობთ ქართული შრიფტის სტანდარტიზაციის ურთულეს და ამავე დროის გადაუდებლად მოსაგვარებელ პრობლემაზე.

საბედნიეროდ, ანბანის მხატვრულად დამუშავების სფეროში მოგვეპოვება თვალსაჩინო მიღწევები, რომელთა დანერგვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ გვესახება.

რეგლამენტით განსაზღვრული დროის ფარგლებში შევეცადეთ გამოგვეყო ჩვენ მიერ დღემდე გაწეული მუშაობის უმთავრესი ასპექტები.

ორიოდე სიტყვით პალატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ფინანსების შესახებ:

გვაქვს ორი კომპიუტერი და ერთი ასლგადამღები აპარატი. პალატის თითქმის ყველა სპეციალისტმა შეიძინა ელ. გამომთვლელ მანქანასთან მუშაობის გამოცდილება, ურომლისოდაც ჩვენი სამომავლო საქმიანობა წარმოუდგენლად მიგვაჩნია.

ტრანსპორტის პრობლემის მოგვარებისათვის დიდად ვემადლიერებით სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს და მის ხელმძღვანელს - ბატონ ირაკლი ანდრიაძეს.

ენის სახელმწიფო პალატა, როგორც მოგახსენეთ, ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან. შარშან საამისოდ გამოყოფილი იყო 50600 ლარი, წელს კი გამოყოფილია 58900 ლარი, მაგრამ დაფინანსების გაზრდა გამოწვეულია ხელფასების მომატებით, სხვა მუხლებით გათვალისწინებული და-

ფინანსებები მნიშვნელოვნად შემცირდა (მილინება, ტრანსპორტი, კომუნალური ხარჯები).

სამწუხაროდ, უფრო სერიოზული და მასშტაბიანი საქმიანობის გასაშლელად საჭირო ფინანსური შესაძლებლობები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში ზოგი სურვილი ავსახეთ, მაგრამ რა შედეგი მოჰყვება, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ცხადია, ამას რომ ვამბობთ, ვითვალისწინებთ ქვეყნის საერთო ფინანსურ მდგომარეობას.

ვერ გეტყვით, რამდენად კომპაქტური და შთამბეჭდავი ანგარიში გამოგვივიდა, მაგრამ თუკი ამას ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ეპიზოდებსაც დავუმატებდით, დაახლოებით ეს გახლავთ ჩვენი საანგარიშო მოხსენების ძირითადი ნაწილი.

ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნებოდა იმის გათვალისწინებაც, რომ საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქვეუწყებო სამსახური – ენის სახელმწიფო პალატა – შექმნის დღიდან საქმიანობს ერთ ოთახში, რომლის ფართობია 16 თუ 18 კვმ. გვაქვს სამი მაგიდა, 6 სკამი და ერთადერთი ტელეფონი. მეორე ასეთივე ოთახში მოთავსებულია პალატის თბილისის სამმართველო, ორივე ოთახი კარგა ხნის წინაა პრივატიზებული. ამჟამად ჩვენს მეზობელ ოთახებში მიმდინარეობს რემონტი და დერეფანი სავსეა საშენი მასალებითა და სალებავებით. არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ პირველ სართულზე მდებარე ჩვენი ეწ. „ოფისი" არაერთგზის დატბორია და სამუშაო ოთახში შესვლა გვიწევდა გუბეებზე გადებული ფიცრების საშუალებით. ანუ მარტივად რომ მოგახსენოთ, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატას მუშაობის ელემენტალური პირობები არ გააჩნია, ფაქტობრივად იგი უბინაოა.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება პალატისათვის შესაფერისი ფართობის გამოყოფის შესახებ (ჯერ ბატონ მალხაზ ჩაჩავას, შემდეგ კი ბატონ ზურაბ ბიბილაშვილის ხელმოწერით), მაგრამ ორსავე შემთხვევაში საკითხი აღმოჩნდა უპასუხისმგებლოდ და ზერელედ მომზადებული და ამდენად შეუსრულებადი. ვერ ვიტყვით, რომ ბატონმა ბადრი შოშიტაიშვილმა (მისი მერობის პერიოდში) არ მოიწადინა და თავი არ შეიწუხა.

მიმდინარე წლის 4 მარტს ქალაქის მერმა პრეზიდენტს მოახსენა კიდეც, რომ პალატას გამოეყო ორსართულიანი შენობა დადიანის ქუჩაზე, რასაც მოჰყვა ენის პალატისა და მისი თავმჯდომარის ენით აუწერელი ლანძღვა-გინების კამპანია ჩვენი მასმედიის მხრიდან. თურმე ლევან ღვინჯილიამ აიძულა ქალაქის მერია, გაეუქმებინა 75-წლიანი ისტორიის მქონე საბავშვო ბაღი.

შენობის გამოყოფის პროექტს ხელს აწერდა მერიის ყველა შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი, რომლებმაც თურმე შეცდომაში შეიყვანეს ქალაქის მერი და მუნიციპალიტეტის პრემიერი.

სამი თვის მანძილზე ჩვენ ვერ მოვიგერიეთ პრესა და ტელერადიოკომპანიები, სანამ იძულებული არ გავხდით მივვემართა სასამართლოსთვის სარჩელით ღირსების შელახვის შესახებ.

მუნიციპალიტეტს არც ერთი თანამდებობის პირი ამისათვის არც კი დაუტუქსავს, ყველა არხეინად გრძნობს თავს, პალატა კი კვლავ უბინაოდაა.

ამ ხნის მანძილზე ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარეს მისი შესაძლებლობის კვალობაზე არ დაუკლია არანაირი მცდელობა, როგორმე გაერღვია ეს მოჯადოებული წრე, მაგრამ ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატი აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცა.

სამაგიეროდ, ჩვენდა უნებურად დაწვრილებით შევისწავლეთ პრივატიზაციის საკითხები დედაქალაქში, რამაც ერთობ ალმაშფოთებელი სურათი დაგვანახა. სხდომაზე მყოფ მთავრობის წევრთაგან, ალბათ, ბევრი დამიდასტურებს, რომ არაერთგზის შევაწუხე ისინი, რისთვისაც თითოეულ მათგანს საჯაროდ ბოდიშს ვუხდი, სამწუხაროდ (იქნებ არც კი), ზოგი მათგანი ამას დღეს აქ ველარ მოისმენს.

სასოწარკვეთილებმა ბოლოს გადავწყვიტეთ,მოგვეცადა სექტემბრამდე და კიდევ ერთხელ დაგვეყენებინა საკითხი ქვეყნის პრეზიდენტის წინაშე, მაგრამ ამასობაში საქართველოს მთავრობაში მიმდინარე საკადრო პროცესებმა იმედის ოდნავ მბჟუტავი ნაპერწკალი კვლავ გააჩინა.

საქართველოს მთავრობის დღევანდელი შემადგენლობა მნიშვნელოვნად განახლებულია. ვსარგებლობ შემთხვევით და ახალდანიშნულ სახელმწიფო მინისტრს, მინისტრებს და დედაქალაქის მერს ვულოცავ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ დიდ ნდობას.

გამოსვლას კი დავამთავრებ 1997 წლის 22 დეკემბერს ენის სახელმწიფო პალატის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული შემაჯამებელი საპროგრამო სიტყვის მცირე ფრაგმენტით: „მე გთხოვთ, ბატონ ბადრის ვთხოვ პირველ რიგში, ბატონ ირაკლი ანდრიაძეს, სხვებს, აქ რაღაც გრანდიოზული შენობები არ არის საჭირო, მაგრამ რახან ვქმნით ენის პალატას, შენობაც და განთავსების პრობლემაც ღირსეულად უნდა იყოს გადაწყვეტილი, ისეთნაირად, რომ ცენტრშიც იყოს და შენობაც გამოიყურებოდეს ისე, რომ გვეამაყებოდეს. ჩვენ, როგორც ვამბობთ, დედაენას ძეგლი დავუდგით, არ ვიცი სხვა ქვეყნებში, გარდა საფრანგეთისა, არის თუ არა ასეთი ინსტიტუტები, მაგრამ საქართველო ამ მხრივ შეიძლება გამორჩეული ქვეყანა გახდეს მშობლიური ენის მოვლის, პატრონობისა და გამდიდრების საქმეში".

*საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე*
**ლევან ღვინჯილია**

## არნოლდ ჩიქობავა – 100

ცნობილი ენათმეცნიერის, ქეთევან ძოწენიძის, პირად არქივში ჩვენი კლასიკოსების მრავალი საინტერესო პირადი წერილია შემორჩენილი. ზოგი მათგანი (აკადემიკოს ა. შანიძის, პროფესორ ქ. დანელიასი, მწერალ ლ. გოთუასი) ადრე შევთავაზეთ მკითხველს. ამჯერად აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასთან მიმოწერას გაქვეყნებთ.



### ქეთევანს სალამი!

წერილის მოწერას დიდი ხანია ვაპირებდი, მაგრამ დღემდე არ მომიხერხდა. ახლა წყალტუბოდან გწერთ.

ჯერ ერთი, მინდა მოგილოცოთ საკვალიფიკაციო შრომის კეთილად დაცვა. იმ ხანად ცუდად ვიყავი და სხდომაზე ვერ მოვედი. გისურვებთ (თუ ვისურვებ): მოვესწრებოდი თქვენს სადოქტორო დისერტაციასაც.

მეორეცაა და, საჭიროდ მიმაჩნდა თქვენ გცოდნოდათ, ზუგდიდის ინსტიტუტის საკითხი რა კონტექსტში დადგა და რას გულისხმობდა. ზუგდიდში კათედრის გამგედ უნდა გაეგზავნათ კიდეც. საჭირო იყო ისეთი კაცი, რომ თითო კვირით ჩასულიყო და საქმეს გასძღოლოდა პატიოსნად. ვფიქრობდი, ამას თქვენ შეიძლებდით განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე (მამის ავადმყოფობის ამბავი მე არ ვიცოდი). ზუგდიდში თქვენი „გადაყვანა" არავის უფიქრია. პირიქით, კათედრის გამგეობა ზუგდიდში შეამსუბუქებდა კათედრის გამგეობას ქუთაისში: გიორგი ხომ მუდამ არ ივლის ქუთაისში (ასე ვფიქრობდი მე და გიორგის არ დავეთათბირებივარ: არ იყო თბილისში). ამრიგად, საქმის ინტერესი თქვენს ინტერესს სავსებით ემთხვეოდა.

არ ვიცი, თქვენთან ეს რა სახით მოვიდა. ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო განზრახვა, რამდენადაც მე მკითხავდნენ. საწყენია, თუ ეს სხვა სახისად იქცა და უსიამოვნო პროექტის სახე მიიღო (როცა ეს გავიგე, მე თვითონ ვუთხარი ამხ. კუპრაძეს, რომ ეს ვარიანტი მოეხსნათ).

ახლა რასა იქმთ? ეცადეთ, თემატიკაზე გარკვეული თანამიმდევრობით მუშაობა არ შეწყვიტოთ. საკვალიფიკაციო შრომაც ნაწილ-ნაწილ უნდა დამუშავდეს: დრო ბევრი უნდა და დამშვიდებით უნდა გაკეთდეს.

მამას ავადმყოფობა მძიმე საქმეა. სიცოცხლის დასასრულის საკითხი ყოველთვის მწვავეა და მძიმე, მით უმეტეს ზოგი ხასიათის ადამიანისათვის. ზოგჯერ ეს ტრაგმას უდრის ადამიანის განცდებში. ეცადეთ, შრომა მოიშველიოთ და ყურადღება მთლად არ ჩაანთქმევინოთ მძიმე ვითარებას.

თქვენები მომიკითხეთ – უფროსები – დიდი პატივისცემით, შემდგომი თაობა – ამხანაგურად.

იყავით მხნედ. გისურვებთ მუშაობაში წარმატებას.

თქვენთვის კეთილის მსურველი არნ. ჩიქობავა

4.II.1951.

**P.S.** საახალწლო დეპეშისათვის მადლობა. თამარმა მოგიკითხათ გულით. ამ ორ დღეში აქედან რაიონს გავემგზავრებით. თბილისში, ალბათ, 14.II-სთვის ვიქნებით.

მე ცუდად ვიყავი ძალიან. ახლა თითქოს უკეთობაა. სარძლის გამყევა, ოღონდ?!

ა.ჩ.

**P.P.S.** გახსოვდეთ, რომ საქმის მცოდნე და პატიოსანი მუშაკი ჩვენს დარგში არც ისე ბევრია და ეს გარკვეულ ვალდებულებას გაკისრებთ სპეციალობის წინაშე.

ა.ჩ.

### ძვირფასო პროფესორო!

გულით გავიხარე, რომ თქვენი არჩევა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ქუთაისიდან ხდება.

თქვენთან შეხვედრა ეწყობა 5 მარტს ჩვენს ინსტიტუტში, რადგან 235-ე საარჩევნო ოლქი აქ არის.

წავიკითხე თქვენი წერილი, კომისიის თავმჯდომარის სახელზე გამოგზავნილი. მან ჯერ არ იცოდა, თქვენი შეხვედრა როდის ეწყობოდა. მე და ის ვიყავით ქალაქკომში და გვითხრეს: 5 მარტს ეწყობაო.

ჩვენი სტუდენტობა მოუთმენლად ელის თქვენს ნახვას.

გთხოვთ, სასტუმროში არ მიბრძანდეთ, ჩემთან დაბინავდეთ. ამით უდიდეს ბედნიერებას მაგრძნობინებთ. იქნებ ქალბატონი თამარიც ჩამოიყვანოთ. მომანიჭეთ თქვენი ჩემთან მოსვლით სიხარული.

მე ვცხოვრობ თეატრის პირდაპირ, სტალინის ძეგლთან.

გელით სიყვარულით

ქეთევან ძოწენიძე

1963

### დეპეშა

ქუთაისი, მაიაკოვსკის ქუჩა 2, ქეთევან ძოწენიძეს.

წერილისათვის დიდი მადლობა. ჩამოვალ ორშაბათს საღამოს სასტუმროში.

პატივისცემით არნოლდ ჩიქობავა.

### დიდად პატივცემულო ქეთევან!

ამომრჩეველთა დავალება ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე მისაღები კონტინგენტის შესახებ მოვახსენე უმაღლესი სკოლების კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გ. ჯიბლაძეს. დაგვპირდა საკითხის მოგვარებას (ამხ. გივი ლოლიძესთან ერთად ვიყავით).

უმაღლ. საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ამხ. ზინ. კვაჭაძეს სათანადო ცნობა, ოფიციალური, გადავეცი. თუ დაპირება არ შესრულდა, პრეზიდიუმიდან მივმართავთ.

გულითადი მოკითხვა ჩვენი ოჯახის მთელი შემადგენლობიდან პატივცემულ დავითს და ქეთევანს.

კეთილი სურვილებით არნ. ჩიქობავა

28.II.1964

### ქეთევანს სალამი და გამარჯობა!

როგორა ხართ ჯანზე? როგორ მიდის თქვენი სამუშაო?

თქვენი წერილი („შუაიმერულის შესახებ") სადიალექტოლოგიო კრებულში რომ იყო შეტანილი, მე გამოვიტანე და „მაცნეში" გადავეცი. რედაქტორი აკად. ანგია ბოჭორიშვილი დამპირდა, მეორე ნომერში წავაო (დიალექტოლოგიური კრებული საუკეთესო შემთხვევაში 1968 წელს თუ აიწყობა).

კორექტურას აქ ანტონი და მე ვნახავთ (თუ საჭირო დარჩა, თქვენც გამოგიგზავნით).

იანვარში გვარიანი შიში გამოვიარე ნეიროქირურგის წყალობით (მოსკოვში). კატასტროფული ჯერ არაფერი ჩანს. ვნახოთ. (აპრილში, იქნებ, აკადემიის საავადმყოფოში გამოსაკვლევად დაწოლა მომიხდეს. ვიცე-პრეზიდენტი ფედოსეევი დამპირდა. მოგაწყობთო).

გულითადი მოკითხვა ბ. დავითს.

კეთილი სურვილებით

ა.ჩ.

16.III.1967

27 აგვისტოს წმინდა მღვდელმოწამეთა – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, ნაზარის (ლეჟავა) და მასთან ერთად აგვისტოში წამებული და ქუთაისში, საფიჩხიაზე 1924 წლის 1 სექტემბერს მოწამებრივად აღსრულებული სამღვდელო კრებულის: გერმანეს (ჯაჯანიძე), იეროთეოზის (ნიკოლაძე), სიმონის (მჭედლიძე) და ბესარიონის (კუხიანიძე) – ხსენების დღედ დააწესა სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა. მათთან ერთად წმინდანებად შერაცხნენ „ყოველნი, უღმრთოთაგან მოწყვედილნი უკანასკნელ ჟამს".

გთავაზობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, დამანა მელიქიშვილისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, სოსო ვანტურიშვილის მიერ „ჩეკას" არქივის მასალების მიხედვით მომზადებულ პუბლიკაციას.

# წმინდა მღვდელმოწამენი – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდელო კრებული

საქართველოს ისტორიამ ქრისტიანული რჯულისათვის წამებულთა არაერთი სახელი შემოგვინახა. ღვთის განგებით გამორჩეული ეს მოწამენი სწორედ ისეთ დროს მოევლინებოდნენ ხოლმე ერს, როდესაც იგი სულიერ შეჭირვებას განიცდიდა და დაცემის გზაზე იდგა. როდესაც ამა თუ იმ დროის საჭეთმპყრობელნი „მრავალთა აცთუნებდნენ და გარდაზსდრეკდნენ გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებისა ქრისტეს სახარებისასა: ზოგს – მძლავრებით, ზოგს – შეტყუვილით, რომელთამე – სიურმესა შინა უმეცრებით, რომელთამე – მზაკუვარებით, მანქანებითა მათ საცთურებისათა"... სწორედ ესევითარსა ჟამსა შინა გამოჩნდებოდნენ ხოლმე ახოვნად წმიდა მოწამენი, რომელთა თავგანწირვა სულიერად განამტკიცებდა და განაცხოველებდა „მძლავრებასა ქუეშე დამონებულ, სიგლახაკითა შეკრულ, ხარკსა ქუეშე გუემულსა და შიშით განლეულსა" და ღვაწმიდით მრევლ ერს...



ჩვენ ვიცით იმათი სახელები – არაბთა,მონღოლთა, სპარსთა თუ თურქთა ბატონობის ხანაში წამებულთა... მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცოდით სახელები ჩვენი საუკუნის, ჩვენი დროის ახალმოწამეებისა, რომელთა მოწამებრივ აღსასრულს 70 წელი თუ გვაშორებს. ამ ღირსი მამების ღვაწლის, ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე მოხდილი ვალის მოხსენება კი გვმართებს არა იმდენად მათთვის სათანადო პატივის მისაგებად (რასაც მათი ქრისტიანული თავმდაბლობა სრულიად გამორიცხავდა), არამედ უფრო ჩვენი რწმენადაკარგული და ცოდვებით დამძიმებული საზოგადოების, ჩვენი მშფოთვარე და გზააბნეული ახალგაზრდობის სულის გასაცხოველებლად და აღსაზრდელად...

სამწუხაროდ, ქართველმა ერმა ჯერ კიდევ ვერ გაიცნობიერა მათი მოწამებრივი აღსასრულის მნიშვნელობა: ერთი იმიტომ, რომ ეს წლების მანძილზე დაფარული იყო და საიდუმლოებით მოცული. მეორეც – მათი მოწამებრივი აღსასრულის მნიშვნელობის გაცნობიერებას დრო და მანძილი სჭირდებოდა...

ტროპარი: რომელთა მრავალნი წყლულებანი დაითმინენით და უკანასკნელ მოიკვლენით ქრისტესთვის, წმიდანო ახალმოწამენო ქართველთა ერისანო: ნაზარი, გერმანე, იეროთეოზ, სვიმონ, ბესარიონ და ყოველნო უკანასკნელსა ჟამსა მოწყვედილნო უღმრთოთაგან, ჩვენთვისცა ევედრენით უფალსა,ნეტარნო, რათა მშვიდობა ჰყოს სამწყსოისა და ერისა ქრისტეანეთასა, რამეთუ გაქუსთ კადნიერებაი წინაშე ღვთისა.

კონდაკი: მხნესა მოწამესა ნაზარის და სულიერთა ძმათა მისთა და მათთანა ახალ მოწამეთა პატივს-ვსცემდეთ, ვითარცა ახალნერგთა ზეთისხილისათა, რამეთუ ნეტარ არს მიწა იგი, რომელ განიპოხა სისხლითა მათითა, და წმიდა-სამარხნი იგი, რომელთა შეიწყნარეს გვამნი მათნი. ამისთვისცა გამოსწნდეს ერისა ჩვენისა სიქადულად.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში მიძიებული აქამდე „სრულიად საიდუმლო" მასალების მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ ამ წმინდა მღვდელმოწამეთა ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღეები...

ნაზარი მიტროპოლიტს ბრალად ედებოდა საეკლესიო განძეულობის გადამალვა და გენუის საერთაშორისო

კონფერენციისადმი მიმართვაში მონაწილეობა. ჯერ დახვრეტა პატიმრობით შეუცვალეს, მაგრამ, ამნისტიის საფუძველზე, ორი წლის შემდეგ 1924 წლის აპრილში გაათავისუფლეს ციხიდან. იგი დაუბრუნდა თავის ეპარქიას, მაგრამ არ შეუშვეს სამიტროპოლიტო რეზიდენციაში და მღვდელმთავარი იძულებული გახდა თავისი ძმის ოჯახში შეეფარებინა თავი...

უდრტვინველად ატარებდა მიტროპოლიტი ნაზარი თავის მძიმე ჯვარს – ბევრ ლანძღვასა და დამცირებას იტანდა ახალგაზრდა კომკავშირელებისა და ურწმუნო მოხელეთაგან. ერთხელ, ბზობის დღესასწაულზე, მიტროპოლიტი ბავშვებთან ერთად ანთებული სანთლებით ეკლესიის ეზოდან გამოდიოდა. კომკავშირელები ყვირილითა და ლანძღვა-გინებით მიცვივდნენ მასთან. მიტროპოლიტს დინჯად გაუგრძელებია გზა და სინანულით უთქვამს: „შეუნდოს ღმერთმა, რამეთუ არ იციან, რასა იქმან". მიუხედავად შევიწროებისა, მწყემსმთავარი დაუცხრომლად იღვწოდა თავის ეპარქიაში. როგორც მისი პირველი გასამართლების დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, იგი ხშირად ჩამოივლიდა ხოლმე თავისი ეპარქიის სოფლებში, შეკრებილ მრევლს უქადაგებდა საღმრთო წერილს, ესაუბრებოდა სიკეთესა და სათნოებაზე, აძლევდა ზნეობრივ დარიგებებს, მოძღვრავდა, რათა მტკიცედ მდგარიყვნენ ქრისტეს რწმენაზე. იგი ხშირად გამოდიოდა ქრისტიანული რწმენისა და ეკლესიის დასაცავად, ხელყოფისაგან იცავდა საეკლესიო ქონებას...

ყოველივე ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ მიტროპოლიტი ნაზარი საბჭოთა სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით საშიშ პიროვნებად ჩაეთვალათ და მეთვალყურეობა დაეწესებინათ მასზე.

და აი, 1924 წლის 2 აგვისტოს, სვირის რაიონის ალმასკომში ვინმე „მეთვალყურის" ხელმოწერით შევიდა განცხადება: „როდინოულის თემში მოვიდა ვიღაცა გადაცმული მღვდლები, ახდენენ კრებებს ამალამ და მიაქციეთ ყურადღება".

ამ განცხადების ასლი სახაზინო ბეჭდით დამოწმებულია სვირის რაიონის მილიციის უფროსის მიერ, რომელსაც რაიალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე განცხადებაზე წარწერით ავალებს აღნიშნული პირების დატყვევებას და რაიალმასკომში წარმოდგენას.

ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზარისთან ერთად დაპატიმრებულ იქნენ დეკანოზები: გერმანე ჯაჯანიძე, ვასილ დოლაბერიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდლები: სიმონ მჭედლიძე, პოლიევქტი ვარდოსანიძე, დომენტი გიორგაძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე და მთავარი დიაკონი ისიდორე სვანიძე.

მათ წაუყენეს ბრალდება – „მთავრობის საწინააღმდეგო არალეგალური კრების მოწყობა და ადგილობრივი მმართველობის დაუმორჩილებლობა".

სინამდვილეში კი, აი, რა მოხდა:

1921 წლიდან როდინოულის ეკლესია გადაკეთებული იყო თეატრად. 1923 წლის დეკემბერში ეკლესიის გახსნის მიზნით არჩეულ იქნა როდინოულის თემის საეკლესიო საბჭო. მორწმუნეთა მოთხოვნით 1924 წლის დაახლოებით 2 მაისს მთავრობამ ეკლესია დააბრუნა და ჩაიბარა როდინოულის თემის საეკლესიო საბჭომ, რომელმაც მორწმუნეთა შემოწირულობებით შეაკეთა და მოაწყო იგი. ამის შემდეგ საბჭოს ერთ-ერთი წევრი გაიგზავნა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტთან თხოვნით, რათა იგი მობრძანებულიყო და ეკურთხებინა ეკლესია. გადაწყვეტილა, რომ 2 აგვისტოს, შაბათ დღეს, მიტროპოლიტი ნაზარი თავისი სამღვდელო კრებულითურთ ჩამოვიდოდა როდინოულში, აკურთხებდა ეკლესიას და ჯვარს წირვასაც დააყენებდა. 30 ივლისს მიტროპოლიტს ქუთაისის საკათედრო კრებულის წინამძღვრისათვის, დეკანოზ ვასილ დოლაბერიძისათვის, გაუგზავნია როდინოულის ადგილობრივი მღვდელი დომენტი გიორგაძე, რომელსაც მისთვის გადაუცია მიტროპოლიტის ბრძანება, რომ ეცნობებინა სამღვდელო კრებულისათვის, რათა 2 აგვისტოსათვის მომზადებულიყვნენ („თავის მასალითა და ბარგით") როდინოულის ეკლესიის საკურთხებლად. ხუთშაბათს, 31 ივლისს, მასთანვე მისულან ეკლესიის იკონოსტასის გამკეთებელი გრიგოლ თავთქირიძე და როდინოულის რელიგიური საბჭოს წევრი გრიგოლ ჩუბინიძე, რომელთაც გამოუცხადებიათ მიტროპოლიტის ბრძანება, რომ შაბათს, 2 აგვისტოს, 10 საათის მატარებლით უნდა გამგზავრებულიყვნენ როდინოულს. საკრებულოს წინამძღვარს, დეკანოზ ვასილ დოლაბერიძეს, ყოველივე ეს უცნობებია დეკანოზ გერმანე ჯაჯანიძისა და მთავარ დიაკონ სვანიძისათვის. 1 აგვისტოს საღამოთი დეკანოზ იეროთეოზ ნიკოლაძეს და პროტოდიაკონ ბესარიონ კუხიანიძესაც აცნობეს, რომ ნაზარი მიტროპოლიტთან ერთად 2 აგვისტოს უნდა გამგზავრებულიყვნენ როდინოულში ეკლესიის საკურთხებლად.

2 აგვისტოს დილის 10 საათისათვის ყველამ ქუთაისის სადგურში მოიყარა თავი. მიტროპოლიტს ახლდა თავისი ორი ახალგაზრდა ძმისშვილი, მოსწავლეები – არჩილი და ნიკოლოზი. აქვე მოვიდა მღვდელი ლავრენტი კაპანაძე, რომელსაც თავისი 10 წლის შვილი ცოლეურებში მიჰყავდა. ნაზარი მიტროპოლიტმა იგი მგზავრად მოიწვია. ჩასხდნენ მატარებელში. რიონის სადგურში მიტროპოლიტსა და მის თანამგზავრებს მანდატი მოსთხოვეს, რაც მხოლოდ მღვდელმთავარს აღმოაჩნდა. ადგილობრივი უფროსობა დაუკავშირდა სამტრედიას და შეკითხვის შემდეგ სადგურის უფროსმა სამტრედიიდან ნება დართო მათი გაშვებისა.

დაახლოებით ხუთის ნახევარზე ჩავიდნენ სადგურ სვირში, სადაც მიტროპოლიტსა და მის კრებულს დახვდნენ ადგილობრივი მღვდელი პოლიევქტი ვარდოსანიძე, საეკლესიო საბჭოს წევრი გრიგოლ ჩუბინიძე და როდინოულის ეკლესიის მედავითნე გიორგი საცერაძე ცხენითა და ორი ურმით და წაიყვანეს როდინოულში.

სანამ სალოცავად მოემზადებოდნენ, მიტროპოლიტი ცოტა ხნით იქვე ეკლესიის მეზობლად მცხოვრებ მათე ჩუბინიძის სახლში მიიყვანეს მოსასვენებლად.

დაახლოებით 6 საათისათვის გაისმა ეკლესიის ზარების რეკვა და მობრძანდა მიტროპოლიტი. ლოცვის დროს მის სამღვდელო კრებულს შემოუერთდა სვირის წმ. გიორგის ეკლესიის ყოფილი წინამძღვარი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, 1908–16 წლებში სასულიერო-ზნეობრივი გაზეთის „შინაური

საქმეების“ რედაქტორ-გამომცემელი და 1913–15 წლებში სასულიერო-ლიტერატურული ჟურნალის „განთიადის“ რედაქტორი, დასავლეთის ეპარქიის სასულიერო სასწავლებლების ყოფილი ზედამხედველი, რომელსაც ამ დროისთვის ჩამორთმეული ჰქონდა სტამბაც, გაზეთის გამოცემის უფლებაც და ქუთაისიდან გამოდევნილი, სვირში შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. მისთვის იმ დილით როდინოულის რელიგიური საზოგადოების წევრებს შეეტყობინებინათ მიტროპოლიტის სურვილი მონაწილეობა მიეღო ეკლესიის კურთხევაში.

მწუხრისა და ცისკრის ლოცვის დასრულების შემდეგ, დაახლოებით 9 საათისათვის როდინოულის საეკლესიო საბჭოს წევრებმა სამღვდელო კრებული იქვე მცხოვრები მათე ჩუბინიძის სახლში წაიყვანეს სავახშმოდ. ტრაპეზზე „ზალაში“ მოათავსეს სამღვდელოება, აივანზე კი დასხდნენ სამრევლო საბჭოს წევრები და მოწვეული სტუმრები. ვახშამმა ერთ საათს გასტანა, რის შემდეგაც სამღვდელოება აიშალა და მეორე დღეს მწირველმა მღვდლებმა – გერმანე ჯაჯანიძემ, სიმონ მჭედლიძემ და როდინოულის ეკლესიის მოძღვარმა ილუმენმა დომენტი გიორგაძემ – ნაზარი მიტროპოლიტთან ერთად ზიარების სავალდებულო ლოცვები წაიკითხეს, რის შემდეგაც მიტროპოლიტი ცალკე ოთახში მოასვენეს, დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე და მღვდელი სიმონ მჭედლიძე კი „ზალაში“ დაწვნენ დასაძინებლად მაგიდაზე გაშლილ საწოლზე. სხვები მღვდელ პოლიევქტ ვარდოსანიძის გარდა, რომელიც თავის ცოლისძმასთან წასულიყო, რადგანაც აქ ადგილი აღარ იყო, მეზობლისას გადაუყვანიათ დასაძინებლად.

საეკლესიო საბჭოს წევრები კი სტუმრებთან ერთად აივანზე განაგრძობდნენ ვახშმობას და საუბარს, თუ როგორ დაიკეტა ეკლესია,მერე როგორ აღადგინეს და მოაწყვეს და სხვა. მათთან ერთად იყო პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძეც. შუაღამის 12 საათი იქნებოდა, როდესაც ჭიშკართან მიყურადებული რაიმილიციის უფროსი თანამშრომელი და როდინოულის თემის საბჭოს თავმჯდომარე მილიციელებთან ერთად შეიჭრნენ სახლში და თავს დაადგნენ მძინარე მოძღვრებს, მოუღერეს თოფები და უბრძანეს სასწრაფოდ ადგომა და გაყოლა რაიონში, „თორემ დაგხოცავთო“. მამა გერმანეს მანდატი მოუთხოვია, რაზედაც მათ უპასუხიათ „მანდატი ჩვენ თვითონ ვართ“ და აივანზე უბრძანებიათ გამოსვლა. შემდეგ მოუთხოვიათ „მღვდლების უფროსი“. მიტროპოლიტის გაღვიძება ვერავის უკადრებია – ვერც მღვდელთაგანს და ვერც დიასახლისს – გრიგოლ ჩუბინიძის დას, დომნიკას, რომელიც თურმე ტიროდა და ეხვეწებოდა, თავი დაენებებინათ მღვდელმთავრისათვის. ბოლოს, რადგანაც დაჟინებით ითხოვდნენ და ყვიროდნენ, პროტოდიაკონ კუხიანიძის ჩვენებით,მას გამოურთმევია დიასახლისისათვის ლამპა და შესულა მიტროპოლიტის ოთახში: „შევაღე კარი, როდესაც შევედით, ნაზარმა გამოიღვიძა. მე ვუთხარი, რომ მთავრობის კაცები უნდა იყვნენ, თხოულობენ წაყოლას და აბრძანდით-მეთქი. ამ დროს ერთი შიგნით შემოვიდა, მეორე კი, თოფიანი, კართან იდგა. მისცა წინადადება ახლავე ადექი და ჩაიცვიო. ნაზარმა მოითხოვა მანდატი, მაგრამ მანდატის ჩვენებაზე უარს ამბობდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ, ამდგარიყო, თორემ გესვრითო. ნაზარმა უთხრა: „შეგიძლიათ მესროლოთ და მომკლათ, ჩემი მოკვლისათვის კარგად იცოდეთ, პასუხს გაგებინებთ მთავრობაო. ამ დროს მე მომიღერა თოფი და მითხრა, „გადი აქედანო“. კარიდან კი უფროსმა დაუძახა „რას უყურებთ, ჩქარა მოკიდეთ ხელი და გამოაგდეთ აქეთო“. მაშინ მილიციელები მივარდა, სტაცა ხელები, ააგდო ლოგინიდან და ხელის ჯიკავით გამოაგდეს ზალაში მარტო პერანგის ამარა, ზალიდან კი აივანზე, სადაც დაკავებული მღვდლები იდგნენ. იქ შეჩერდნენ. მაშინ მოუბრუნდა ნაზარი და უთხრა: „შეგიძლიათ მომკლათ, ახლავე მომკალით, მაგრამ ამ ბნელ ღამეში ვერ წამოვალო და მოსთხოვა განმეორებით მანდატი, თუ ვინ იყვნენ. მაგრამ იქაც არ უჩვენებიათ“. შეიქნა წუხილი, ტირილი, შეიარაღებულთ სთხოვდნენ მიტროპოლიტი დილამდე დაეტოვებინათ. მილიციის უფროსს ხერხი უხმარია – „კარგი, ამალამ იყოსო“ და სამაგიეროდ მღვდლებისათვის მოუთხოვია გაყოლა. სინამდვილეში კი, როგორც თვით მისივე ჩვენებიდან ჩანს, მას შეშინებია მღვდლებისა და იქ შეკრებილი ხალხის წინააღმდეგობისა, ყარაული დაუტოვებია მიტროპოლიტთან, რომელიც თავის საწოლში მიბრუნებულა. ამასობაში გრიგოლ ჩუბინიძისას დაბინავებული მღვდლებიც – იეროთეოზ ნიკოლაძე და ვასილ დოლაბერიძეც – მოიყვანეს (ლავრენტი კაპანაძე ადრევე წასულიყო) და მას შემდეგ, რაც დაარწმუნეს, რომ დილამდე მიტროპოლიტს ხელს არ ახლებდნენ, ყველანი ჯერ სოფლის კანცელარიისაკენ წაიყვანეს, ცოტა ხნის ბჭობის შემდეგ კი სვირისკენ გაუყენეს გზას.

ბნელი და ღრუბლიანი ღამე იყო. კრებულის წინამძღვარს – დეკანოზ დოლაბერიძეს მოუთხოვია ბორკილების დადება, იმათ უპასუხიათ – სად ვიშოვოთ რკინის ბორკილებიო, „ჩვენ, საბჭოთა ქვეყანაში ბორკილებს არ ვადებთო“. ამაზე მამა სიმონს უთქვამს – „ბაწრები ხომ იშოვება და ბაწრით გადაგვაბით და ისე წაგვიყვანეთო“– ამას თხოულობდნენ თითქოს იმის გამო, რომ გაქცევა არ დაეწამებინათ და არ დაეხოცათ. ქვეშეცნეულად კი ქრისტეს მოწამებრივ გზას ჰბაძავდნენ წმ. მამები. ძალით აყარეს და გზას გაუყენეს. და მართლაც, მილიციის უფროსმა გასძახა: – „თუ ვინმემ გაქცევა დააპიროს, ესროლეთო“. 28 წლის თემის საბჭოს თავმჯდომარე, პარტიული ახალგაზრდა განსაკუთრებით აქტიურობდა, ჯავრობდა და იმუქრებოდა რევოლვერით: „ახლავე დაგხოცავთ და გაგათავებთო“ (სწორედ მისი ჩვენება ჩანს გადამწყვეტი საბოლოო განაჩენისათვის – „ეკლესიის კურთხევა მოგონილი საბაბი იყო არალეგარული მთავრობის საწინააღმდეგო კრების მოწყობის მიზნით გამოგონილიო“.

შუაღამეს გადაცილებული იყო, დაახლოებით ორ საათზე ისინი ერთსაქენიან ოთახში ჩაამწყვდიეს. არ გასულა ნახევარი საათი, რომ იქვე შემოიყვანეს ნაზარი მიტროპოლიტიც, ფეხშიშველი, თავშიშველი, უპერანგო...

...მას შემდეგ, რაც შეჰპირდნენ, რომ მიტროპოლიტს დილამდე არ ახლებდნენ ხელს და მღვდლები დილეგში ჩაყარეს, მილიციის უფროსი და თემის საბჭოს თავმჯდომარე შემობრუნებულიყვნენ ასისთავისა და ოცისთავის თანხლებით მიტროპოლიტის წასაყვანად: „თუ ნებით არ წამოგვყვებოდა

მიტროპოლიტი. წინასწარ ჩვენ დავამზადეთ ურემი, რომლის საშუალებით უნდა წამოგვეყვანათ". წერს მილიციის უფროსი თავის ჩვენებაში. მას უბრძანებია, მიტროპოლიტი ურემზე ძალით დაესვათ: „ტიტველი დავსვით ურემზე. იქაც ვეცადეთ ტანზე ჩაგვეცვა, მაგრამ ვერც იქ ჩავაცვითო" – იწმუნება ჩვენებაში მილიციის უფროსი – „არ გაჩერდა ურემზე და ამბობდა: „შემკარით ბაწრით, მე უნდა მაწამოთ ისე, როგორც აწამეს იესო ქრისტე, რადგანაც მე ვარ მოსული თქვენს „მოსარჯულებლადო"... რადგანაც ხელით ვერ შევძლებდით წაყვანას, შევკარით ბაწრით და დავაწვინეთ ურემზე. გზაში ყვიროდა „მე ვარ ქრისტე ღმერთის მორწმუნე, მაწამებენ ურჯულო კომუნისტები, როგორც აწამებდნენ ურჯულოები თვით ქრისტესო". გზად გამოიარეს ცხადაძის სახლში, სადაც მღვდელი პოლიევქტე ვარდოსანიძე იყო და ისიც ურემზე დასვეს. მიტროპოლიტს უთქვამს: „მამაო პოლიევქტე,მობრძანდი, მობრძანდი, მხედავ, დაკრული ვარ ურემზეო". დამწუხრებულ ვარდოსანიძეს ხმა არ ამოუღია. და ასე ჩუმად, წვიმაში, გათენებამდე ერთი საათი იქნებოდა, რომ მიიყვანეს სვირის კანცელარიაში. მღვდელმთავარი ჩამოხსნეს ურმიდან და შეაგდეს იმ პატარა ოთახში, სადაც დანარჩენი მღვდლები იყვნენ იმ ღამეს დამწყვდეულები... ნაწამებ მწყემსმთავარს შიშველ ზურგსა და მხრებზე ჩალურჯებული ნაჭდევები და ღარები ჩასდევდა... თითქმის თენდებოდა, რომ სიცივისაგან აკანკალებულ მიტროპოლიტს მღვდლების თხოვნით სამოსელი მოუტანეს. გათენებისას კანცელარიის წინ თავი მოიყარეს მორწმუნეებმა. ისინი მოითხოვდნენ მღვდლების გათავისუფლებას ეკლესიის საკურთხევლად, მაგრამ როდესაც გაიგეს, ჩეკაში იგზავნებიანო, შეშინებულები დაიშალნენ.

ორშაბათს, 4 აგვისტოს, ნაზარი მიტროპოლიტი დაჰკითხეს და მთელი კრებულით „ნებადაურთველი კრების მოწყობის" ბრალდებით გადააგზავნეს ქუთაისში.

იქ საქმე გამოსაძიებლად გადაეცა ქუთაისის მაზრის პოლიტბიუროს პ/პ რწმუნებულის თანაშემწეს, რომელმაც 6 აგვისტოს დაჰკითხა პატიმრები. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მას დაკითხვები დაუსრულებია 18 აგვისტოს, ხოლო ფერისცვალების დღეს, 19-ში, მაშინ, როდესაც მიტროპოლიტი ნაზარი თავისი სამღვდელო კრებულით, ჩვეულებრივ, სადღესასწაულო წირვას აღავლენდა ხოლმე ქუთაისის საკათედრო ტაძარში ღვთის მსახურებელი ერისათვის, იმავე ქუთაისში გამოტანილ იქნა დადგენილება: „მე, ქუთაისის მაზრის პ/ბ პ/პ რწმ. თანაშემწემ, შონიამ, განვიხილე რა საქმე №590 ბრალდების გამო ქუთათელი მიტროპოლიტი ლეჟავა ნაზარის, დეკანოზ ჯაჯანიძის გერმანესი, მღვდელ ვარდოსანიძე პოლიევქტისა, პროტოდიაკონი კუხიანიძე ბესარიონისა, მთ/დ. მღვდელ ხვანიძე ისიდორესი, ბრალდებები: სვირის რაიონის როდინოულის თემის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე წინააღმდეგობის გაწევის, ხელისუფლებისა და კომპარტიის ლიდერების გინებაში, რა წინააღმდეგობით აიძულეს მთავრობის პირები ჩაედინათ ნებადაურთველი და გადაჭარბებული მოქმედებები მთავრობის წარმომადგენლებს, რა საქმეც ძალევა-ძიების და წინასწარი გამოძიებით გამორკვეულია სავსებით, დავადგინე: მოწმეების და ბრალდებულების დაკითხვის გაგრძელება შეწყდეს და იქნეს გამოტანილი ბრალდებულების მიმართ დადგენილება".

განაჩენს ელოდნენ თვის ბოლომდე. 1924 წ. 1 სექტემბერს კი იმავე შონიას მიერ რუსულ ენაზე დაწერილი დადგენილების საფუძველზე, დამნაშავედ სცნეს ხუთი სასულიერო პირი: მიტროპოლიტი ლეჟავა, დეკანოზები – გერმანე ჯაჯანიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე და არქიდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე: **„В устройстве контрреволюционной цели. нелегального собрания и сопротивления местной власти Свирского района... обвиняемые... в селе Родиноули Свирск. района якобы внов(ь) осветит(ь) церко(ь) в селе Родиноули. собрали местных священиков и верующих в доме местного жителя Матвея Чубинидзе и во время ужина вели агитацию против советской власти среди масс."**

მოძღვართა ბრალდება მძიმდებოდა იმითაც, რომ მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა ადრე იყო ნასამართლევი საეკლესიო ქონების გადამალვისათვის, იეროთეოზ ნიკოლაძე და გერმანე ჯაჯანიძე ნასამართლევი იყვნენ ახალი საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის, მღვდელი სიმონ მჭედლიძე კი, რედაქტორ-გამომცემელი სასულიერო-ზნეობრივი გაზეთის „შინაური საქმეებისა", რომელსაც მკვეთრად გამოხატული ეროვნული მიმართულება ჰქონდა და წმ. ილია მართლის გზას განაგრძობდა, შინაპატიმრობაში იყო 1921 წლიდან.

ამას თან დაერთო აგვისტოს აჯანყების მარცხი...

ამგვარად, 1924 წლის 1 სექტემბერს საგანგებო სამეულის (чрезвычайная тройка) გადაწყვეტილებით მხოლოდ ამ ხუთ საეკლესიო მამას მიესაჯა სიკვდილი, რაც ოქმის ამონაწერის მიხედვით იმავე დღეს იქნა აღსრულებული...

გარიჟრაჟზე წაიყვანეს საფიჩხიაზე და იქ, წყალწითელას ზემოთ, ებრაელთა სასაფლაოს ბოლოში დახვრიტეს თხრილის პირას. ამბობენ, ზემოდან წაყრილი მიწა დიდხანს სუნთქავდა და იძვროდაო...

ეს წმინდა მამები მზად აღმოჩნდნენ ქრისტესთვის საწამებლად. მათ არ გაიხადეს ანაფორა, არ უარყვეს ქრისტე, არ უარყვეს ეკლესია,არ უარყვეს ჭეშმარიტი რჯული... ისინი აირჩია უფალმა და გახადა ღირსნი ჭეშმარიტი მცნებებისათვის მოწამებრივი აღსასრულისა...

დანარჩენებმა ვერ დაითმინეს, ვერ დათმეს ამქვეყნიური ცხოვრება. შეინანეს და, შეწყალებულნი, მოთავსებულ იქნენ ქუთაისის პოლიტბიუროს საგანგებო გამოსასწორებელ სახლში... და ვინ იცის, წინ კიდევ რა განსაცდელი ელოდა მათ...

P.S. „სვირის რაიაღმასკომის თავმჯდომარის, ვ. მანჯგალაძის, ჩვენებით, დაკითხვის დროს მიტროპოლიტს უთქვამს: „ქართველი ხალხი ყოველთვის დაუზოგავად იბრძოდა სარწმუნოებისათვის, თავისუფლებისათვის და ამ ჩემს წვალებასაც არ დატოვებს უყურადღებოდო". დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ – იმედი გვაქვს, რომ წმიდა მღვდელმოწამის – ნაზარის – ამ სიტყვებს საუკუნის ბოლოს მაინც მიუგდებს ყურს ქართველი ერი.

ვახტანგ იმნაიშვილი

# ქურუმი დედაენის ტაძრისა

შვეიცარიელმა მეგობრებმა კიტას ერთგვარად გაუადვილეს მისი ქვეყანაში ყოფნის პირველი დღეები. მაგრამ მალე იგი საკუთარ თავს მიენდო, თვითონ უნდა მოენახა გამოსავალი მძიმე მდგომარეობიდან. ბედად, იმავე სახლში, სადაც თვითონ დაიდო ბინა, მეორე სართულზე ცხოვრობდა მისი კიდევ ერთი ნაცნობი გერმანიიდან – ლეა ფლური. ლეა შვეიცარიელი იყო და 1941 წელს გერმანიის ერთ სოფელში, ჰესის ოლდენბურგში, ჰანოვერის მახლობლად, ნაცნობის ოჯახში მოიწვიეს ბავშვების აღმზრდელად. ამ სოფელში 1941 წლის მიწურულს გაიცნო მან კიტა, რომელიც ამ ოჯახის მეგობარი იყო და დროდადრო სტუმრად დადიოდა იქ (სხვათა შორის, სწორედ იქ იმყოფებოდა კიტა 1943 წლის ივლისში, ჰამბურგის დაბომბვისას, როცა მისი სახლი მიწასთან გასწორდა). ლეა მხარში ამოუდგა კიტას, რომლისთვისაც იმ აწეწილ პერიოდში ძნელი იყო შვეიცარიაში საცხოვრებლად ფეხის მოკიდება. საჭირო იყო ათასგვარი ფორმალობის მოგვარება. ლეა ფლური ეხმარებოდა კიტას საბუთების მოწესრიგებაში, მოგვიანებით შველოდა ქართულიდან გერმანულად თარგმნაში და ხშირად, რაკი სპეციალობით მდივანი იყო და მანქანაზე ბეჭდვა ეხერხებოდა, კიდევაც უბეჭდავდა მისი წიგნის მასალებს.



კიტა ჩხენკელი (1895–1963)

კიტა დაბინავდა თეატერშტრასეს №4-ში, ზედ ციურიხის ტბის არხის ნაპირას, შეიძლება ითქვას, ქალაქის ცენტრში. სახლს ლიფტი არ ჰქონდა, მისი ოთახი მეხუთე სართულზე მდებარეობდა და ყოფილი სამზარეულო იყო. მაგრამ კიტამ ნელ-ნელა შეუცვალა იერი თავის ბუდეს. ოთახს იატაკი უსწორმასწორო ჰქონდა, ღია ბუხრიდან ჭერის მხრიდან ხშირად უბერავდა ქარი, ზამთარში კი თოვლის ფანტელებიც შემოიჭრებოდა ხოლმე ოთახში.

კიტასთან რომ მოხვედრილიყავით, ზარი სამჯერ უნდა დაგერეკათ, რადგან იმ სართულზე სხვებიც ცხოვრობდნენ და რამდენიმე ბინას საერთო კარი ჰქონდა. ევროპულ ყაიდაზე მისი კარის მეზობელი ვიღაც გრაფიკოსი იყო. ოთახის ერთ კედელთან დაბალზურგიანი დივანი იდგა მუქი ყავისფერი ხავერდის გადასაფარებლით, რაზეც ქაღალდები და წიგნები იყო დახვავებული. იქვე იდგა საწერი მაგიდაც. კედლებზე ეკიდა ვან გოგის ორი სურათი და მსოფლიოს რუკა. კარის გვერდით ტანსაცმლის კარადა იდგა. ორი სკამის გარდა არავითარი ავეჯი არ ჰქონდა. არც იყო მეტი ადგილი. ერთადერთი ფანჯარა შიგა ეზოში გადიოდა. ნახშირის ღუმელიდან ზამთრობით სასიამოვნო სითბო მოდიოდა. ორი მშვენიერი კავკასიური ხალიჩიდან ერთი კედელზე იყო ჩამოკიდებული, მეორე კი იატაკზე ეგო. საწერი მაგიდის თავზე, ოთახის ჭერში, საკვამლე მილი იყო დატანებული. პატარა კარს იქით ერთი ციცქნა სამზარეულო ჰქონდა მოწყობილი, სადაც გაზქურა ედგა და სხვადასხვა სახის ჭურჭელი თაროზე ჩამომწკრივებული. ასეთი იყო კიტას ბინა ციურიხში მისი ჩამოსვლის პირველ ხანებში.

„მე აქ მონაზონივით ვცხოვრობ. ეს ყოფილი სამზარეულო მყუდრო ოთახად მოვაწყვე. ჩემს მეგობრებს, რომლებიც ამ სახლში ცხოვრობენ, უნდოდათ, რომ მე, როცა აქ ემიგრანტად ჩამოვედი, მათთან მეცხოვრა ქვემო სართულზე. მაგრამ მე ვამჯობინე აქ, ზემოთ, მომეწყო ჩემი ბუდე. მე მყავს მოწაფეები, რომლებსაც მშვენიერი ვილები აქვთ, მაგრამ მაინც აქ ურჩევნიათ რუსულის გაკვეთილების ჩატარება. ქვის იატაკზე მე თვითონ დავაგე ფიცარი. კედელზე დაკიდებული ხანჯლები ნაღდი კავკასიურია, ჩემი სამშობლოდან“, – უხსნიდა კიტა სტუმრებს.

როგორც კი თავშესაფარი გაიჩინა, კიტა საარსებო სახსრების ძებნას შეუდგა. იგი რუსულის კერძო გაკვეთილებითა და თარგმანით ირჩენდა თავს. პირველ ხანებში ვერ მოახერხა, რომ შვეიცარიის უმაღლესი სასწავლებლები გერმანიაში დაწყებული საქმით – რუსულისა და ქართულის სწავლებით – დაეინტერესებინა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გამოჩნდა საამისო საშუალება: ჯერ ციურიხის უნივერსიტეტსა და ფედერალურ ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში მისცეს რუსულის საათები, ხოლო შემდეგ ციურიხის უნივერსიტეტმა დაავალა ქართული ენის კურსის წაკითხვა.

მაგრამ ეს იყო მოგვიანებით. მანამდე კი მისი უმთავრესი საფიქრალი და საზრუნავი განადგურებული სახელმძღვანელოს აღდგენა იყო. დიდი ვაი-ვაგლახით შეძლო კიტამ ერთი ყოფილი თანამშრომელი ქალის მოწვევა გერმანიიდან ციურიხში სამი კვირით. კიტა კვირების განმავლობაში შეუსვენებლად კარნახობდა სახელმძღვანელოს ლექციებს ზეპირად, მეხსიერებაზე დაყრდნობით. როცა გერმანელი ქალი მისგან საღამოს შინ მიდიოდა, რათა ნაკარნახევი გაეშალაშინებინა, წესრიგში მოეყვანა და ქართული ასოები გერმანულ ნაბეჭდში ჩაესვა, კიტა თავის ოთახში თითქმის შესვენების გარეშე, თამბაქოს კვამლში გახვეული, ისე, რომ თავს უფლებას ვერ აძლევდა ერთ საათს მაინც წყნარად დაესვენა, მომდევნო დღისთვის უმზადებდა თანამშრომელს მასალას. ასე გაგრძელდა სრულ სამ თვეს. როცა შვეიცარიაში თანამშრომლის ყოფნის დრო ამოიწურა, კიტას, შეიძლება ითქვას, ძირითადად უკვე დაწერილი ჰქონდა წიგნის თეორიული ნაწილი, რომელიც შემდგომ დამუშავებას საჭიროებდა, გაშალაშინებას მოითხოვდა. „ამ სამი თვის მანძილზე თავი გარეთ არ გამიყვია“, – ამბობდა კიტა. დაახლოებით ამ პერიოდში, 1946 წელს, გაიკეთა მან თირკმლის ოპერაცია – მოზრდილი კაკლისოდენა ორი წამახული ქვა ამოუღეს სხეულიდან. რაკი კენჭისაგანაც მოისვენა, მთელი ძალით შეუდგა წიგნის დასაბეჭდად მომზადებას. მთელ თავისუფალ დროს მას ახმარდა. განადგურებული ბიბლიოთეკის

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ბ.ე“ №6–7

აღსადგენად თუ ხელმეორედ შესაქმნელად კოტა სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებიდან თუ სასწავლებლებიდან ახერხებდა საჭირო წიგნების მიკროფილმების მიღებას. იქიდან წაკითხვა ძნელი იყო, ამიტომ ფირიდან ანაბეჭდებს აკეთებინებდა. ამას კი გვარიანი ფული სჭირდებოდა. განსაკუთრებით ჭირდა სპეციალური ლიტერატურის თვითონ საქართველოდან მიღება.

კოტა ჩხენკელი, ცხადია, მარტო ვერ გასწვდებოდა მეტისმეტად რთულსა და შრომატევად სამუშაოს. მან გადაწყვიტა, თავის ირგვლივ შემოკრიბა თანამოაზრეთა მცირერიცხოვანი წრე, ვინც ერთგულად, უანგაროდ ამოუდგებოდა მას გვერდში. მოვუსმინოთ თვითონ კოტას: „ამ დროს მე მხოლოდ კერძო გაკვეთილებითა და მთარგმნელობითი საქმიანობით ვახერხებდი საარსებო საშუალებათა მოპოვებას და თავის რჩენას. მთელ დარჩენილ დროს წიგნზე მუშაობას ვანდომებდი. ჩემთვის ახლა მთავარი იყო, მეპოვა ხალხი, ვინც გვერდში ამომიდგებოდა. ამასთან, მე მათ ფულად ანაზღაურებას ვერ შევპირდებოდი. სანაცვლოდ მხოლოდ ის შემეძლო, რომ ენათმეცნიერებაში გამეწაფა და მათი ცოდნა გამეღრმავებინა. მე ბედმა გამიღიმა – ჩემ გვერდით აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ჩემი გასაჭირი და უანგაროდ გამიწიეს დახმარება". თავისი რუსულის ლექციებისა და კერძო გაკვეთილების მსმენელთაგან კოტამ შეარჩია სამი ახალგაზრდა ქალი, მასზე 20-25 წლით უმცროსები – ლეა ფლური, იოლანდა მარშევი და რუთ ნოიკომი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, დახმარებოდნენ თავიანთ მასწავლებელს ქართული ენის სახელმძღვანელოს დაწერასა და სრულყოფაში. ლეა ფლურის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა, იოლანდა კოტამ 1946 წელს გაიცნო, როცა ქალიშვილმა მას რუსულში კერძო გაკვეთილების ჩატარება სთხოვა, რაკი მას ჯგუფთან ერთად მეცადინეობა არ უხერხდებოდა შეუფერებელი დროის გამო. იოლანდა თვითონ აძლევდა კერძო გაკვეთილებს მუსიკასა და ენებში და ძალზე შეზღუდული იყო დროით. ბოლოს იოლანდას თანაკურსელი რუთიც შეუერთდა მათ – ისიც კოტას მსმენელი იყო რუსულში. კოტას არ შეეძლო, დახმარების სანაცვლოდ თანამშრომლებისათვის ფულადი ანაზღაურება შეეთავაზებინა – თავის სარჩენ ფულს ძლივს შოულობდა და ჰონორარის გაცემაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. იოლანდა ასე იგონებს კოტასთან ამ თემაზე საუბარს: „რომანისტები, ანგლისტები, გერმანისტები, სლავისტები და კლასიკური ენების სპეციალისტები მრავლად არიან, ქართველოლოგები კი ძალიან ცოტანი ვართ. მე თქვენ ფულს ვერ გადაგიხდით, თუ ჩემი მეცნიერული ასისტენტი გახდებით ქართული ენის გრამატიკის გამოსაცემად მომზადებისათვის. მე გპირდებით, რომ მოგამზადებთ კარგ ქართველოლოგებად და თქვენ საშუალება მოგეცემათ, შეაბიჯოთ თქვენთვის სრულიად უცხო სამყაროში, შემდეგ კი ქართველთა ენა და კულტურა დასავლეთს გააცნოთ, სხვებიც აზიაროთ მათს მონაპოვრებს". დაახლოებით ასეთივე საუბარი ჰქონდა დანარჩენ ორთანაც.

უნდა ითქვას, რომ სამივე თანამშრომელს თავისი ძირითადი სამუშაო ჰქონდა: ლეა ბიუროში მუშაობდა მდივნად, რუთი – „Konzett & Huber"-ის გამომცემლობაში, იოლანდა კი, როგორც ითქვა, კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს. მხოლოდ სამსახურის დამთავრების შემდეგ, როცა თავისუფალ დროს გამონახავდნენ, იკრიბებოდნენ ისინი ჩხენკელის ბინაში და ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტად მიიწევდნენ წინ მათთვის სრულიად უცნაური ენის შესწავლის საქმეში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ ერთგვარი მიდრეკილებაც ჰქონდათ ენების შესწავლისადმი – იცოდნენ გერმანულს გარდა, ინგლისური, ფრანგული, იტალიური და რუსულის შეთვისებასაც ლამობდნენ (იოლანდა ამათ გარდა, კლასიკურ ენებსაც ფლობდა). როცა, ასე თუ ისე, აითვისეს ანბანი, დაიწყო კოტას მიერ მომზადებული „ნედლი" მასალის დამუშავება. „თქვენ ჩემი „საცდელი ბაჭიები" ხართ,– ეუბნებოდა ქალიშვილებს კოტა ხუმრობით,– თქვენი მეშვეობით უნდა შევამოწმო, არის თუ არა გასაგები უცხოელთათვის ქართული ენის ლინგვისტური პრობლემების ჩემეული წარმოდგენა და ახსნა-განმარტება. გთხოვთ, ყველაფერს მეტად კრიტიკული თვალით შეხედოთ და უმნიშვნელოდ ბუნდოვან საკითხზეც მაშინვე მიმითითოთ". მართლაც, წესად ჰქონდათ: ყველაფერი ძალიან მკაცრად, სკრუპულოზურად განეხილათ – თითოეული სიტყვა, თითოეული წევრი წინადადებისა.

მუშაობდნენ ბეჯითად, თავაუღებლად. ხშირად შაბათ-კვირასაც არ უხერხდებოდათ დასვენება. საერთო საქმემ ყველა ერთნაირად ჩაითრია. ასე დამუშავდა პირველი, თეორიული ნაწილი „შესავლისა". ამას უნდა მოჰყოლოდა მეორე, პრაქტიკული ნაწილი, სადაც მოცემული იქნებოდა თეორიული ნაწილის შესატყვისი სავარჯიშო მაგალითები თითოეული ლექციისათვის, საკითხავი ტექსტები ქართული ლიტერატურიდან და მათი გერმანული თარგმანი. ამ ნაწილისათვის კოტას მასალა ჯერ არ ჰქონდა მომზადებული. მაგალითები მან იოლანდასთან ერთად შეადგინა. „ჩვენ ნამდვილი მაგალითების ფაბრიკა ვართ", – ეუბნებოდა კოტა ხუმრობით იოლანდას. საერთოდ, ჯგუფი ციურიხში მუშაობდა, მაგრამ ზოგჯერ, ზაფხულობით ან არდადეგების დროს, ოთხივე სამუშაოდ ლეას დედასთან მიდიოდა მთებში, ბერნის სიახლოვეს, სადაც უფრო მყუდრო სამუშაო პირობები ჰქონდათ და თაკარა მზეც ნაკლებად აწუხებდათ.

ბოლოს დადგა მომენტი, როცა უკანასკნელი ფრაზაც გამართეს და ხელნაწერი პრაქტიკულად მომზადდა დასაბეჭდად. ახლა ახალი თავსატეხი გაუჩნდათ: სად და როგორ დაებეჭდათ მათი მრავალწლოვანი შრომის ნაყოფი, სად უნდა ეშოვათ ფული წიგნის გამოსაცემად? კოლექტივმა, ერთი მხრივ, შვება იგრძნო, რაკი სახელმძღვანელოზე მუშაობა დასრულდა, მეორე მხრივ კი, ახალი საფიქრალი წამოიჭრა – როგორ მიეტანათ მკითხველამდე ამდენი წლის შეუსვენებელი შრომის შედეგი. სირთულეს, უწინარეს ყოვლისა, ქმნიდა ის, რომ წიგნი ორენოვანი იყო, თანაც იმხანად ევროპაში ჭირდა ქართული შრიფტით წიგნის ბეჭდვა – ძნელი იყო ისეთი ფირმის პოვნა, რომლის პერსონალი შეძლებდა ქართულად დაწერილი ტექსტის აწყობას. ქართული შრიფტის აწყობის სტამბის მონახვა ევროპაში, ცხადია, შეიძლებოდა, ძირითადად საფრანგეთში, მაგრამ მათი რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელი იყო, თანაც ისინი არ იყო მოწყობილი საიმისოდ, რომ რთული, მრავალენოვანი, ფრჩხილებიანი გამოკვლევა დაებეჭდათ. ხოლო ის სტამბები, სადაც ეს ხელეწიფებოდათ, იმდენად დიდ გასამრჯელოს ითხოულობდნენ, რომ ის ბევრად აღემატებოდა ციურიხელთა კოლექტივის შესაძლებლობებს. ასე, მაგალითად, მათ მიაგნეს ერთ სტამბას ინგლისში, მაგრამ საერთო ხარჯებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ჩხენკელმა ხელი ჩაიქნია ამგვარი გზით წიგნის გამოცემაზე: „თუ ასეა, მაშინ ჩემი ხელნაწერი სეიფში უნდა შევინახო იმ დრომდე, ხანამ ამ წიგნის გამოცემა რამენაირად შესაძლებელი გახდება".

მაგრამ კოტა ჩხენკელი არ იყო ის კაცი, ვისაც ფრთების ჩამოყრა სჩვეოდა. ქალებმაც აიმაღლეს ხმა – ტყუილად ხომ არ ვიმუშავეთ ამდენ ხანს, თუ წიგნს დაბეჭდვა არ უწერია, მაშინ ხელით

გადაწერა, ფოტოს გადაღებით და ფოტოტიპიური გამოცემას მოვახერხებთ. მათ გაიხსენეს ფრანც ცორელის მიერ გამოცემული „ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის გრამატიკა", რომელიც სწორედ ასეთი სახით დაიბეჭდა რომში 1930 წელს. ეს წიგნი მთლიანად ხელით არის გადაწერილი და ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრება, უკან დახევას გულში არც კი გავივლებთ.

ჩხენკელი დაამშვიდა თანამშრომლების გულწრფელმა სურვილმა, რაღაც უნდა დასკდომოდათ, წიგნი გამოეცათ ნებისმიერ ხერხით. „მე კვლავ დამიბრუნდა ჩემი გაბედულება, მაგრამ ვფიქრობდი, რომ მაინცდამაინც მისაღები არ უნდა ყოფილიყო წიგნის „შინაურულად" გამოცემა – საქმე ხომ მეცნიერულ ნაშრომს შეეხებოდა!"

კიტას მიზნის განხორციელებას, როგორც ჩანს, საფუძველი უფრო ადრე ჩაეყარა, ვიდრე თვითონ ჰქონდათ გათვალისწინებული. 40-იანი წლების ბოლოს მან ამერიკიდან მიიღო თავისი თანამემამულის, პავლე ქარაცხელიას მოწვევა. სტუმრობდა შეერთებულ შტატებში, მონაწილეობა მიიღო იელის უნივერსიტეტში დაგეგმილ ენათმეცნიერთა საერთაშორისო კონგრესში და ამერიკაშიც „გაეხედ-გამოეხედა". კიტას იმის იმედი ჰქონდა, იქნებ ამერიკაში მცხოვრებ მის თანამემამულეებს, ნაცნობებს ან კოლეგებს აღმოეჩინათ დახმარება. იქნებ იქ მოეხერხებინა საჭირო ხალხის გაცნობა, კონტაქტის დამყარება გამომცემლობებთან.

ამერიკაში გამგზავრებასთან დაკავშირებით კიტას სასწრაფოდ უნდა ესწავლა ინგლისური. ამ საკითხში მას ოლანდას დედა დაეხმარა – ის ამერიკაში იყო დაბადებული, ფილადელფიაში და ინგლისურის საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა. ბევრი მოწაფეც ჰყავდა ციურიხში. სხვათა შორის, ის ოლანდასთან ერთად სწავლობდა ქართულს და ერთხელ თავში აზრად მოუვიდა „შესავლის" ინგლისური ვარიანტის მომზადება, რაც განახორციელა კიდეც. როცა ამერიკაში გამგზავრების დრო დადგა, ოლანდას დედის დახმარებით კიტა უკვე [illegible] გაწაფული იყო ინგლისურში.

იდგა 1949 წელი. სამი კვირის მანძილზე მიაპობდა გემი ატლანტიკის ტალღებს. კიტას ფიქრები ერთ საკითხს დასტრიალებდა – იქნებ ოკეანის გაღმა ქართულის სფეროში თავისი მოღვაწეობის რაიმე შესაძლებლობა გამოენახა. ამერიკის კლიმატს მაინცდამაინც ვერ შეეგუა: ძალიან ცხელოდა და მისი შერყეული ჯანმრთელობა ნიადაგ ახსენებდა თავს. ერთ წერილში იგი სწერდა ოლანდას: „მე ხომ ფეხები მაქვს გაფუჭებული. ცოლეთ დაგლეჯარ (ჰამბურგში დაბომბვის დროს მომივიდა ერთგვარი შოკი ფეხებში. მას შემდეგ სისხლის მოძრაობა არ მივარგა)". ჰამბურგთან დაკავშირებით შეიძლება ერთი ამბავი გავიხსენოთ: ერთხელ დაბომბვისას კიტა სხვებთან ერთად მოხვდა სარდაფის ტიპის ბომბთავშესაფარში. ძლიერი აფეთქების გამო კარი ჩაიხერგა და შიგ მყოფი გარეთ გამოსვლას ვერ ახერხებდნენ. კიტამ მთელი ძალ-ღონე დაძაბა, თავისი ძლიერი მხრებით კარი გაამტვრია და იხსნა ხიფათში ჩავარდნილი ხალხი. ამ შემთხვევამ მას სამუდამო კვალი დააჩნია – სისხლის მიმოქცევა გაუფუჭდა, რაც იწვევდა მტკივნეულ კრუნჩხვებს ფეხებში და სიარულს უძნელებდა.

კიტა ამერიკაში 6 თვეს დარჩა.

იმედი, იქნებ რაიმე გამოეძებნა თავისი წიგნის დასაბეჭდად, გაუცრუვდა. ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტის ორმოცზე მეტმა პროფესორმა ინტერესი გამოიჩინა კიტას წიგნის მიმართ, მაგრამ როგორც კი კონკრეტული დახმარების გაწევაზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, როგორც კი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმაზე მიდგებოდა საქმე, მაშინ ენთუზიაზმი მყისვე ქრებოდა. მის წინ ყველა კარი იკეტებოდა და კიტა თავის პრობლემებთან ისევ მარტო რჩებოდა. სხვათა შორის, ამერიკაში მან მიიღო მაცდური წინადადება. რუსულის სპეციალისტად დაეწყო მუშაობა კონგრესის ბიბლიოთეკაში კარგი ხელფასითა და საცხოვრებელი პირობებით, მაგრამ მან უარი უთხრა – ეს მის გეგმებს არ ეთანხმებოდა: მას ქართულისა და საქართველოსთვის სურდა დახარჯულიყო და არა რუსულისათვის. ასე დაბრუნდა ის აუხდენელი ოცნებებით შვეიცარიაში.

ამერიკაში ყოფნამ კიტას ერთი აზრი განუმტკიცა: მთელი საქმე თვითონ უნდა აელო ხელში და თავისი ნაშრომის გამოსაქვეყნებლადაც თვითონ ეხმარა ყოველნაირი ღონე. თვითონ შეესხა ხორცი. მართალია, ჯერ საამისო დრო არ იყო დამდგარი, მაგრამ უპირველეს პრობლემად ნაშრომის დაბეჭდვა რჩებოდა. ამ მიმართულებით მას ამერიკიდან გამომგზავრების წინა დღეს თითქოს ბედმა გაუღიმა. იმ საღამოს კიტა ერთ თავის თანამემამულესთან ერთად ნიუ-იორკის ქუჩებში დასეირნობდა და, თავისი ჩვეულების მიხედვით, ქუჩების ორივე მხარეს განლაგებულ მაღაზიათა და ფირმათა აბრებს ათვალიერებდა, რათა ინგლისურში გაწაფულიყო. უცბად მისი ყურადღება მიიპყრო ბიუროს საბეჭდი მანქანების რეკლამამ: „მთელი მსოფლიოს ალფაბეტები". „ესაა სწორედ ის, რასაც ვეძებდი"– აღმოხდა მას. გამოირკვა, რომ საქმე ეხებოდა ისეთ საბეჭდ მანქანას, რომლითაც შეიძლებოდა ერთდროულად სხვადასხვა შრიფტით მრავალენოვანი ტექსტის დაბეჭდვა. ეს ხომ სწორედ მისი წიგნის დაბეჭდვის შემაფერხებელი მთავარი პრობლემა იყო! იმ საღამოს ამერიკაში მცხოვრებმა ქართველებმა კიტას გამოსათხოვარი ბანკეტი მოუწყვეს. ყველა მათგანი გაოცებული იყო კიტას უარით, ემუშავა კონგრესის ბიბლიოთეკაში. კიტამ ასე აუხსნა მათ თავისი გადაწყვეტილება: „მე ჩემი ამოცანა სხვანაირად მესმის. თქვენ, გეტყობათ, კარგი ცხოვრება მოიწყვეთ აქ. ზოგიერთმა თქვენგანმა კი თავისი სამშობლო სრულიად დაივიწყა. მე ვთვლი, რომ მე ჩემი ქვეყნის ჯარისკაცი ვარ, რომელსაც ხელში იარაღის ნაცვლად კალამი უპყრავს, რომლითაც იბრძვის და ცდილობს, ყველაზე დიდი კულტურული ფასეულობა თავისი ქვეყნისა, ქართული ენა, დაიცვას და საზღვარგარეთსაც გააცნოს, რითაც შეძლებს, მათ გაუღვიძოს ინტერესი დავიწყებული პატარა საქართველოს მიმართ. ჯარისკაცი უბრალოდ, ღარიბულად ცხოვრობს. ამიტომ უნდა დავბრუნდე მე ჩემს პატარა სამუშაო ადგილზე, სადაც ჩემი ერთგული თანამშრომლები მელოდებიან, რომ დამეხმარონ დიდი გეგმების განხორციელებაში. თუ შევძელი ძვირად ღირებული ვარიტაიპერის საბეჭდი მანქანის შეძენა, რომლის რეკლამაც დღეს შემთხვევით ვნახე, მაშინ ჩემი სამუშაო გადარჩენილია. ცხადია, თუ ვივარაუდებთ, რომ ხელის გამმართველს, დამფინანსებელს ვიპოვი. მაშინ ბეჭდვას ჩვენ თვითონ უზრუნველვყოფთ, მაშინ ყველაფერი ჩვენს ხელთ იქნება".

კიტას სიტყვებმა ზოგი მისი თანამემამულე ღრმად დააფიქრა.

ახლა მთავარი საქმე გახდა საქართველოს კეთილმოსურნე ადამიანის პოვნა, ვინც ფულს არ დაიშურებდა „ქართული ენის შესავლის" გამოსაცემად. საბედნიეროდ, ჩხენკელის მოწაფეებსა და მსმენელებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, პატივად ჩათვლიდნენ კიტას დასახული ამოცანის განხორციელებაში დახმარებოდნენ. მით უფრო, რომ თვითონ იყვნენ ამ წიგნის შექმნის თვითმხილველები, ერთგვარი მოწმეები. „შესავლის" ფურცლები ხომ მათ თვალწინ.

უშუალოდ მათი თანდასწრებით იწერებოდა! ამასთან, კიტას, როგორც ადამიანსა და მეცნიერს ძალიან აფასებდნენ. აქვე მინდა ბარემ აღვნიშნო, რომ ვინც კი ახლოს იცნობდა ან პირადად შეხვედრია კიტა ჩხენკელს, ყველა ერთხმად იმეორებს, რომ მას არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებები ჰქონდა, დიდი პიროვნული მიმზიდველობა, მომნუსხველი ძალა, ქარიზმა, რაც თავიდანვე უაღრესად კეთილად განგაწყობდათ მის მიმართ.

დავუბრუნდეთ ისევ საბეჭდ მანქანას. ჯგუფის წევრებს იმედი ჰქონდათ, რომ საოცარი საბეჭდი მანქანის შესაძენად საჭირო ფულს როგორმე შეაგროვებდნენ. მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. სანამ საქმე ბეჭდვამდე მიდგებოდა, სხვადასხვა სახის არაერთი დაბრკოლება იყო გადასალახავი. უპირველეს ყოვლისა, შინ, ციურიხში, დაბრუნებულმა ჩხენკელმა წერილი გაუგზავნა ვარიტაიპერის ფირმას – საბეჭდი მანქანის შეძენა მსურს, თუკი ფირმის რეკლამის თანახმად მას ქართული შრიფტიც ექნებოდა დამონტაჟებულიო: იქ ხომ გარკვევით ეწერა – მსოფლიოს ყველა ალფაბეტი გვაქვსო. კიტას სურდა, რაც შეიძლება მალე მიეღო ფირმისგან მანქანა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ. პასუხმა არ დააგვიანა, მაგრამ ის იმედის გამცრუებელი იყო: „სამწუხაროდ, ჩვენ ქართული ალფაბეტი არ გვაქვს, მაგრამ შეგვიძლია მის ნაცვლად სომხური შემოგთავაზოთ". ეს მძიმე დარტყმა იყო. თუმცა მალე იმედის შუქი მაინც გამოჩნდა: იღბლად, იმხანად (1950 წ.) ფირმა „ქოქსჰედის" პრეზიდენტს ციურიხში მოუწია ჩამოსვლა. კიტამ დიდი გაჭირვებით მოახერხა, პრეზიდენტი მასთან ხანმოკლე შეხვედრაზე დაეყოლიებინა. თხუთმეტი წუთით გათვალისწინებული შეხვედრა საათნახევარს გაგრძელდა. თავისი რკინისებური ლოგიკით კიტამ დაარწმუნა ფირმის პრეზიდენტი, რომ საქართველოს ამერიკისთვის პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლის თამაში შეეძლო. შეხვედრა ხელის ჩამორთმევით დასრულდა – შეთანხმება მიღწეულ იქნა: პრეზიდენტი შეჰპირდა კიტას, რომ ფირმა ქართულ ალფაბეტს დაამზადებდა, მაგრამ კიტას უნდა გაემზადებინა მათთვის ქართული შრიფტის გრაფიკული სახე, დანარჩენს თვითონ ფირმა მოაგვარებდა. ჩხენკელის მიერ მიწოდებული ასოთა მოხაზულობის მიხედვით „ქოქსჰედის" ფირმამ მართლაც ჩამოასხა ქართული ასოები ვარიტაიპერისათვის.

მომავალი მძიმე სამუშაოსათვის, საბეჭდ მანქანაზე სამუშაოდ, ჩხენკელს სჭირდებოდა, ჯერ ერთი, ამწყობი, და მეორე წყარო, დიდი სამუშაო ადგილი. სიტყვა პირველი საკითხი იოლი გადასაწყვეტი იყო – ლეა ფლურის ბიუროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა, ქართულსაც თანდათან დაეუფლა. სხვა კანდიდატურა არც დამდგარა, ის თითქოს თავისთავად ცხადი იყო. მეორე საკითხი უფრო რთული გადასაწყვეტი ჩანდა, მაგრამ აქაც მათკენ იყო ბედი. იმ სახლში, სადაც კიტა ცხოვრობდა, სწორედ მის სართულზევე ერთი გამოუყენებელი ოთახი გამოძებნეს, რომელიც ხარახურით იყო სავსე და რომელშიც ათეული წლების მანძილზე მტვერდადებული რეკვიზიტები ინახებოდა პირველ სართულზე მდებარე სათეატრო მაღაზიისა. ამ ოთახს არავინ აქცევდა ყურადღებას. სწორედ მას დაადგა ჩხენკელმა თვალი. ერთხელ კი მოხერხებული მომენტი იპოვა და სახლის მფლობელს, რომელთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა და მეგობრობდა კიდეც, სიტყვა ჩამოუგდო მიგდებულ ოთახზე „ეგ ის ხარახურით გავსებული ოთახი გჭირდება, გქონდეს, მაგრამ იქ ყველაფერი დაბინძურებულია და საცხოვრებლადაც უვარგისია". – მოწყალება გაიღო მეპატრონემ. კიტა სიძნელეებს არ უშინდებოდა და არც ზიზინი სჩვეოდა. მან სწრაფად დაიწყო ოთახის ათვისება. თანამშრომლებიც ბეჯითად ეხმარებოდნენ „ატელიეს" (ასე ეძახდნენ ახლადნაშოვნ ოთახს) მოწყობაში. მართლაც, როცა გონებრივი შრომისაგან იღლებოდნენ გრამატიკაზე მუშაობისას, მას ფიზიკურ შრომას უნაცვლებდნენ. ოთახი გაწმინდეს ხარახურისაგან და მალე აქამდე შეუმჩნეველი პარკეტის იატაკიც გამოჩნდა. სახლის პატრონი, ჩანდა, ნანობდა კიდეც, რომ სხვას დაუთმო ოთახი, რომელსაც თვითონაც სიამოვნებით მოიხმარდა. ამგვარად შეცვლილი რომ წარმოედგინა წინასწარ, მაგრამ პირვანდელი გადაწყვეტილება არ შეუცვლია. ავეჯი აკლდათ მხოლოდ, მაგრამ ამასაც ეშველა: ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავისი ბინიდან მოიტანა, რისი გამოყენებაც ახალ ოთახში შეიძლებოდა. ფარდებიც დაკიდეს და რამდენიმე კვირის შრომატევადი მუშაობის შემდეგ ვარიტაიპერისათვის მშვენიერი სამყოფელი გამზადდა. ერთ დღეს, როგორც იქნა, ისიც ჩამოუვიდათ ოკეანის გაღმიდან. ყველას ეჩქარებოდა, თვალი შეევლო მათი მხსნელისათვის. ის კი ჩვეულებრივი საბეჭდი მანქანისაგან გარეგნულად მაინცდამაინც არ განსხვავდებოდა, მხოლოდ ცოტათი დიდი იყო. ისე ეჩქარებოდათ, მეორე დღესვე უნდოდათ საცდელი გვერდების დაბეჭდვა, მაგრამ ჯერ მისი ხმარების წესებში უნდა გარკვეულიყვნენ. სანამ ამ წესებს აითვისებდნენ, კიდევ გავიდა მოუთმენლობით აღსავსე დღეები...

ვარიტაიპერზე ბეჭდვა გაცილებით ძნელი გამოდგა, ვიდრე ელოდნენ. მისი რთული სისტემის გამო თითოეული გვერდის ბეჭდვა ორჯერ უხდებოდათ: ერთხელ, ასე ვთქვათ, შავად, მეორედ კი – საბოლოო ვარიანტის სახით. საქმე ისაა, რომ ასოები გარკვეულ ერთეულებად ხარისხდებოდა სიგანის მიხედვით. მაგალითად, 1-იანი შეადგენდა 2 ერთეულს, n-3 ერთეულს, m-4 ერთეულს. სულ სტრიქონზე 96 ერთეული უნდა დატეულიყო. ამიტომ ამ რაოდენობის მისაღწევად სხვადასხვა მანიპულაციის ჩატარება უხდებოდათ. საჭირო იყო წინასწარ გაანგარიშება სტრიქონზე დასატევი ერთეულებისა. თუ 96-ზე მეტი ან ნაკლები გამოვიდოდა, შემდეგ უნდა გაესწორებინათ დადგენილის შესაბამისად. ერთი სიტყვით, ვარიტაიპერი კერკეტი კაკალი გამოდგა. რთული იყო ბეჭდვისას ერთი შრიფტის მეორით შეცვლაც, რადგან აქ, ვთქვათ, არა მარტო ლათინური ასოები უნდა შეცვლილიყო ქართულით, არამედ ე.წ. კოდერით – დისტანციაც ასოებს შორის. თუ, მაგალითად, კაცს დაავიწყდებოდა და ქართულ ტექსტს გერმანული კოდერით დაუწყებდა ბეჭდვას, მაშინ ქართული ასოები ერთმანეთთან ძალიან ახლოს იბეჭდებოდა, თითქოს მიწებებულიაო, და მათი წაკითხვა ჭირდა.

ზოგჯერ კვირის ბოლოს ისინი თავს ნებას აძლევდნენ, ოდნავ შეესვენათ მთელი კვირის დაძაბული მუშაობით გადაღლილებს. მაშინ ისინი კიტას სამზარეულოში იკრიბებოდნენ და აქ მასპინძელი, ერთ ხელში სიგარეტით, ხოლო მეორეში სუფრის კოვზით ასწავლიდა მათ ქართული კერძების მომზადებას, რაც ქალებმა, განსაკუთრებით ლეამ, მშვენივრად აითვისეს. „თუ თქვენ ქართული სულის შეცნობა გინდათ, მაშინ ეს უნდა მოახდინოთ არა მხოლოდ გონებით, არამედ ენითა და სასითაც", – ეუბნებოდა კიტა თანამშრომლებს, რომლებიც ამ სფეროშიც კარგი მოწაფეები გამოდგნენ. მათ დღესაც არ დავიწყებიათ ქართული კერძებისა და სანელებლების მომზადება და მათთან საქართველოდან მისულ სტუმარს აუცილებლად ქართულ ყაიდაზე გაწყობილ სუფრას გაუშლიან. ერთ საინტერესო ფაქტს გავიხსენებ: ლეას დას სპეციალურად ლეასთვის მოჰყავს ქინძი. „მთელ შვეიცარიაში მხოლოდ

მე ერთადერთს მაქვს ეს მწვანილეულით", – ერთგვარი სიამაყით ამბობს ლეა.

1956 წლისთვის „ქართული ენის შესავალი" გამზადდა დასაბეჭდად.

ამ წიგნის გამოცემას საფუძველი ადრე ჩაეყარა. ზოგიერთმა დიდი სახელის მქონე მეცნიერმა გადამწყვეტი როლი ითამაშა მის ხორცშესხმაში. მაგალითად,ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩხენკელის შეხვედრას ჯერ კიდევ 1947 წელს ცნობილ ეთნოლოგ პროფ. ვილჰელმ შმიდტთან ფრაიბურგში, ლონანის მახლობლად. დიდად გაისარჯნენ აგრეთვე ციურიხელი ენათმეცნიერები, პროფესორები იაკობ იუდი, ერნსტ რიში და მანუ ლოიმანი, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ჩხენკელის საქმიანობა და დაინტერესება გამოიჩინეს მისი წიგნის მიმართ. მათი მეშვეობით მოხერხდა წიგნის გამოსაქვეყნებლად ფინანსური დახმარებისთვის საფუძვლის გამონახვა. თავის დროზე ვილჰელმ შმიდტმა კიტა შეაგულიანა წიგნზე მუშაობის გასაგრძელებლად, რადგან თვლიდა, რომ იმხანად არ არსებობდა კარგი სახელმძღვანელო ქართული ენის შესასწავლად და ისეთი მნიშვნელოვანი სფერო ენათმეცნიერებისათვის, როგორიც კავკასიური ენებია, ფაქტობრივად tabula rasa- ს წარმოადგენდა. „მე რომ 80 წლისა არ ვიყო, უთუოდ შევუდგებოდი ქართულის შესწავლას", – განუცხადებია მხცოვან მეცნიერს კიტასთვის.

რაკი სხვა გზა არ ჩანდა, ჩხენკელმა გადაწყვიტა, წიგნი საკუთარ გამომცემლობაში დაებეჭდა. ერთ პირად წერილში იგი წერდა: „შვეიცარიის მთავრობამ დიდი პატივი და მე, როგორც უცხოელს და თანაც უსახსრო ადამიანს, მომცა უფლება,მომეწყო აქ ქართული გამომცემლობა. თანაც მაფრთხილეს, პოლიტიკური ვითარების გამო, შესაძლებისდაგვარად, გამომცემლობამ უნდა აწარმოოს საქმეები გერმანულ ან ფრანგულ ენაზე. სხვა რომ არა იყოს რა, მე თვითონ ვალდებული ვარ იმ პირთა მიმართ, რომელნიც თავის დროზე ჩემი შრომის გამოქვეყნების საქმეში დამეხმარნენ. საქმე ისე ვაწარმოოთ, რომ მათ ჰქონდეთ საშუალება,თვალ-ყური ადევნონ გამომცემლობის საქმიანობას. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ამირანის" გამომცემლობას კომერციასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მისი ამოცანა არის, მხოლოდ გზა გაუხსნას ქართულ ენას უცხოეთში". კიტამ საკუთარ გამომცემლობას თავდაპირველად „კოლხეთი" დაარქვა: „Kolchis-Verlag". წიგნები დასაბეჭდად გადასცეს ცნობილ გერმანულ ფირმას „Herder-Druckere" (ბრაისგაუს ფრაიბურგში). ძალიან გახარებულები და აღტაცებულებიც იყვნენ, როცა წინასწარი ანაბეჭდები მიიღეს სტამბიდან, რათა ავტორისაგან ბეჭდვის გაგრძელების საბოლოო ნებართვა მიეღოთ. მართლაც, კარგი ნაბეჭდი იყო და კიტამ თავმომწონედ აჩვენა ზოგ თავის კოლეგას უნივერსიტეტში. მაგრამ ერთმა მათგანმა ცივი წყალი გადაასხა. ამ კაცს,ეტყობა,არაფერი სმენოდა კოლხეთის, ოქროს საწმისისა და მედეას შესახებ და გულუბრყვილოდ ჰკითხა კიტას: თქვენი გამომცემლობის სახელწოდებას რაიმე საერთო ხომ არა აქვს რუსულ колхоз-თანო. კიტა გაოგნდა. პასუხიც არ დააყოვნა: სამი დღის შემდეგ ჩხენკელმა გამომცემლობას ახალი სახელი შეურჩია – „ამირანი", თუმცა ეს ძვირად დაუჯდა: საჭირო გახდა უკვე დაბეჭდილი 3000 ეგზემპლარისათვის შმუცტიტულის გამოცვლა. სამაგიეროდ „ამირანი" უკვე აღარავის აერეოდა სხვა სახელში!

ვარიტაიპერი 1953 წელს მიიღეს. ხელნაწერი დასაბეჭდად 1956 წლისთვის იყო უკვე გამზადებული. ლეა ორი წლის მანძილზე ბეჭდავდა უკვე საბოლოოდ რედაქტირებული ხელნაწერის ფურცლებს ოფსეტური ბეჭდვისათვის მოსამზადებლად. 1958 წელს წიგნი დაიბეჭდა ფრაიბურგში (გერმანია).

„ქართული ენის შესავალს" ახლავს ავტორისეული მიძღვნა: „ყველას, ვინც უანგაროდ მედგა გვერდით ამ წიგნის შექმნისას თანამშრომლობითა თუ ფინანსური დახმარებით,ვინც ამ ნაშრომისთვის თავის დადებით სრული კმაყოფილება მიიღო და არ ისურვა, რომ მათი სახელი მომეხსენიებინა,– გულწრფელი მადლობით ვუძღვნი ამ წიგნს".

„ქართული ენის შესავალს" აღფრთოვანებული გამოხმაურება მოჰყვა. ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ეს იყო საუკეთესო სახელმძღვანელო. წიგნში, რომელიც მოიცავს თეორიულსა და პრაქტიკულ ნაწილებს, ნათლად ჩანს ავტორის დიდი პედაგოგიური ალღო, ნიჭი და რთული საკითხების ნათლად გადმოცემის უნარი. ამ სახელმძღვანელოს გამოცემის შემდეგ ქართული უკვე აღარ ეჩვენებოდათ ენად, რომლის შესწავლაც შეუძლებელია, არადა ასეთი სახელი ჰქონდა მას აქამდე.

შვეიცარიის ბიბლიოფილთა საზოგადოების ჟურნალი „ლიბრარიუმი" წერდა: „პრიზი რომ ყოფილიყო დაწესებული ისეთი წიგნისათვის, რომელიც, მიუხედავად დიდი ფათერაკებისა და დაბრკოლებებისა, მაინც შეიქმნა და გამოიცა, ეჭვგარეშეა, მას „ქართული ენის შესავალი" მიიღებდა... ეს წიგნი არა მხოლოდ ენათმეცნიერული კუთხით არის მეტად დიდი მნიშვნელობისა, არამედ შექმნის ისტორიითაც ჩვენი დროის საგულისხმო დოკუმენტს წარმოადგენს. ამ ისტორიაში კი არეკლილია სულიერი და პოლიტიკური ბედი ევროპელი კაცისა და მისი მრავალჭირნახული, დაქსელილი კონტინენტისა. თუმცა საქართველო ამ რეგიონის კიდეში მდებარეობს, მაგრამ მისმა ხალხმა ერთმა პირველთაგანმა იწვნია ეს მწარე ბედი, ისე როგორც, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპა იწვევს თანაგრძნობას მთელი მსოფლიოს თვალში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქართველო დასავლეთის მხრივ სრულიად მივიწყებულია. რომ დასავლეთის სამყაროსთვის ეს მივიწყებული საქართველო გაეხსენებინა, რომელიც მისი ჩრდილოელი მეზობლის მიუხედავად თავის ნაციონალური და კულტურული თავისებურების დაცვას ცდილობს- სწორედ ეს იყო ავტორის მიზანი".

ერნსტ რიში „Neue Zurcher Zeitung"–ში წერდა: „დიდ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს, რომ ციურიხში მცხოვრებმა ქართველმა, კიტა ჩხენკელმა, ცხოვრების მიზნად დაისახა, თავისი დედაენა ყოვლისმომცველად წარმოედგინა და უცხოთათვისაც მისაწვდომად გაეხადა".

„ქართული ენის შესავალს" კიტამ მუქი მინდისფერი ყდა გაუკეთა, დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ფერის შესაბამისად. სხვათა შორის, „ამირანის" გამომცემლობის გრიფით გამოსულ სხვა წიგნებსაც სიმბოლურად ასეთივე ფერის ყდა გაუკეთდა: „ქართულ-გერმანული ლექსიკონის" სამტომეულსა (1974) და იოლანდა მარშევის „ქართული ენის მორფემებს" (გერმანულ ენაზე 1986).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩხენკელის ჯგუფი ერთად მხოლოდ ძირითადი სამსახურის დამთავრების შემდეგ იკრიბებოდა, როცა მის წევრებს თავისუფალი დრო რჩებოდათ. ეს ყოველთვის არ უხერხდებოდათ. ზოგს როდის ჰქონდა მოცლა და ზოგს – როდის. ძალაუნებურად პაუზაც გამოსდიოდათ. სწორედ ასეთი პაუზების დროსაც კი ვერ ჩერდებოდნენ და შემოქმედებითს საქმიანობას სხვა მიმართულებით აგრძელებდნენ.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**



საპარლამენტო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფრთხილად „დედაენაა“!!!

„დედაენა“ და „ბუნებისკარი“ სახელმძღვანელოები კი არა, უდიდესი პოემებია. მე თანახმა ვიქნები გამოვიდეს ეხლა ეს წიგნი არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ წიგნად“.- ამას გალაკტიონი იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ ბრძანებს. მაგრამ, სამწუხაროდ, „დედაენას“ დღეს სახელმძღვანელოდაც ვიწუნებთ და იწყება შეჯიბრი, ვინ უარეს „დედაენას“ შექმნის. გიწვევთ ამ თემაზე სამსჯელოდ. მიზანი: გაირჩეს ავი და კარგი!




# ექსპერიმენტები გრძელდება, შედეგები რთულდება...

ნინამდებარე სტატია წარმოადგენს მეტად მტკივნეულ საკითხზე წამოჭრილი პოლემიკის გაგრძელებას, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ წამოიწყო ქართულმა პრესამ და რომელშიც ერთნაირად მონაწილეობენ როგორც მეცნიერები, ისე პრაქტიკოსი მასწავლებლები. საქმე ეხება „დედაენის“ ირგვლივ წამოჭრილ კამათს (იხ. ავტორთა კოლექტივის „საშვილიშვილო ნერგს ფესვებს ნუ აჭრიან“. გაზ. „თბილისი“, 9.12.1997; ნ. ბუჯიაშვილის „ეს გზა საშინელოსთან მიდის“, გაზ. „თბილისი“. 23/XII,1997 წ.- ფილ. მეცნ. კანდ. გ. ბოჯგუას „დედაენა“,“ დედაენა“. გაზ. „საუკუნის გადასახედი“. 1-2 მარტი, 1998 წ. „პროფ. მ. ჩიქვალაძის „ნუ დაგვბნევთ მასწავლებლებს“. გაზ. „თბილისი“, 12 მარტი, 1998 წ.). საპოლემიკო საკითხი მეტად მწვავეა, რამდენადაც იგი შეეხება ყველა ქართველისათვის ერთნაირად საყვარელსა და სათაყვანო წიგნს – ი. გოგებაშვილის „დედაენას“.

ანბანის სახელმძღვანელოთა შექმნა საქართველოში „დედაენით“ არ დაწყებულა, მას დიდი ხნის ისტორია აქვს. წერა-კითხვის პირველი ბეჭდური სახელმძღვანელო რომში გამოიცა 1629 წელს, ავტორად ნიკიფორე ირბაქს მიიჩნევენ. ამას მოჰყვა პეტერბურგში დაბეჭდილი „რუსულ-ქართული ანბანი“ (1737 თ. პროკოპოვიჩის „პირველი სასწავლო ყრმათა“ (მოსკოვი, 1739 წ.), გაიოზის ანბანი (მოზდოკი, 1797 წ.), ტარასი მღვდელ-მონაზონის ანბანი (1825 წ.), პლატონ იოსელიანის ანბანი (1838 წ.), ი. კერესელიძის „ანბანი ახალ მოსწავლე ყრმათათვის“ (1862 წ.), ს. მღივნოვის ანბანი (1863 წ.), დ. ყიფიანის „ქართული ანბანი“ და წიგნი საკითხავად მდაბიო ხალხთათვის“ (1863 წ.), პ. უმიკაშვილის „ანბანი“ (1864 წ.), „ანბანი და სასარგებლო წერილნი ყმაწვილთათვის“ (1868 წ. თარგმანი რუსულიდან), ლ. ჩომახიძის „ქართული ანბანი“ (1875 წ.), რ. ისარლიშვილის „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად“ (1875 წ.), ა. ჯუღელის „ყმაწვილის სარკე“ (1887), ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865 წ.).

ბუნებრივია, ანბანის ყველა ეს სახელმძღვანელო ერთნაირი ღირსების არ ყოფილა, ამიტომაც ზოგიერთი მათგანი გამომცემლის მაგიდას ვერ გასცდა. ზოგიერთი კი დამკვიდრდა მაშინდელ სკოლებში. მიუხედავად ამისა, ყველა ამ წიგნმა 1876 წელს ადგილი დაუთმო ი. გოგებაშვილის „დედა ენას“, რომელიც გადამუშავებული სახით დღემდე იხმარება ჩვენს სკოლებში და აქამდე ფაქტიურად ანბანის ერთადერთ სახელმძღვანელოდ ითვლებოდა. ცნობილია, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მაშინდელ სკოლებში შეტანას არავითარი „ზემოდან“ ზეწოლა ან ძალდატანება არ დასჭირვებია. სკოლამ თავად აირჩია იგი და დღემდე კარგ სამსახურს უწევს ქართველ ხალხს. ყოველ შემთხვევაში, სხვა სახელმძღვანელოებთან შედარებით მას ყველაზე ნაკლები კრიტიკოსი ჰყავს.

ჩვენი დღევანდელი წერილის მიზანი სრულიადაც არ გახლავთ ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოსარჩლება. საბედნიეროდ, მას უჩვენოდაც მრავლად ჰყავს გულშემატკივარი და დამცველი. ჩვენ დღეს მხოლოდ ერთ საკითხს გვინდა შევეხოთ – რამდენად აკმაყოფილებენ პედაგოგიური მეცნიერების მოთხოვნებს ის სახელმძღვანელოები, რომელთაც სურვილი აქვთ „დედაენა“ შეცვალონ. ასეთი სახელმძღვანელოები კი დღეისათვის უკვე საკმაოდ მოიპოვება.

ე.წ. „ალტერნატიული სახელმძღვანელოები“ სხვა საგნებშიც შეიქმნა, მაგრამ ყველაზე მეტი „მოქიშპე“ „დედაენას“ გაუჩნდა. ალბათ, იმიტომ, რომ ანბანის სახელმძღვანელოს შედგენა (განსხვავებით ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის სახელმძღვანელოთაგან) ერთი შეხედვით მარტივი საქმეა და მხოლოდ ანბანის ცოდნას მოითხოვს. ამიტომ მისი შედგენა ერთნაირად „ხელეწიფება“ ფილოლოგსაც, მათემატიკოსსაც და გეოგრაფ-გეოლოგსაც. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს- ვისი რა საქმეა, როგორია ეს სახელმძღვანელოები,ან ვისი შედგენილი, ისინი ხომ კერძო სკოლებისათვის არიან განკუთვნილი. მაგრამ ეს არ იქნება თავის გასამართლებელი მიზეზი, რადგანაც ყოველი სახელმძღვანელო, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ არის დამტკიცებული, უნდა აკმაყოფილებდეს სათანადო პედაგოგიურ-მეთოდიკურ მოთხოვნებს, თუნდაც ერთი ბავშვისათვის რომ იყოს დაწერილი. თანაც, ზოგიერთ მათგანს უკვე გაუჩნდა სახელმწიფო სკოლებში შეღწევისა და იქიდან ი. გოგებაშვილის „დედაენის“ გამოდევნის პრეტენზია.

ამჟამად ჩვენი მსჯელობის საგანს წარმოადგენს ანბანი, რამდენიმე სახელმძღვანელო: 1. ა. აბაიშვილის „დედა ენა“. შედგენილი რუსთავის გ. რჩეულიშვილის სახ. დამოუკიდებელ სასწავლებელში, 1993 წ.; 2. ზ. ვახანიას „დედაენა“. საცდელი სახელმძღვანელო პირველკლასელთა გაღრმავებული სწავლებისათვის, საგანმანათლებლო-შემოქმედებითი საზოგადოება „ქართველი“, თბ., 1995 წ.; 3. ე როდონაიასა და ავტორთა ჯგუფის (ლ. ვაშაკიძის, ქ. თოფაძის, მ. მირიანაშვილისა ბერძენიშვილის, ლ. წერეთლის) „დედაენა“ სკოლა-პანსიონ „მერმისისათვის“ 1997 წ. 4. ე. ხუფაცარიას, ა. მენთეშაშვილის, ქ. მიქელაძის, ლ. სამანაშვილის „დედაენა“ სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლის პირველი კლასისათვის, თბ., 1997 წ. 5. თ. ფერაძე-აბაშიძის, ლ. სარალიძის, ლ. ნებიერიძის, ა. ქელბაქიანის „დედაენა“ ლოგოპედიური სკოლებისათვის“, თბ., 1997 წ.

ამ სახელმძღვანელოთა უმრავლესობას აწერია, რომ „შედგენილია ი. გოგებაშვილის პრინციპების მიხედვით“. ამიტომაც მათს ანალიზსაც ი. გოგებაშვილის „დედა ენასთან“ მიმართებით მოვახდენთ. გამონაკლისია სკოლა-პანსიონ „მერმისის „დედაენა“, რომელიც დიდი პედაგოგისაგან მხოლოდ სახელმძღვანელოს სახელწოდებას „სესხულობს“, სხვა მხრივ სრულიად განსხვავებულად უდგება წერა-კითხვის სწავლებას და სრულიად ახლებურ „მეთოდს“ გვთავაზობს.

1. ე აბაიშვილის „დედა ენა“ – წიგნის ზერელე გადათვალიერებაც კი უნებლიე შეკითხვას ბადებს: რისი სახელმძღვანელოს

დაწერა ჰქონდა განზრახული ავტორს- ანბანისა თუ რელიგიისა? რელიგიური მასალა ხელოვნურად არის დაკავშირებული ქართულ ასოებთან, რაც ხშირად გაუგებრობას, ზოგჯერ კი ღიმილსაც იწვევს. მაგალითად, სრულიად გაუგებარია, რა პრინციპით დააკავშირა ავტორმა ერთმანეთთან სტეფილოსა და ეკლესიის, ქრისტეს ჯვარცმისა და ნათურის, ბეთლემისა და ვერტმფრენის, ევასა და მატარებლის... სურათები. რელიგიური მასალა ხშირ შემთხვევაში რთულია და მოსწავლეთა ასაკისათვის შეუფერებელი, გადატვირთულია ლოცვებით. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ი. გოგებაშვილის სიტყვები: „ისე არაფერი ამახინჯებს, აშრობს და ჰკლავს კაცის გულში რელიგიურ გრძნობას, როგორც უაზროდ, გაუგებრად, თუთიყუშივით გაზეპირება ლოცვებისა სიპატარავის დროს. გონებითი ენება ამ პედაგოგის წინააღმდეგი ჩვეულებისა, ხომ კიდევ მომეტებულია".

წინასაანბანო პერიოდისათვის შერჩეული მასალა არ არის აღებული მოსწავლეთათვის საინტერესო და ნაცნობი გარემოდან, არ ითვალისწინებს მათს ასაკობრივ თავისებურებებს და მთლიანად უგულებელყოფს დიდაქტიკის ... თავდ პრინციპებს. წინასაანბანო სურათები ხშირად რებუსების შთაბეჭდილებას ტოვებს. ასე მაგალითად, მე-7 გვერდზე ერთად არის დახატული საწოლის, დათვების, ბუს, ფეხსაცმლის, ყვავილებისა და გველის სურათები; ან კიდევ მე-12 გვერდზე მოცემულია კატის, ბურთის, ძაღლის, სკამისჩოტის და გრაფინის სურათები. გაუგებარია, რა პრინციპით არის ეს საგნები დაჯგუფებული. ყოველ შემთხვევაში, ისინი არც ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად და არც ფონემატური სმენის გასავითარებლად არ გამოდგება. ამნაირი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება. რაც მთავარია, წინასაანბანო პერიოდი არ ემსახურება თავის ძირითად მიზანს - მოსწავლეთა მომზადებას კითხვისა და წერისათვის. აქ არც მეტყველების გასავითარებელი სურათებია და არც ხელის სავარჯიშოები.

წერა ამ „დედა ენის" მიხედვით საერთოდ მოუმზადებლად იწყება. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს წერის ნიმუშები. აქ არანაირ ანგარიში არ ეწევა არც ბავშვს, არც ქართული ანბანის გრაფიკულ თავისებურებებს, არც ასოთა ზომას. ჩანსავტორისათვის სულ ერთია, რა ზომის, რა მოხაზულობის ასოებს დაწერს მისი მოსწავლეები. საანალიზო სიტყვები ძირითადად ი. გოგებაშვილის „დედაენიდან" არის აღებული, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ავტორს საკუთარი ინიციატივით შეუცვლია ისინი და ნაცნობი, მარტივი საგნის ნაცვლად აულია ბავშვისათვის ძნელად გასაგები (ზოგჯერ სრულიად უცნობი) ცნება. ასე მაგალითად, სიტყვა „მუხა" შეუცვლილია „მეხით" (რატომ? მეხი უფრო ადვილად დასახატია ან უფრო ნაცნობი 6 წლის ბავშვისათვის?), „ოფოფი"– „ფაფახით" (ნუთუ ფაფახი უფრო ნაცნობია ქართველი ბავშვისათვის?).

ავტორი, ერთი შეხედვით, გოგებაშვილისეულ ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს მიჰყვება, ის კი ავიწყდება, რა ფუნქცია აკისრია მასთან სიტყვათა დამარცვლას. გაუგებარია, რა მიზნით მარცვლავს თავად სიტყვებსა და წინადადებებს. წარმოიქმა რომ გაუადვილოს მოსწავლეს, ხომ დიდაქტიკის პრინციპებიდან გამომდინარე ჯერ დამარცვლით დაწერილი სიტყვები უნდა მიეცა, შემდეგ – შეერწყმით. აქ კი ყველაფერი თავდაყირაა. არ არის მოცემული სავარჯიშოები კითხვის ჩვევის განსამტკიცებლად. საკითხავ მასალაში მრავლად გვხვდება ენობრივი შეცდომები (ბევრი ხეები, მისხის, ძროხა ღმუის...), შეცდომებია სიტყვათა დამარცვლაშიც. ასევე მრავალია ძნელად გასაგები სიტყვებიც, რომლებიც, როგორ კარგადაც არ უნდა აუხსნას მასწავლებელმა, არა გვგონია, შეიდწლიანთა ლექსიკაში დამკვიდრდეს (ქენჩხი, ნავი, ელექსირი, დალი, ტუსაღი, ღოში...).

წერა-კითხვის შესწავლის შემდგომ მოსწავლეები ეცნობიან ა) ქართულ ასომთავრულს, ბ) „ვანამძღოლვე მხედრულს", გ) ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიპციას ლათინური ასოებით, დ) ასოთა რიცხვით მნიშვნელობებს (იგულისხმება, რომ ამ ასაკში ბავშვებმა უკვე „იციან" ნუმერაცია მილიონის ფარგალში).

ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: როგორ უნდა წაიკითხონ ეს ლათინური ტრანსკრიპცია 7 წლის ბავშვებმა? რისთვის აცნობს მას ავტორი? დასაზეპირებლად? თუ ასეა, ნუსხა-ხუცურმა რაღა დააშავა, ისიც ესწავლებინა ბარემ და შემდეგ მოსწავლეთათვის ძველი ხელნაწერები მიეცა წასაკითხად.

2. ზ. ვახანიას „დედაენა" მოცულობით უფრო დიდია, ახლავს მეთოდური მითითება მასწავლებელთათვის და სიტყვების საგნობრივი საძიებელი. პირველი კითხვა, რომელიც წიგნის ხელში აღებისას გაგიჩნდება, შემდეგია – რა ასაკის მოსწავლისათვის არის იგი შედგენილი? რამდენ სასწავლო წელზეა გათვლილი? საეჭვოა, რომ ექვსი-შვიდი წლის ბავშვებმა ერთი სასწავლო წლის მანძილზე დაამუშაონ ისეთი დიდი მოცულობის ტექსტები, როგორიც აქ არის მოცემული. „დამუშავებაში" ჩვენ ვგულისხმობთ არა ამ ტექსტების უბრალო კითხვას (როგორც ეს „მეთოდურ მითითებაშია" მოცემული), არამედ მის შინაარსობრივ-მხატვრულ ანალიზს, რაც, ეტყობა, სახელმძღვანელოს ავტორს არ გაუთვალისწინებია.

წიგნის ერთ-ერთი მთავარი „სიახლე" ისიცაა, რომ იგი სცილდება ანბანის სახელმძღვანელოს „ვიწრო" ამოცანებს და მოსწავლეთათვის უფრო „ფართე" ცოდნის მიწოდებას ითვალისწინებს. „პირველკლასელთა გაღრმავებული სწავლებისათვისო"– წერს ავტორი, იმას კი აღარ აზუსტებს – რისი გაღრმავებული სწავლებისათვის: „წერა-კითხვის? ბუნებისმცოდნეობის? მათემატიკის?„ თამამად შეიძლება ითქვას,რომ საანბანო მასალას აქ ბევრად სჭარბობს წმინდა საბუნებისმეტყველო სტატიები ("მუ და ხეები", „ორი ვეფხვი", „გედი", „დედალი და მამალი", „ობობა", „ვირთხა", „ხბო", „ბუ და ღამურა", „თახვი", „ობი", „გუგული", „ციყვი", „მერცხალი", „უპე", „კრაზანა", „ტყის თაგვი", „ერთგული ფოცხვერი", „კრუხი და წიწილები"...), მხატვრული ტექსტების რაოდენობა მინიმალურია; თანაც ისეთი „ამოცანების" ადგილი, როგორიცაა: „რაა ვაკას შვილები", „რამდენი ჩურჩხელა დარჩება ბებოს?", „სულ რამდენი ჯუჯულია?" „დეიდა მაკოს შვილები"– მათემატიკის სახელმძღვანელოში უფროა, ვიდრე „დედაენაში".

სახელმძღვანელო უგულებელყოფს წინასაანბანო პერიოდის აუცილებლობას და პირველი გაკვეთილიდანვე აცნობს მოსწავლეს ასოებს; თანაც არღვევს მეთოდიკის პრინციპს– „თითო გაკვეთილზე თითო სირთულე" ერთად აცნობს ორ-ორ ასოს. მაგრამ გაუგებარია, რა პრინციპით აწყვილებს ამ ასოებს- გენეტურობის? არა. ძ და ფ, მ და ჩ, ე და ზ ასოები არანაირად არ არიან ერთგვარები ამ მხრივ. ასოთა მოხაზულობის სიმარტივე-სირთულით? არც ეს პრინციპი ჩანს, როცა აწყვილებს ისეთ ასოებს, როგორებიცაა: კ და ა უ, ბ და ლ, ც და ყ გამოყენების სიხშირით? არა, რადგანაც მ და ჩ, ან კიდევ ჯ და ე ასოებს ამ მხრივ ერთ სიბრტყეზე ნამდვილად ვერ განვიხილავთ. რჩება ერთადერთი პრინციპი – სუბიექტური, რომელსაც სწავლების პროცესში ვერანაირად ვერ დავეყრდნობით.

სახელმძღვანელოს მთავარი „სიახლე" ის არის, რომ აქ ერთმანეთს არის მოწყვეტილი კითხვა და წერა. დავა ამ საკითხის შესახებ მეთოდისტებსა და ფსიქოლოგებს შორის დიდი ხანია არსებობს. ჩვენი წერილის მიზანი სრულებითაც არ არის ამ დისკუსიის გაგრძელება, ისე კი გამოვხატავთ ჩვენს პოზიციას და ვიტყვით, რომ ამ საკითხის შესახებ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ დიდი იაკობის მოძღვრებას. მისი ციტატების დამოწმებას ჩვენ არ შევუდგებით, ისინი საკმაოდაა დამოწმებული პროფ. მ. ჩინჩალაძისა და ფილ. მეცნ. კანდ. გ. ბოჯგუას სტატიებში და მსურველს აქ შეუძლია მათი გაცნობა.

თუმცა ზ. ვახანია თავის „დედაენას" აწერს – შედგენილია ი. გოგებაშვილის „დედაენაზე" დაყრდნობით – არ იყენებს ამ „დედაენის" მთავარ მონაპოვარს – ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს. მაგრამ იმის თქმაც ჭირს,საერთოდ რა მეთოდს იყენებს. ნორმალური სიტყვები შერჩეულია ასევე სუბიექტური მოსაზრებით, მათი უმრავლესობის გაცნობა ხდება სურათების გარე-

შე უგულებელყოფილია დიდაქტიკის პრინციპები.

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს საკითხავი მასალა, რომელიც მოკლებულია მხატვრულობას. არა გვგონია, მხატვრული თვალსაზრისით რაიმე ღირებულს წარმოადგენდეს ტექსტები: „ვირთხა","უპე", „ობი". ან აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო თვალსაზრისით იყოს ისინი საინტერესო. ტექსტებისშერჩევისას უგულებელყოფილია აგრეთვე სისტემატურობისა და თემატურობის პრინციპები. ასე მაგალითად, სახელმძღვანელოში ერთმანეთს მოსდევს ტექსტები „ობი" და „მეფე", „ილია ჭავჭავაძე" და „უპე"– გვხვდება უამრავი ახალი სიტყვა, რომლებიც არა თუ ბავშვების, არამედ ხშირ შემთხვევაში მოზრდილთა ლექსიკის პასიურ მარაგს განეკუთვნება, რამდენადაც მათი გამოყენების არეალი მეტად ვიწროა და შეზღუდული (ბანდულები, ჩამოულატული, სეია, თახვი, ხასი, ქოლ..).

როგორც ზემოთ აღინიშნა,კითხვა და წერა ერთმანეთს არის მოწყვეტილი. საწერი სავარჯიშოები მოცემულია ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ასოების გაცნობისას კითხვისაგან განსხვავებული თანმიმდევრობა გვაქვს. აქ, როგორც ჩანს, ავტორი ერთგვარ ანგარიშს უწევს გენეტიკურობის პრინციპს, მაგრამ სრულიად უგულებელყოფილია განსხვავება ბეჭდურისა და ხელნაწერ ასოებს შორის, დარღვეულია ქართული ანბანის გრაფიკული თავისებურებანი, გაუგებარია, რა მიზნით ხდება გაცნობა ამ ეტაპზე ასომთავრულისა.

სახელმძღვანელოს ბოლო ნაწილი, როგორც ზ. ვახანია აღნიშნავს, არის შემაჯამებელი. მაგრამ გაუგებარია, რას „აჯამებს" ისეთი კითხვები, როგორიცაა: რას ემტერება ბაყაყი? რა ემტერება ბაყაყს? რა მტრობს ბაყაყის მტერს? რას ანადგურებს ბაყაყი? ან კიდევ საცრით ფქვილის გაცრისას სად გროვდება ფქვილის გროვა, საცერზე თუ მის ქვეშ? ქატო სად გროვდება? რისი ნარჩენია ქატო?.. ან კიდევ, როგორ პასუხს ითვალისწინებს ასეთი კითხვები: რა არის აგება? აგებული? ამგები? ნაგები? ასაგები? არა გვგონია ამ ეტაპზე იგი საწყისისა და მიმღეობის სწავლებას ითვალისწინებდეს, არადა ეს კითხვა სწორედ ამ საკითხების ცოდნას გულისხმობს.

როგორც ამ ორი სახელმძღვანელოს ზერელე ანალიზიდანაც ჩანს, მათ არაფერი საერთო არა აქვთ ი. გოგებაშვილის „დედა ენასთან". უპირველესი განსხვავება კი ის არის, რომ სანამ გოგებაშვილი „დედა ენას" შექმნიდა, მანამდე ზედმიწევნით შეისწავლა და დაეუფლა არა მარტო ქართულ ენას, არამედ ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპებსაც, რისი ცოდნაც, ალბათ,არც ა. აბაიშვილსა და ზ. ვახანიას აწუხებდათ.

3. ვ. როდონაიასა და ავტორთა ჯგუფის „დედაენაში" არსად არ არის ი. გოგებაშვილის სახელი მითითებული, ამდენად, თითქოს არც ავტორები არიან ვალდებულნი, რომ მისეული პრინციპები დაიცვან. მაგრამ თვით სახელწოდება „დედაენა", რომელიც პირველად ი. გოგებაშვილმა იხმარა,ავტორებს ამას ავალდებულებს. ავალდებულებს, რადგანაც ქართველი საზოგადოების თვალში ეს სახელწოდება იმ წიგნთან ასოცირდება, რომელსაც ერმა ძველი აუგო. თუკი ავტორები ახლებურ წიგნზე აცხადებენ პრეტენზიასმაშინ სახელწოდებაც ახლებური უნდა შეურჩიათ. აქ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გ. ბოჯგუას, რომ „პედაგოგიურ საზოგადოებაში მკრეხელობად აღიქმება ხელიხელსაგოგმანებელი სათაურის მითვისებაც კი. "

„რადგანაც სახელმძღვანელოს ავტორებს არა აქვთ სურვილი, რაიმე საერთო იქონიონ (სახელწოდების გარდა) ი. გოგებაშვილის „დედა ენასთან",ამიტომაც ჩვენ მის ანალიზს შევეცდებით ზოგადმეთოდიკური პრინციპებიდან და რაც შეიძლება ნაკლებად გამოვიყენებთ დიდი პედაგოგის აზრებს.

ა) დავიწყოთ წინასაანბანო პერიოდით. მისი მიზანია მოსწავლეთა მეტყველების განვითარება, მომზადება კითხვისა და წერისათვის. ამ სახელმძღვანელოში მეტყველების გასავითარებელი სავარჯიშოები (სურათები) მეტისმეტად ერთფეროვანია – ეძღვნება მხოლოდ წელიწადის დროებს, ან უფრო სწორად ბავშვებისა და ბუნების ურთიერთობის ასახვას. 18 სურათიდან 16 ამ თემაზეა. სხვა არც ერთი სურათი ბავშვებისათვის ნაცნობი სინამდვილიდან წიგნში არ არის. „ყოველი საანბანო წიგნისა და ამ შემთხვევაში „დედაენის" დასურათების ერთ-ერთი დანიშნულება რეალური აღზრდაა, დაფუძნებული თვალსაჩინო სწავლებაზე" (მ. თალაკვაძე). ამავე დროს, „დედაენაში" მოთავსებული სურათები უნდა ემსახურებოდეს „რეალური სამყაროს შესწავლის საფუძველზე ენის ელემენტების შეთვისებას" (ი. ა. კომენსკი), კერძოდ, მოსწავლეთა სიტყვიერი მარაგის გამდიდრებას საგანთა სახელწოდებების, მათი თვისებათა და მდგომარეობათა აღმნიშვნელი სიტყვების გაცნობით. არა გვგონია, რომ ამგვარმა ერთფეროვანმა სურათებმა შეძლონ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა.

ბ) წიგნში ერთმანეთს არის მოწყვეტილი კითხვისა და წერის სწავლება. ამ „საახლეზე" ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი ზ. ვახანიას „დედაენის" განხილვისას. აქ კი ერთს დავამატებდით: თუ ამ საკითხის შესახებ ავტორებს ი. გოგებაშვილისა და მისი მოსწავლეების კომპეტენტურობის არ სჯერათ, იქნებ მასწავლებელთა გამოცდილებას მაინც ენდონ! როგორც ცნობილია, ექსწლიანი სწავლებას ჩვენს რესპუბლიკაში ორ ათეულზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ დროის განმავლობაში პრაქტიკამ დაადასტურა, რომ წერა-კითხვის სწავლების ი. გოგებაშვილისეული მეთოდი ექვსწლიანებთანაც ისევე ამართლებს, როგორც შვიდწლიანებთან. ამაზე მეტყველებს ათასობით პირველკლასელის წერითი ნამუშევრები.

ისიც უნდა ითქვას, რომ სარეცენზიო წიგნში წერის სწავლება საერთოდ იგნორირებულია და მთელი წელი კითხვაში ვარჯიშობას ეთმობა.

გ) ანბანის სწავლების ისტორიაში ცნობილი ყველა მეთოდი სამ ჯგუფშია გაერთიანებული: ეს არის სინთეზური, რომელიც მოიცავს ასოთშეერთებისმარცვალთშეერთების, ბგერათშეერთების მეთოდებს; ანალიზური, რომელიც თავის თავში ბგერით ანალიზურისა და მთლიან სიტყვათა მეთოდებს აერთიანებს; ანალიზურ-სინთეზური, რომლითაც მიმდინარეობს სწავლება დღეს სკოლაში და რომლის დამამკვიდრებლადაც ჩვენს სინამდვილეში ი. გოგებაშვილი ითვლება. ავტორთა კოლექტივი არც ერთ ამ მეთოდს არ „სწყალობს". იქნებ გვიპასუხონ, რა მეთოდს იყენებენ ისინი და რითი ასაბუთებენ მის უპირატესობას?

დ) სახელმძღვანელოში არ ჩანს, რა პრინციპს იცავენ ასო-ბგერათა თანმიმდევრობაში. ჩვეულებრივ, ასო-ბგერათა სწავლებისას მეთოდისტები ითვალისწინებენ შემდეგ ფაქტორებს – თუ წერა ისწავლება კითხვასთან ერთად, ასოთა გაცნობის თანმიმდევრობას ძირითადად საფუძვლად ედება „გენეტიკური" პრინციპი, ე.ი. მოხაზულობით მარტივი ასოებიდან თანდათანობითი გადასვლა უფრო რთულზე,მაგრამ ი.გ. რომ შესწავლილი ასოები შეადგენდნენ შესასწავლთა ელემენტებს; თუ კითხვა ისწავლება წერისგან დამოუკიდებლად, მთავარია წარმოთქმის სიადვილე-სიძნელე, თუმც წერა-კითხვის სწავლება მარტო ამ ორი მომენტის გათვალისწინებით არ ხდება. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სხვა პირობებიც, კერძოდ, რამდენად ხშირად მეორდება ესა თუ ის ასო-ბგერა სიტყვებში, რამდენად მეტი ისეთი სიტყვებისა და ფრაზების შედგენა შეიძლება, რომლებშიაც ახალ ასო-ბგერასთან ერთად ადგილი ექნება უკვე შესწავლილ ასო-ბგერათა გამეორებას. ამის მიხედვით, ასო-ბგერათა მწკრივში პირველად ის ასო-ბგერები უნდა მოექცეს, რომლებიც ამ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ.

ფსიქოლოგები, რომლებიც ამოდიან ასოს ფსიქოლოგიური ანალიზის პრინციპიდან, რამდენადმე განსხვავებულ თანმიმდევრობას გვთავაზობენ. ესენია: ერთაქტიანი ასოები (ა,ი,ს,ხ,მ),ორაქტიანი ასოები (მ,გ,ე,კ,ე,თ,ო,ნ,პ,ყ,ქ,ჩ,ზ,ც), სამაქტიანი ასოები (ბ,რ,ლ,უ,შ,წ,ჰ,ე,ტ, ფ,ჯ,დ,ჭ), ოთხაქტიანი ასო (ღ)1. მაგრამ სარეცე-

ნზით წიგნში ეს პრინციპიც დარღვეულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი და ა ასოების პირველ რიგში სწავლებას, რაც, ალბათ, ტრადიციის გავლენით უფრო აიხსნება, ვიდრე დიდაქტიკისა და ფსიქოლოგიის მონაცემთა გათვალისწინებით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორებმა აქ წინა პლანზე წამოსწიეს ენათმეცნიერული პრინციპები და ასო-ბგერათა სწავლებას მათი ფონეტიკური თავისებურებები დაუდეს. ამაოდ! არც ეს პრინციპი ჩანს არსად, იმიტომ რომ ერთად ეცნობა ხან ჰომორგანული ბგერები (ძ,წ; ღ,ხ; ს,ზ), ხანაც ჰეტეროგანული (დ,ქ; თ,რ,ნ,გ); ხან ჰომოგენური (ქ,ყ), ხანაც ჰომორგანული (თ,რ). ერთი სიტყვით, ავტორები ამ საკითხს ძალზედ სუბიექტურად უდგებიან და ხელაღებით უგულებელყოფენ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკის მონაცემებს.

ე) საანბანო წიგნის შედგენისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საანალიზო სიტყვების მართებულად შერჩევას. იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებებს: 1) უნდა აღნიშნავდეს ბავშვისათვის მახლობელი კონკრეტული საგნის სახელს, 2) ბგერითი შედგენილობის მხრივ უნდა იყოს მარტივი, 3) ადვილად უნდა იშლებოდეს მარცვლებად და ბგერებად, 4) უმჯობესია, ეს ახლად შესასწავლი ასო-ბგერა იყოს ან სიტყვის შუაში, ან სიტყვის ბოლოში, რომ დაცული იყოს გადასვლა ნაცნობიდან უცნობზე; 5) შესასწავლი ასო-ბგერა ადვილად უნდა გამოიყოფოდეს ნორმალური სიტყვებიდან, ე.ი. სიტყვა არ უნდა იყოს ხმოვანდაჯგუფებული და თანხმოვანდაჯგუფებული. ვისაც სარეცენზიო „დედაენა“ უნახავს, დაგვეთანხმება, რომ საანალიზო სიტყვები აქ ვერცერთ ამ პრინციპს ვერ აკმაყოფილებენ. არა გვგონია, სიტყვები „მარაო“, „ქერწა“, „ჩინილაკი“, „ზანდუკი“ „რკო“, „თუთიყუში“, „თუნგი“, „რიკული“, „ჩიტარა“, „ფუტური“, „ტბა“, „ჭიკარტი“, „პანწელი“, „ორშიმო“, „ფილტვი“ – ამ პრინციპებით იყოს შერჩეული.

ვ) ყოველი ახალი ასო-ბგერის შესწავლას თან ახლავს სავარჯიშოდ მარცვლები და ფრაზები. შეიძლება, ავტორებს ეს უაზრო მარცვლები დიდ „სიახლედ“ მიაჩნიათ, მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამნაირი მარცვლების კითხვა-დაზეპირება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში უარყო ქართულმა სკოლამ და უპირატესობა სიტყვებსა და წინადადებებს მიანიჭა, როგორც გარკვეული აზრისა და მნიშვნელობის მქონეთ.

სახელმძღვანელოში (ალბათ, მისი თანამედროვეობასთან დაახლოების მიზნით) შეტანილია მრავალი ახალი მხატვრული ნაწარმოები, რომელთაგან ყველა ვერ აკმაყოფილებს აღმზრდელობით, საგანმანათლებლო, ესთეტიკურ პრინციპებს და არც 6–7 წლის ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს ითვალისწინებს. არც ის გვგონია, რომ „თუთიყუში კაკო“ ან „ავსტრალიური ბუმერანგები“ ქართული სინამდვილისათვის მაინცდამაინც ნიშანდობლივი იყოს.

საერთოდ, ამ წიგნის გაცნობის შემდეგ ჩნდება კითხვა: რა მეთოდიკურ კონცეფციას ეყრდნობოდნენ ავტორები მისი შედგენისას? რომელი ექსპერიმენტული კვლევის მასალები გამოიყენეს? სამწუხაროდ, ამ „დედაენას“ არ ახლავს მეთოდიკური მითითებანი, რომლებიც ამ კითხვებზე გაგვცემდნენ პასუხს. თუმც კი პრესასა და ტელევიზიაშიც ზოგადად აღინიშნა ამ „სიახლეთა“ შესახებ, რაც მასშია. ერთ-ერთ ასეთ სიახლედ ავტორებს მიაჩნიათ ის გარემოება, რომ ი. გოგებაშვილის ენა მოძველებულია და შეუძლებელია ამ ენით მეტყველება ასწავლო თანამედროვე ბავშვს. პასუხად ვიტყოდით: არავინ არ მოითხოვს 1786 წლის გამოცემული „დედაენა“ შეიტანოთ სკოლაში, როცა ი. გოგებაშვილის „დედაენაზე“ ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს მისი პრინციპები და არა კონკრეტული საკითხავი მასალა; მეორეც, დავიმოწმებ აკად. არნ. ჩიქობავას სიტყვებს: „ი. გოგებაშვილის შესანიშნავი სასწავლო წიგნები „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, რომლებზედაც არა ერთმა თაობამ გაიკვეთა წერა-კითხვა, ახალი სალიტერატურო ქართულის განმტკიცებას უწყობდა ხელს“[2] (ხაზი ჩვენია – ნ.მ.). ასე რომ, ი. გოგებაშვილს ნამდვილად ვერ დავდებთ ბრალს კონსერვატიზმში. ამავე დროს ავტორები აღნიშნავენ, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, მათი წიგნისაგან განსხვავებით, სხვა სოციალური ფენისათვის იყო შექმნილი. მათ ავიწყდებათ ის გარემოება, რომ „დედა ენა“ მთელი საქართველოსათვის შეიქმნა და არა ერთი რომელიმე სოციალური ფენისა ან კუთხისათვის. სწორედ „დედა ენა“ იყო ქვეყნის გამთლიანებისა და ერთიანი ეროვნული მენტალიტეტის ჩამოყალიბების საშუალება.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის გარემოება, რომ სახელმძღვანელო დიდ სამსახურს უწევს სკოლასაც და საზოგადოებასაც. „თუ მასში იხატება სადი, გონიერი მიმართულება დამყარებული პედაგოგიურსა და ეროვნულ პრინციპებზედ... მაგრამ თუ იგი ასცდენია პედაგოგიურს დედა-აზრსა, მოწყვეტილია ეროვნულის ნიადაგს და ემსახურება რომელსამე უკუღმართს მიმართულებას ხალხის განათლების მაგიერ, მაშინ სახელმძღვანელო შეადგენს სკოლისა და ხალხისათვის ნამდვილ საწამლავს“[3].

და ბოლოს, ჩვენმა ოპონენტებმა ბრალად რომ არ დაგვდონ სხვის თვალში ბეწვის ძიება ან წარსულისაკენ რომანტიკული მზერა და რეტროგრადობა, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ბოლო წლებში გამოცემულ ორ „დედაენაზეც“. ესენია ლოგოპედიური სკოლებისა და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლისათვის გამოცემული ანბანის სახელმძღვანელოები. ორივე მათგანი საქმის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით გახლავთ შედგენილი. აქ ყველაფერი – დაწყებული წინასაანბანო სავარჯიშოებიდან დამთავრებული საკითხავი მასალით – ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება შეუხამო კლასიკური პედაგოგიკის მონაპოვარი თანამედროვეობასა და კონკრეტულ ამოცანებს. ავტორები შესანიშნავად იცნობენ ქართული ანბანის სახელმძღვანელოთა შედგენის მდიდარ ტრადიციებს, ქართული მეთოდიკური აზროვნების მონაპოვარს, რაც მთავარია, ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ შედგენის პრინციპებს და ყოველივე ამას უხამებენ დეფექტოლოგიის საფუძვლების ცოდნას. ამგვარად, ამ სახელმძღვანელოთა გამოცემით შესანიშნავი საქმე გაკეთდა – ლოგოპედიური და სმენადაქვეითებული სკოლების მოსწავლეებს საკუთარი „დედაენები“ აქვთ, შედგენილი დიდი იაკობის მეთოდიკური პრინციპების მიხედვით.

ამგვარად, ანბანის სახელმძღვანელოთა მომრავლება კარგიც არის და ცუდიც. კარგია იმდენად, რამდენადაც ყოველ მათგანს მიზნად აქვს დასახული, გაუადვილოს წერა-კითხვის შესწავლა ქართველ ბავშვებს, გააუმჯობესოს ამჟამად მოქმედი სწავლების სისტემა, დაუახლოვოს იგი თანამედროვე მოთხოვნებს. ცუდია იმდენად, რამდენადაც ავტორები ყოველთვის არ არიან ამისათვის სათანადოდ მომზადებულნი და სიახლის ძებნაში ხელაღებით უარყოფენ კლასიკური პედაგოგიკის პრინციპებს. ამ პროცესების შეჩერება ჭირს, მით უმეტეს, რომ ამგვარი სახელმძღვანელოების შექმნა ხშირად გარკვეული კომერციული მიზნებით ხდება. გამოსავალი მხოლოდ ერთია – ალბათ, დროა, შეიქმნას ერთგვარი „საექსპერტო კომისია“, რომელიც დაკომპლექტდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. სწორედ ამ კომისიამ უნდა განიხილოს ეს სახელმძღვანელოები, სანამ იგი სკოლაში შევიდოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იმასაც დავკარგავთ, რაც უკვე შეგვიქმნია და დაბნეულ მასწავლებელს კიდევ უფრო დავაბნევთ.

პედ. მეცნ. დოქტორი

ნათელა მაღლაკელიძე

1. ა. მოსიავა, წერა-კითხვის სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ., 1962.

2 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, გვ. 026.

3 ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, 1952, გვ. 397.

თამარ შარაბიძე

# ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია



ქართულ მწერლობაში ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ყველაზე მეტად გვაგრძნობინებს რომანტიკულ სულისკვეთებას, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი გენიოსი არ ითავსებს რომელიმე ლიტერატურული „იზმით"; მათ შორისაა ნ. ბარათაშვილიც. მისი პოეზია, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა პოეტის შინაგანი ბობოქარი გრძნობით, რომელიც წამლეკავია, არ ემორჩილება ლოგიკას, განსჯას და უმეტეს შემთხვევაში სახელდაუდებელია. ნ. ბარათაშვილი წუთიერ ძიებაშია, შეიცნოს საკუთარი თავი, გარემომცველ სამყაროში გაიშინაარსოს პიროვნული ცხოვრება ავით და კარგით, ბედით და უბედობით, სწვდეს ადამიანის არსებობის აზრს უკამო ეამში, განუსაზღვრელ სივრცესა და დროში; ამიტომაც მუდამ ღელავს, ებრძვის ეჭვს, რომელიც გონებას უწამლავს, იმედს უსპობს, რწმენას უკარგავს, განიცდის ბედისწერის მუხთლობას, წუთისოფლის ამაოებას და მხოლოდ საკუთარი ნაგრძნობი და გადატანილი მღელვარება აძლევს უნარს, პასუხი გასცეს ცხოვრებისეულ მტკივნეულ პრობლემებს. მის შემოქმედებაში ყველაზე მკვეთრად დგება ბედისწერის საკითხი, პროტესტი მის მიმართ და, რაც მთავარია, წარმოჩნდება გზა მის დასაძლევად. ყველაზე ძალუმად ბარათაშვილის პოეზიაში ვლინდება პოეტის სულიერი მდგომარეობა მის მიერ აღწერილი ბუნების მეშვეობით. ნელად მოღუდღუნე მტკვარი, მწუხრი მთაწმინდაზე, შუქმიბინდული მთვარე, მთის ნაპრალთა ავსებული მდუმარება, ნაღვლიანი მთა, ნისლის ამოფარებული ვარსკვლავი, ფრიალო კლდეზე განმარტოებული ჩინარი, უღაბნოდ მდგარი ტაძარი – ეს სურათები თვალნათლივ მეტყველებს პოეტის განწყობილებაზე, მის სულიერ სიახლოვეზე ბუნებასთან. ნ. ბარათაშვილი ბუნებას მთელი თავისი მრავალფეროვნებით კი არ აღწერს, არამედ მხოლოდ ზოგიერთ მოვლენაზე ჩერდება, რომელიც შეესატყვისება მის მდგომარეობას. პოეტისათვის ბუნება მეგობარია, დამამშვიდებელი, ამავე დროს ფიქრთა ამშლელი და გამამხნევებელი. ეს სამყაროც ბარათაშვილისთვის მარტო ხილული ბუნება როდია. მისი გულისთქმა ხილულის იქით ეძიებს საიდუმლოს, რომ იპოვოს პასუხი ადამიანის ცხოვრების აზრის ურთულეს კითხვაზე.

ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ" გადმოცემულია სევდიანი პოეტის ფიქრები მტკვრის ნაპირზე. ნ. ბარათაშვილი „ფიქრთ გასართველად" მიეშურება ბუნების წიაღში, ნაცნობ ადგილს ეძიებს „განსასვენებლად", აქ გადმოშლის თავის გრძნობებს და ბუნებისაგან იღებს ნუგეშს– „აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით". ეს ნუგეში ალბათ იმით არის განპირობებული, რომ არემარეც პოეტისავით მოწყენილია. ნელად მიღელავს მტკვარი, მის ზვირთებში კი ცის ლაჟვარდი კამარა კრთის. პოეტი ყურს უგდებს მტკვრის ჩხრიალს და „თვალნი რბიან" ცის დასავლისკენ, საიდანაც არახილული სამყარო იწყება, ადამიანისათვის შეუცნობელი და ამოუხსნელი. სხვა ლექსში „ცისა ფერს..." პოეტის „ფიქრი სანატრი" ცის ქედისკენ იწევს, ამისათვის დიდ მსხვერპლზეც მიდის. სამყაროს ამოცნობა ნათელს მოჰფენდა ადამიანის ცხოვრების აზრს. პოეტიც ცდილობს ხილული ბუნების დახმარებითა და საკუთარი სულის მღელვარებით გააანალიზებინოს გონებას უხილავი ჭეშმარიტება, აზრი ადამიანის არსებობისა.

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა– წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიელოს ერთხელ ნატვრით, ისა ეკმაროს? – ფიქრობს პოეტი. „აღუვსებელი საწყაულის" სახე მისთვის ადამიანის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების სიმბოლოა. პოეტი მიჰყვება ლოგიკას და თანმიმდევრობით აყალიბებს მსჯელობას, რომელიც ადამიანის არსებობის უაზრობას გამოხატავს: წუთისოფელი ამაოებაა და ადამიანი „აღუვსებელი საწყაულია". უმაღლესი დიდებითა და ძალაუფლებით აღჭურვილი მეფეებიც კი არ არიან მშვიდად, ახალი სამეფოების დაუფლების სურვილით დრტვინავენ და „ალიძრვიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!" არც კეთილი მეფეა მოსვენებული. მისი სიცოცხლე ქვეყნისათვის ზრუნვასა და შრომაში გადის, აღარ იცის, როგორ უპატრონოს უკეთ მამულს, რომ შთამომავლობამ მისი სახელი წყევლით არ მოიხსენიოს. მაგრამ ლოგიკიდან გამომდინარე, ამაოა ყოველგვარი ამქვეყნიური ზრუნვა და შვოთი, რადგან სოფელს ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ კი ადამიანთა სახელის ხსენებაც კი აღარ იქნება. ამ თანმიმდევრული მსჯელობის საპირისპიროდ ბარათაშვილმა უარყო ცოცხალი ადამიანის მოთხოვნილებათაგან განდგომის გზა. მისი აზრით, არ შეიძლება ადამიანისათვის მიუღებელი დასკვნის გამოტანა, რომ სიცოცხლე უაზრობაა. ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ინტუიცია ეწინააღმდეგება ამ აზრს. თვით ადამიანის არსებობის ფაქტი სიცოცხლის უდიდესი აზრის დამადასტურებელია:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან – შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
ყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!"

ბარათაშვილმა ადამიანის არსებობის აზრად „სოფლისთვის ზრუნვა" მიიჩნია. ხელჩაქნეულობას აქტიური მოქმედება დაუპირისპირა. მისი აზრით, სიცოცხლის უარყოფა არ შეუძლია ადამიანს, რომელიც განიცდის სიცოცხლეს.

ტიპიური რომანტიკული განწყობილების ლექსია „შემოღამება მთაწმინდაზედ", დასევდიანებული, სულით ობოლი ბარათაშვილისთვის მიგნებაა მთაწმინდის მიდამო. ბუნების სურათები და პოეტის პირადი განცდები ლექსში ერთმანეთს ერწყმის და ემოციურ მთლიანობას ქმნის. დახატულია მკრთალი იდუმალებით მოცული ფონი, მთაწმინდის ძირას გაშლილი ლამაზი ველი ყვავილებით, რომლებიც სურნელებას აფრქვევენ მთას, როგორც გუნდრუკი წმინდა ტაბლას. საღამოს შვენის „ცაიგნი ნელნი" და „ცვარნი ცურნი". მთაწმინდის შემოგარენი, „ყურანანი და უდაბურნი", ფიქრებს აღუძრავს პოეტს დაახსენებს საამო დროს:

„მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევე ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!"

პეიზაჟის საშუალებით გადმოცემულია პოეტის მარტოობის განცდა, მისი შინაგანი სამყაროსა და ბუნების ღრმა კავშირი. ბუნების წიაღში ეძიებს მეგობარს სულით ობოლი ნ. ბარათაშვილი. „გულდახურულთა მეგობარი" ბუნება კი ეთანხმება მის განცდებს:

„შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმესები ნაპრალთ მდუმარებითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

ბუნება თავისთავად არც ნაღვლიანია და არც მხიარული. პიროვნებას შეაქვს მასში გარკვეული განწყობა. ნ. ბარათაშვილი ხედავს ბუნების იმ მოვლენებს, რომლებიც მის სულიერ მდგომარეობას ასახავენ: ბინდგადაკრულ ცას, ნაზად მთარესა და შუქმიბინდულ მთვარეს, რომელიც მხურვალე ლოცვით მიქანცებულ უმანკო სულს დამსგავსებია: ბუნდოვან კლდეს, რომლის ნაპრალებს მდუმარება ავსებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუნება პოეტისათვის მეგობარია და ფიქრთა ამშლელი და სწორედ ამიტომაც, აქ მთაწმინდის წიაღში, უნდა გაეცეს პასუხი მისთვის მტკივნეულ კითხვებს. პოეტის ფიქრები ცისკენ მიისწრაფიან, მაგრამ ვერ აღწევენ მას და „ჰაერშივე განიბნევიან". ვერ აღწევენ, რადგან არ არსებობს ამქვეყნიური ლოგიკა, რომელიც ციურ განგებას განჭვრეტს. ცა ამქვეყნიურობის დასასრულია, იგი ზენაართ სამყოფია, სადაც ქრება, „შთება" ამაოება. ცის შემყურე პოეტს ავიწყდება „საწუთროება", ამქვეყნიური პრობლემები, მისი გულისთქმა ცის იქით ეძიებს სადგურს, იქ არის ჭეშმარიტი პასუხი მისი მღელვარე სულისკვეთებისა:

„მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქით... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთის აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!"

მთაწმინდის საღამომ შვება მაინც პოეტის აღელვებულ სულს – „მხოლოდ სული გრძნობს, თუ ვითარი სიმღერით მას შვება".

მიუხედავად პესიმისტური განწყობილებისა, საზოგადოებრივი ყოფიდან მოწყვეტისა და ბუნებაში განსვენებისა, ლექსში მაინც ჩანს შინაგანი გაბრძოლება პოეტისა. იგი ოცნებობს სევდიანი საღამოს მზიანი დილით შეცვლაზე. ამ დილამ უნდა გაანათოს წყვდიადი, გაიმარჯვოს მის უნუგეშობასა და ნაღველზე, მის სულიერ ობლობაზე.

ნ. ბარათაშვილი მტკივნეულად განიცდის სულით ობლობას. მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილში იგი განმარტავს ამ განცდის სიმძიმეს: „კიდევ მამაცა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ – არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია. ამდენის მარტოობით, შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია. მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალი გრძნობის მქონი მეგონა, იგი ენახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისისაც ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა. წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?"

„სავსე" წუთისოფელში პოეტის მარტოდ დარჩენილი სული განსასვენებელს ეძებს. მწარეა ტანჯვა სულიერი მეგობრის დაკარგვით გამოწვეული:

„ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას, –
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელღა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!"

ნ. ბარათაშვილი მიმართავს მკვეთრი კონტრასტის ხერხს. შედარებისათვის იღებს თავისთავად დიდ უბედურებას – ობლობას, უთვისტომობას და მის ფონზე კიდევ უფრო საშინელ მწუხარებად წარმოაჩენს ადამიანის სულიერ დაობლებას:

„მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!"

ადამიანის სანაცვლოს მალე იპოვის გული, მაგრამ დაობლებული სული კი განწირულია. მას ყველასადმი ნდობა აქვს დაკარგული, დაფარულ გრძნობას გულში ინახავს, აღარ იცის, ვის აუწყოს. სულიერი ობლობა რწმენადაკარგული ადამიანის ტრაგედიაა, რომელსაც

„არღარა აქვს... ნდობა ამა სოფლისა;
ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეუქრება ხელმწიფედ მას ნდობა!"

სულით ობოლს ამქვეყნიური სიამენიც ელტვიან. იგი მუდამ განიცდის „სწორის" დაკარგვას, მარტოა, თავის ადგილს ვერ პოულობს სამყაროში და მხოლოდ ოხვრა ჰგვრის შვებას. „ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულად გარდაჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი."

„ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!"

ლექსი გამსჭვალულია უიმედო, ნაღვლიანი განწყობილებით და პოეტის უმძიმეს სულიერ მდგომარეობას გამოხატავს; მაგრამ მასში მაინც იგრძნობა, რომ ნ. ბარათაშვილი ვერ შეჰგუებია სულით ობლობას, უკეთესისკენ იბრძვის მისი შინაგანი სამყარო, ეძიებს „მშვენიერ სულს" – „სწორს", მაღალი გრძნობის, მოსიყვარულე გულის, განვითარებული სულის ადამიანს, რომლის ცრემლებიც სიბრალულის გამოხატულება იქნება და არა „ნიშანნი მცბიერებისა", წვეთნი საშინელის საწამლავისა". მაშინ შეძლებს განსვენებას და სულიერი ობლობის დაძლევასაც.

ნ. ბარათაშვილი არ ეგუება ბედს. იგი მუდმივ ძიებასა და ბრძოლაშია. ბედს პოეტის შემოქმედებაში ხშირად მომაკვლის გაგება აქვს, ზოგჯერ კი საიდუმლო ძალის, რომელიც თავის ნებაზე წარმართავს ადამიანის ცხოვრებას. ბარათაშვილს უნდა, რომ დაინახოს, გაიშინაარსოს ბედის მოქმედების ფარული მიზნები, სწვდეს მის განზრახვებს. ლექსში „ხმა იდუმალი" 19 წლის პოეტი ცდილობს, ამოიცნოს „გულის ჩუმი ნაღვლის", მის ზრახვათა და საწადელთა წინააღმდეგობის ფარული მიზეზი, ამოიცნოს საკუთარი ხვედრი – საკუთარი ადგილი და არსებობის მიზანი. საიდუმლოს შეცნობა გაუადვილებს კაეშანს და დაანახვებს თავის ვალს – „წილობას" ამ სოფლად:

„ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,
სიცოცხლე ჩემსა რას განუმზადებ?
როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?.."

ლექსში „სულო ბოროტო" ბედისწერა წარმოდგენილია ბოროტი სულის სახით, რომელმაც „სულის მშვიდობა" დაუკარგა პოეტს, უსაგნოდ და უაზროდ დატოვა, დაუნგრია ყმაწვილური იმედები, ოცნებები, „ამა სოფლად თავისუფლების" მოპოვების სურვილი.

„ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?
თითქოს მომცემდი ამა სოფლად თავისუფლებას,

ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახველი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამქცეველი!" – მიმართავს პოეტი ბოროტ სულს. ლექსი პიროვნული მღელვარებითაა აღსავსე. ბარათაშვილი საკუთრივ შეიგრძნობდა ბედის „მსახვრალ" ხელს და მისგან განთავისუფლებას ცდილობდა. თავის ბიძას – გრიგოლ ორბელიანს – 25 წლის პოეტი წერს: „მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არ მძინავს. მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრუკლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!" პოეტის პიროვნული ტკივილი და განცდა, მისი სულის მღელვარება და სწრაფვა უკეთესი მომავლისაკენ ნ. ბარათაშვილის თითქმის ყველა ლექსში შეიგრძნობა. ხანდახან პოეტს მოქანცვის ნიშნებიც ეტყობა, მაგრამ არსად იგი ბოლომდე არ ემორჩილება ბედს. ბარათაშვილი პასუხს სთხოვს ბოროტ სულს:

„მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ეგე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სული აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?"

პოეტი წყევლის იმ დროს, როცა სწამდა ამქვეყნიური სიამენი და ბრმად ენდობოდა ბედს:

„წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივენდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემთ გულის-თქმათა!

ბოროტი სული სიმბოლური ხატია შემაფერხებელი გარემოსი, ყოველივესი, რაც ხელს უშლის როგორც ცალკეული პიროვნების თავისუფლებასა და ამაღლებას, ასევე მთელი კაცობრიობის წინსვლას. მისი პირველსახე ბიბლიურ ლეგენდაში გვხვდება. სამოთხიდან განდევნილი ანგელოზის სახე ეშმაკის ახალმა მწერლობამ ამბოხისა და შეურიგებლის სიმბოლოდ აქცია. ბარათაშვილის „სული ბოროტი" კი მწუხარების სულია, რომელიც ამსხვრევს და სპობს ყოველივეს, რომელიც ყმაწვილის მიამიტ სულს და ილუზიას შეუქმნია, ამიტომაც პოეტი უპირისპირდება მას.

ლექსი „სული ბოროტი" „ჭკვით ურწმუნო", „სულით უნდო" და „უსაგნოდ" დარჩენილი პიროვნების ტრაგედიაა, მაგრამ მასში მაინც იგრძნობა შინაგანი პროტესტი ყოველივე ამისადმი. პოეტს არ სურს ურწმუნოდ, უნდოდ, უსაგნოდ ცხოვრება და შეუძახებს ბედს:

„განვედ ჩემგან, ჰოი, მაცთურო, სულო ბოროტო!"

ეს შეურიგებლობა მიგვითითებს პოეტის პიროვნულ სიძლიერეზე, დაუცხრომლობასა და შინაგან სიმყარეზე მაგრამ მარტო მისწრაფება და პიროვნული სიძლიერეც არ კმარა, რომ ადამიანმა ბედზე გამარჯვება მოიპოვოს. ბედთან შეჭიდების სურვილი მრავალი რომანტიკოსის შემოქმედებაში მჟღავნდება. მაგრამ ამ ბრძოლის დადებით შედეგს კი თითქმის ვერსად ვხედავთ. ნ. ბარათაშვილის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, ღირსება ის არის, რომ მან დაინახა ადამიანის ბრძოლის დადებითი შედეგი.

ლექსში „მერანი" ასახულია ადამიანის ბრძოლა საკუთარ ბედთან. მერანი სიმბოლოა დაუცხრომელი ძიების, კეთილშობილური მისწრაფებების, მებრძოლი სულის. მერნის მხედარი– ლირიკული გმირი – იბრძვის თავისუფლების მოპოვებისათვის ამ სიტყვის უფართოესად ფართო გაგებით. ეს არ არის ბრძოლა პირადი ინტერესებისათვის:

„რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილმოუბარსა,-
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლოთ:
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!"

პოეტი მზადაა დათმოს მამული, მშობლები, სატრფო, მეგობრები, გახდეს ობოლი, უთვისტომო, უმიწაწყლო და თვით სულით ობოლიც კი, რასაც ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა, და მხოლოდ თანამავალ ვარსკვლავებს ამცნოს გულის საიდუმლო. ეს ყველაფერი უმნიშვნელოა იმ დიდ მიზანთან, რომელიც ბედის საზღვრის გადალახვაში მდგომარეობს. მოძრაობის გამომხატველი მიზნებით, ამაღლებული ინტონაციით ბარათაშვილი მუდმივი სრბოლის შთაბეჭდილებას ქმნის:

„გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!"

მეტად შთამბეჭდავად, შემზარავად, ამაღლებულად ხატავს ბარათაშვილი მერნისა და მისი მხედრის დაღუპვის სურათს:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის, –
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მიმაყრის!
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხვრისა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი!"

ბოროტი სული ლექსში შავი ყორნის სახეს იღებს; მისგან გაქცევა ცხოვრებიდან გაქცევას კი არ გამოხატავს, არამედ ზრუნვას მისი გარდაქმნისათვის. შავად მღელვარე ფიქრი პოეტის ეჭვი, ვნება, განცდა უნდა იყოს, რომელიც ყველა ადამიანს აქვს და რომელიც გარკვეულად ბოჭავს მას. ამიტომაც ნავს აძლევს პოეტი პიროვნულ განცდასაც კი, რომ ამაღლდეს მასზე, რომ მოიპოვოს სრული თავისუფლება და მიეცეს „აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას". „სული ბოროტიში" გამოხატული კონფლიქტი „მერანში" თავდაუზოგავ ბრძოლაში იზრდება.

მერნის ჭენება განწირულია დასამარცხებლად, მისი მხედრის იდეალი მიუღწეველია, მაგრამ უშედეგოდ არ ჩაივლის „განწირულის სულისკვეთება". მერნის გათელილი გზა მომმავალ გაუადვილებს სვლას. ეს გზა კი არის პიროვნების სრულყოფის, წინსვლის, თავისუფლების მოპოვების და აქედან გამომდინარე კაცობრიობის სულიერი ამაღლების გზა:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!"

ბარათაშვილის ოპტიმისტური მსოფლმხედველობა მდგომარეობს არა საბოლოო მიზნის მიღწევაში, არამედ იმის შეგნებაში, რომ ადამიანი დაბადებულია ამ მიზნის მისაღწევად თავგანწირული ბრძოლისათვის. ილია ჭავჭავაძემ „მერანის" ავტორი ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებლად აღიარა.

ბარათაშვილის ბობოქარი ვნებათაღელვის, სულიერი ობლობის ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი მიზეზი ტრაგიკული სიყვარულია. ამ გრძნობის, როგორც გრანდიოზული სულიერი კატასტროფის, განცდა გადმოცემულია ლექსში „ვპოვე ტაძარი..." ამ სოფლის ღელვით დაღლილმა მწირმა განსვენება „შესაფარი" სიყვარულში ჰპოვა:

„ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი.

და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!"

„კაცთ სიავისაგან" მოკლულ გულს სიყვარულის ლამპარი უთბობდა „ციურის სხივით"; მზად იყო, სული და გული შესაწირად მიეტანა საკურთხეველზე; სიამით და ნეტარებით აღვსილი თითქოს სასუფეველს ხედავდა. მაგრამ ამქვეყნიურმა რეალობამ თავი შეახსენა, კვლავ გადაელობა მის ოცნებებს: პოეტი გამოთქვამს წუთისოფლისადმი სამდურავს:

„მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?
განქრა ტაძარი— და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;"

პოეტის გულში კვლავ სევდამ და წყვდიადმა დაისადგურა. სიყვარულის ლამპრისგან მხოლოდ „დამქრალი ცეცხლი" დარჩა, დაებნო ნუგეში, კვლავ დაობლდა სულით, მარტო დარჩა ადამიანთა შორის, როგორც „მწირი, მოუსაფარი":

„ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უქუღმართმა ნუგეშის კარი
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მოუსაფარი!"

ლექსში სიყვარული უაღრესად ფართო მნიშვნელობით მოიაზრება. პოეტი არ გულისხმობს მაინცდამაინც ქალისადმი გრძნობას. იგი გამოხატავს უფლის, მოყვასის, მტრის, სწორის, ქალის და ზოგადად ადამიანისადმი სიყვარულს. ამის მანიშნებელია ანგელოზთაგან დავითის ქნარის დაკვრა და „ციურ დასთა გალობის ზარი". ლექსში სიყვარულს რწმენის მნიშვნელობა ენიჭება. ტაძარი სულიერების უმაღლესი გამოხატულებაა, უდაბნო – კი მისგან დაცლა. დაშრეტილი ლამპრის სახეც მოდის სახარებისეული იგავიდან ათი სარძლოს შესახებ. „ვიყევ ტაძარი" რწმენადაკარგული, „მოუსაფარი" კაცის ტრაგედიას ასახავს, რომელიც არ შეიბრალა ცრუ და მუხთალმა სოფელმა და უკანასკნელი ნუგეში – სიყვარული და რწმენა წაართვა.

ქალისადმი სიყვარულს ეძღვნება ლექსები „ნუ ჰკვირობ, სატრფო..." და „რად ჰყვედრი კაცსა..." სიყვარული პოეტისათვის ბობოქარი გრძნობაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ხორციელებასთან, წარმავალ ნიჭთან. იგი თავისი არსით მშვენიერებაა და უკვდავებასთანაა ნაზიარები. ლექსი „ნუ ჰკვირობ, სატრფო..." მგოსნის მიმართვაა სატრფოსადმი. პოეტისათვის სიყვარული უკვდავი, ენით გამოუთქმელი გრძნობაა, ამიტომაც მოკვდავ ადამიანს არ შესწევს ძალა მის გამოსახატავად:

„მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!"

სიყვარულით გამოწვეული განწყობილება, პოეტის სულიერი მდგომარეობა ბარათაშვილს კოსმიური სივრცისკენ იზიდავს. მას უნდა, რომ მზე იყოს, რომელიც საღამოს იმისთვის ჩავა, რომ დილა ისევ „აცხოველოს"; ან კიდევ „განთიადის მორბედი" ვარსკვლავი, რომლის ამოსვლასაც ელიან „ტყეთა ფრინველნი და ვარდი". პოეტის მიზანია, დაიხარჯოს სხვებისათვის, სხვისთვის ასეთივე მისიას უსახავს იგი სატრფოსაც:

„მინდა, შენ იყო, სატრფოვ, მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო შავარნი, მდელო, სიცხითა დამჭკნარი".

პოეტი და მისი სატრფო ჰარმონიულ ურთიერთკავშირში არსებობენ. მზის სხივი– პოეტი დილის ნამს – სატრფოს იშრობს და „ერთად შესხივებულნი" შვებას ჰპოვებენ სიცოცხლეს, არემარეს სიამით ავსებენ, მცენარეებს განაცოცხლებენ. ნ. ბარათაშვილი ხატავს სიყვარულს, როგორც ორი არსების ჰარმონიულ შერწყმას. პოეტი ვერ შეეგუება იმ აზრს, რომ მისთვის უდიდეს გრძნობას სატრფოსადმი, მისი „სულის წადილს" სიყვარული ჰქვია „სხვათაებრ". თუ ეს ასეა, მაშინ მზეც უსხივოდ ნათებას შეძლებდა, ვარდი ვეღარ გადაიშლებოდა განთიადისას, ცის ცვარი აღარ გააბიბინებდა მდელოს და მისი სატრფოც სხვა ბანოვნებს მიემსგავსებოდა. ნათება, გადაშლა, აბიბინებაში მდგომარეობს მშვენიერების საიდუმლო, რომელიც ღვთაებრივია. სწორედ ამიტომაც ამ მოვლენებთან შედარებით აღიქვამს პოეტი სატრფოს, რომელიც მოკვდავთ არა ჰგავს, მათ შორის გამოირჩევა და „ციურთ დაედარება". იგი თავად მშვენიერებაა, „ცისიერი" და „უხრწნელი". ამიტომ პოეტის გრძნობას მისდამი ადამიანები სახელს ვერ მოუძებნიან.

ნ. ბარათაშვილის მეორე ლექსიც – „რად ჰყვედრი კაცსა..." მიმართვაა ქალისადმი, რომელიც სატრფოს პირუმტკიცობას სწამებს. პოეტის აზრით კი, ჭეშმარიტ სიყვარულს, რომელიც მარადიულია, არ შეიძლება საფუძვლად ედოს ცვალებადი გრძნობა; არც ერთმხრივი სიყვარული შეიძლება, საუკუნო ტრფობას მხოლოდ მშვენიერ სულთა კავშირი განაპირობებს:

„რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?
თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას:
რომ არ გემსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა, –
ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა".

ბარათაშვილმა ადამიანის ფიზიკური სილამაზე სულიერს დაუქვემდებარა და შინაგანი მონაცემები მიიჩნია ადამიანის ღირსების საზომად:

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!"

ზეციური მხოლოდ მშვენიერებაა, რომელიც ანათებს ადამიანის გრძნობას, გულსა და სულს. ასეთ ადამიანში კი, როგორც ღვთის ხატში, ტრფობის საუკუნო მადლი იბადება. მისი მარადიულობა დამოკიდებულია არა სატრფოს ფიზიკურ ღირსებებზე, არამედ ორი არსების სულიერ ნათესაობაზე:

„ვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა შობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!"

მხოლოდ მშვენიერ სულთა კავშირი წარმოშობს ნამდვილ გრძნობას, რომელსაც

„ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!"

სიყვარულშიც ბარათაშვილისთვის მთავარია სულის ამაღლება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სტილი ერთი შეხედვით არქაულია. პოეტის მეტყველება ძველი გამოთქმებითაა დატვირთული, მაგრამ სრულიად დაუძალებლად და ბუნებრივად, ისე რომ მათი შეცვლის სურვილიც კი გამორიცხულია. მკითხველს არაფერი მიაჩნია მოძველებულად, როცა კითხულობს არქაიზმის შემცველ სტრიქონებს. ნ. ბარათაშვილს ბუნებრივად და პირდაპირ შეჰყავს ადამიანი თავის სულიერ სამყაროში და საკუთარი მღელვარებისა და ძიების თანამონაწილედ ხდის.

ნ. ბარათაშვილის პოეტური სტილი უფაქიზესია. მისი ლექსები დაწმენდილია უხეში გრძნობისაგან, „ხორციელებისაგან" და ამაღლებულ სულიერ სამყაროში ყალიბდება. პოეტი თავს იკავებს გარე მოვლენებისა და საგნების დახასიათებისაგან. მის პოეზიაში მთავარი ადგილი უკავია განცდას, შთაბეჭდილებას, რომელიც ამ მოვლენებიდან არის გამოწვეული. პოეტისათვის უფრო არსებითია სულიერი მდგომარეობა, ვიდრე მისი განმსაზღვრელი პირობები. ასეთია ზოგადად ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული პოეზია, რომელშიაც ხშირად რეალისტური ტენდენციებიც მჟღავნდება, რაც თავის გამოხატულებას პოეტურ სტილშიც პოულობს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ისეთი გენიალური პოეტი, როგორიც ნიკოლოზ ბარათაშვილია, არ შეიძლება შემოფარგლოს რომელიმე ლიტერატურული „იზმით".

## გიორგი ცოცანიძე

# მზევინარი

### ოპი შექცევ-გაქცევით*

ორი ჯოხის ბჯენით გამოდის მზევინარი, ხულიაშვილების ასორი წლის ბებერი (ასე ამბობს მისი სამოცდახუთი წლის ნაბოლარა შვილი, იოსები). ფეხებში ბლანდვით მოჰყვება მისი განუშორებელი კატა. მზევინარს ერთ ხელში ჯოხთან ერთად დაბამბული ქურთუკისაგან მრგვლად მოჭრილი ფიჩი ჩაუბღუჯავს. მიდის სახლის კედელთან მზის მიმყუდროებულზე მდებარე ბრტყელზედაპირიან ლოდთან, ზედ ფიჩს აფენს და ბებრული ჯახირით ჯდება. ჯოხებს გვერდზე დაილაგებს. კატა ჯერ ფეხებთან გაუვლის და გამოუვლის, ფეხზე გაექლეს-გაეხახუნება, მერე ახტება და კალთაში ჩამოუცუცქდება. მოჰყვება „პირის ბანას" – წინა თათს ილოკავს და თავ-ყურზე ისვამს. მზევინარისას ვერ გაიგებს კაცი, ხედავს და ამჩნევს გარშემო რაიმეს თუ ვერა. არც კატას ეფერება. ხის გარინდებულსავით, მიმჭკნარ-მიჭმუჭნილ ქუთუთოებში თვალები თითქმის არ უჩანს.

გამოდის ვერა, მზევინარის რძალი. მზევინარის წინ, მისი ფეხებიდან დაახლოებით ერთ ნაბიჯზე აფენს თეთრი კანჭულებით ნაჭრელებიან ძველ ფარდაგს, რომელსაც აქა-იქა ფშაური შიბაიანი წინდის ყელის ნაჭრები აქვს გამოკერებული; გამოიტანს ნახევარ ტომარა ხორბალს, ფარდაგის შუაში დაყრის, იატაკის საწმენდი ჯოხით თანაბრად გადაასწორებს, მერე მიეა ლობესთან და იქ დაყრილი წნელებიდან ერთს ამოარჩევს, მოქნილობას გაუსინჯავს, მიუტანს და მის ბოლოს მოხუცს ჩაუდებს კალთაში.

– მომეცი აქა! – მზევინარი სახრეს გვერდზე დაიდებს.

– აბა შენ იცი, ბებო,– ვერა მიდის. რჩება მზევინარი „პოსტზე".

ამ დროს, სად არის, სად არა, ქვემოთ, ხევისკენ დაფერდებული ბაღჩიდან „ყოო, ყო, ყო, ყო, ყოო, ამოდის დიდი, წითელი მამალი. მოხუცი ხელით სახრეს მოსინჯავს.

– კუტ კუტ კუტ კუტო და გამორბიან დედლები. დაინახავენ გაფენილ მარცვალს და, მამლის მიპატიჟებას აღარ ელოდებიან, მიაშურებენ ასაკენკად. მზევინარი მოულოდნელად სახრეს გაიქნევს. სახრე რამდენიმე ქათამს მოხვდება. ქათმები თავის წინამძღოლიანად ქოთქოთ-კრიახით გაცვივდებიან. შემოსევა მეორდება, მერე ისევ და ისევ, მაგრამ მზევინარი სრაულის ახლოსაც არ აჭაჭანებს მათ. ქათმებმა, ეტყობა, იმედი გადაიწყვიტეს, უშედეგო იერიშებს თავი დაანებეს და ისევ ჭინჭრისდედებით აშამბულ ბაღჩაში ჩაიფანტნენ.

მზევინარი კვლავ გარინდებული ზის – ვერ გაიგებ, ღვიძავს თუ სძინავს. კატას „პირის ბანა" დაუმთავრებია და ახლა „ჯოხი აუყუდებია" – უკანა ფეხი მაღლა აუშვერია და ბარკალს ილოკავს.

– ყოო, ყო, ყო, ყო, ყო,– სადღაც ბაღჩის სიღრმეში კვლავ ჩაიქოთქოთებს მამალი.

– მოდი აქა, მოდი, თესლს დაგილევ! – ჩაიჩიფჩიფებს მზევინარი და კალთაზე დადებული წნელის ბოლოს ჩაბღუჯავს.

მამალი ნელა უახლოვდება მარცვლიან საფენს. ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევს, გვერდულად, თავის ალმა-დალმა ტრიალით ათვალიერებს მზევინარს. ვერ კი გაუგია, უყურებს იგი ამას თუ არ უყურებს. აწევს ერთ ფეხს, ცოტა ხანი ბუმბულში გააჩერებს, მერე გადადგამს, ახლა მეორეს ისევ და ასე. მზევინარი არ იძერის. მამალი მიუახლოვდება ფარდაგის ნაპირს, გაიწვდის კისერს და რომ უნდა აკენკოს, ამ დროს მოუქნევს მზევინარი სახრეს. იგი ქოთ-ქოთით გავარდება. კარგახანი ქოთქოთობს, თითქოს ჯავრობს ვიღაცაზე. მერე ფრთებს აიფართქუნებს, აიზიდება, დაიყივლებს და, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, გაერევა გომეწრულას ფერდობზე ჩაფენილ ქათმებში.

ერთი ათი-თხუთმეტი წუთი სიმშვიდე სუფევს – მამალი არ ჩანს, მზევინარი თვლემს. ამ დროს კვლავ ბაღჩის შორეული კუთხიდან მოისმის მამლის ყოო, ყო, ყო, ყო, ყო!

მზევინარი აქ სახრეს მოსინჯავს.

იწყება ხელახალი „შექცევა".

### გონობა

– გამოვალ, ეზოვარ აქა. ადის, ჩადის ხალხი. თითო-ოროლა თუ ამძრახდება. არავის მოაგონდები, არავინ არა ჰხედავს, აქ ზის ვინამა თუ ყუნჩ რაიმა ჰგდავის, აი კუნძი. დავიწყებული ვყევივარ ხალხ-ქვეყანასა. ზოგს აღარც კი ჰგონავ, ისივ თუ ვარ ცოცხალი. ნეტა ჩემ ნაუბარ ვის რაშია სჭირდების, რაის გამოსადეგქა? გამოვალ ე ჩრდილშია, დავჯდები, კი მცივა, შამოვალ შინა და ვსწუხდები. ვჰფიქრობ, რამდენსა ვჰფიქრობ... ცხრა მთას გადავა და გადმოვა ჩემი ფიქრი და გონება. ყველ-ყველა მამაგონდება, რაიც ან მამიხილებავ, ან მინახავ, ვგონობ, სუ ყველასა ვგონობ. ხან კი სუ დამავიწყდება ყველ-ყველაი, – ამას თითქოს თავისთვის ჩაიჩიფჩიფებს.

### ურია

– ბებო, აბა ის როგორ იყო, ურიას რომ გამოექე? – ეს ვერაა, რძალი.

– ისეთი ლამაზი ყოფილა, კაცებს სულ თავ-გზას უბნევდა თურმე.

– მიწა დაეყაროს იმასა, ეგ საითღა მოგაგონდა, ქალო,– მზევინარს ქუთუთოები კიდევ უფრო ჩაეჭმუჭნება, უკბილო

* შექცევ-გაქცევა ძველად მიღებულ მკაობრული ლაშქრობების ორგანული ნაწილი იყო – ღრიულა, წუხრივანი უკან დახევა ხელსაყრელი პოზიციის დასაკავებლად წარმატებული შეტევის საწინდარია.

ღრძილებს გამოაჩენს, ბებრულად ჩაიხითხითებს, უფრო ჩაიშხივლებს. მერე ხანგრძლივად გაჩუმდება.

– ჩვენც გეითხარი, რას იცინი?– არ ეშვება რძალი.

– იმის ნათქომ მამაგონდა, იმ ურიაისი.. ბებერ კაც-დედაკაცნ იყვნენ. ჯავარაი გქვიენა ი დედაკაცსა. ანა იმის მონათლული მყვანდა, იმ ჯავარაისი. ურია რაიმ დაეიდოდის, სავაჭროები დაჰქონდის, ფარჩა-ფართალი-დ კიდევ სხვა რამეებიც. იმათასა დგებოდის, ი ჯავარათასა. მენაც იქ ვიყავ. იმ დროს მოვიდა. პურ გეშიება, ზეინაროო, მითხრა. პურ-ყველ მამიტანა და კალთაში ჩამიდვა. ჭამეო, კიდენაც მოგიტანო. ერთ იმასაც მოგართომო, ბურნითსაო. მაშინავა ვსწევდი ბურნითსა. ნულარ წახეალო, აქ იყავ, აქ დადექ ამალამაო, დედა ჯავარასთანაო.

აბა, დამეშინა მენა. ი პურ-ყველიც იქავ გადავჰყარე. წამოვარდი და გამოვიქე შინაისაკა. თან უკან უხედნებ, ის ალარსაით მამეწიოსო, ის ურიაიო. ნეტა რაი რა მაშინებდა, განა კი უკან გამამიდგებოდა.

### განა კი შაგჭამდაო

– აბა, ის როგორღა იყო, ვახტანგს რო სცემე? – მოაგონებს ახლა იოსები.

– ვახტანგ არ იყო, მაგის ძმა იყო, ლევანი, ვაჟაის შვილი. ვახტანგ ხო ცოცხალივ არი და ის აღარ არი, მაშინავ სადამ მოკლეს. მთავრობამ დაიჭირა და მერე კი მოკლეს. რა ვიცი რაი რა დანაშაული ჰქონდა.

ორნი მოიდენ. ერთი ის მოიდა და ერთ კიდენ ცხვა კაცი მაჰყვა. ერბოს რასამა ჰკრეფდენ. რა ვიცი, რაად რა იყო ის ვაჟაის შვილი. ის შიგ შამოვიდა, ის ლევანი და მეორე არ შამოვიდა, კარჩიავ დადგა. მენ ეგრე ცეცხლი მენთო ბუხარშია. კეც მედვა ცეცხლზედა და ი ცეცხლს უკეთნებ. მოვიდა, დამტაცა ხელი და ეგრე ამისვ-დამისვა ლოყა ლოყაზედა. მკოცნა. რკინის კაკაჩუნა მეჭირა ხელშია, ი რაითაც ცეცხლა უკეთნებდი. მაუბრუნდი და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი.. მოვადე ამ ბეჭებშია, ვსცემე, კარგა მოერონგე გაგექცევო. გამიქცა ი კარისაკე და მენავ მივასწარ, მივჯარე, მიუკეტე ი კარები. არ გაგიშობო, უთხარ, არ გაგიშობო, მანამ კაც არ მაივალისო.

– გამაუშვით – ი ამხანიგ მეძახის გარეთაით, გამუშვი, წამოიდესო.

– არ გამაუშვებო, უთხარ– ეგრე უნდა მყვანდეს დამწყვდეული, მინამდ კაც არ მამივალისო. მერე კი გაუშვი, წავიდა. ჯანდაბაში წავიდეს!

– კაცი არ მოვიდა–მეთქი?– ვეკითხები.

– მოვიდა და გვიანღა მოვიდა. უთხარ, განა კი დაეუმალე უთხარ.

– რადა სცემეო, გამიჯავრდა, ვაჟაის შვილს რადა სცემეო, ახლა რო გკოცნა, განა კი შაგჭამდაო.

### სამალეელი

– დედი, აბა ის როგორღა იყო, სამალეელი რო მაჰკელეო?– ეს ისევ იოსებია.

– ცოტა ვიყავ, ძალიან ცოტაი. ისე ცოტა ვიყავ, რო ვერც კი ვლალავდი ხარებსა. ეხნავდით მენ და ჩემ მამაი წიფრანსა. წიფრანელ ქალი ვარ მენა. დადგა ის გუთანი, დადგა. ვეღარ გასწიეს ხარებმა. სცემს ხან ჩემ მამაი, შენ ვერა სცემ მაგ ხარებსაო. თურმე იქ საარყე ქობი დგმულიყო და ი ქობის ყურმატში გეეჩარა ი სახნისი. როგორც იქნებოდა, მააცალა მამჩემმა. თეთრი ქვა ეფარა, დიდი ქვა და მოკირული იყო ნაპირებზედა. მააცალა ი გუთანი და ეწყინა, ძალიან ეწყინა მამჩემსა, ეს რაად მოვხელე აქაო, ეს რად მინდოდა რო მოვხელეო. აბა, რა ვიცი, რა იდვა იმ ქვაბში, ფულ იდვა, რა იდვა? ისრივ მიწა მიაყარა, მოთხარა და უფრო მეტი მიწა მიაყარა. აღარცა ხნავდა მერე იმ ადგილსა.

რა ვიცი, საითლა დამახსოვდა. ის მახსოვს ი მამის ნათქომი, აი ეხლაც მახსოვს, არავისთანა სთქვაო, არავის უთხრაო და არც ვისთვის მითქომ, თორო იქ ვინ გაუშვებდა, რომ მეთქვა ვისად. რას არ მასძებნიდენ, რას არ მაჰხელავდენ. აი ეხლა ვთქვი, ამ ჩემებს უთხარი და არც ვინ რა იცის, ამ ჩემების მეტმა. ესენი კი მეტყვიან, იქნებ რა იყოსო, წამოდიო, ცხენით წაგიყვანთო, გვაჩვენეო, იქნება ოქრო-ვერცხლი იყოსო და მენ არც ვის გავჰყვები და არც ვის წავიყვან. იყოს, იქ იყოს. რა ვიცი, რა არი. სხვას ვისა ჰკითხონ ის ადგილი, იმ მამულებს იპოვნიან და მოძებნონ. მენ იქაური არა მინდა. იოსები განა არ მეტყვის, იქნება რა იყოს კარგიო და იყოს, თუ არი.

### ოხერ სახლნი

ამ გაზაფხულს ავიარე მაღაროსკარზე. კუდოში მივდიოდი, ნინოსთან. ხულიაშვილების კარზე ადის გზა. არავინ ჩანდა. ეზოს შესასვლელსაც კლიტე ედო და სახლის კარებსაც. ბაღჩა აშამბებულიყო. ხეხილს უკაცობა ეტყობოდა. რამდენიმე წლის გაუსხლავ ვაშლებს ბევრი გამხმარი ტოტი ჰქონდა მოუჭრელი. მსხლების ტანსა და ტოტებსაც ფითრი ასეოდა. ჭიშკრიდან სახლისკენ ბილიკი აღარ ეტყობოდა. ეზო ერთიანად იყო აბალახებული. სანაწვთეს, და სანაწვთის მხარის კედლის ძირებს ხავსი მოსდებოდა. გაშავებულიყო ის ქვაც, მზევინარი რომ ჯდებოდა ხოლმე აივნის მოაჯირის ფიცრებიც და აივანზე ასასვლელი ხის კიბეც დაყანდრებულიყო – შავად გამოიყურებოდა. მთლიანად სახლი, როგორღაც ჩამოქუფრულ-ჩამოღამებული, თითქოს დადაბლებულიყო. უკაცობა-უპატრონობის ფერი დასდებოდა მთელს კარ-მიდამოს.

ხულიაშვილების ამბავი ნინოსგან გავიგე

ჯერ ვაჟიშვილი მოჰკვდომოდათ უცოლოვე. მალე იოსებიც მომკვდარიყო – დარდმა გაათავაო. აღარც ვერას უცოცხლია დიდხანს. მზევინარი? მზევინარის სიკვდილი აღარც ახსოვს, ის ალბათ მალევე მოკვდებოდა. ან რა ცოცხლებში სათვალი ის იყოო. ქალიშვილი დარჩენიათ გათხოვილი, მგონი, მისაქციელში. იშვიათად ამოვა, შევა ეზოში, სახლის კარსაც არ გაალებს, იტირებს, იტირებს და წავაო.

„აგრე იციან ოხერ სახლთა,

მიწათაკ რადამ დაიწვევენ".

# ქართული ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი

მოახლოედა დიდი ქართველი ენათმეცნიერის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავი, რომელიც საგანგებო ღონისძიებებით საზეიმოდ აღინიშნება მთელ საქართველოში.. და არ არის შემთხვევითი ,რომ დიდი მასწავლებლის, "მოძღვართმოძღვრის" – როგორც მას უწოდებს ღირსეული მოსწავლე – საიუბილეო წელს- დღის სინათლე იხილა შესანიშნავმა წიგნმა "ქართველოლოგიური ძიებანი".

**იზა ჩანტლაძე**

**ქართველოლოგიური ძიებანი**

ვისაც კი ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხებზე უმუშავია, განსაკუთრებით კი სვანურის გრამატიკულ სტრუქტურას შეხებია, გვერდს ვერ აუვლიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იზა ჩანტლაძის უაღრესად საინტერესო მიგნებებსა და გამოკვლევებს, რომლებიც. აქამდე, სამწუხაროდ, სხვადასხვა საენათმეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში გახლდათ გაფანტული – მათი თავმოყრითა და ერთ წიგნში გაერთიანებით მივიღეთ, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი უძლიერესი სამეცნიერო ნაშრომი, რომლის გაუთვალისწინებლობა, ვფიქრობთ, შეუძლებელს ხდის სრულყოფილ, ობიექტურ ანალიზს ქართველურ ენათა ფონოლოგიაში, მორფონოლოგიასა თუ სინტაქსში.

პროფესორ იზა ჩანტლაძის კვლევის ობიექტი, ძირითადად, სვანური ენის მონაცემებია – ენისა, რომლის უდიდესი მნიშვნელობა მონათესავე ქართველურ ენათა შორის არაერთხელ აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურაში. სვანური ენის უაღრესად რთული ფონეტიკური პროცესები, დიალექტური ნაირგვარობა, მორფოლოგიური სტრუქტურის სპეციფიკა განსაკუთრებით ფასეულია ზოგადლინგვისტური პრობლემების დასასმელად და, შესაძლებისდაგვარად, მათ გადასაწყვეტად.

ი. ჩანტლაძის ნაშრომის უპირველესი ღირსებულება, ჩვენი აზრით, საკითხისადმი სისტემურ მიდგომაში მდგომარეობს: ავტორი თითოეულ, კერძოობით საკითხს განიხილავს არა იზოლირებულად, არამედ მთლიანად ენის გლობალური სისტემის ფარგლებში- სინქრონიულ დონეზე წარმოდგენილ სისტემათა დიაქრონიულ ინტერპრეტაციას იძლევა და აღაგენს პრაქართველური ფუძე-ენისთვის დამახასიათებელ პირვანდელ, ამოსავალ სახეს.

წიგნში ავტორი მიმოიხილავს პრობლემატურ საკითხებს სვანურის ფონოლოგიიდან, სინტაქსიდან, იკვლევს სახელისა და ზმნის ფორმათწარმოების კარდინალურ საკითხებს. ი. ჩანტლაძე ლექსიკოლოგიის სფეროსაც არ ივიწყებს და ნაშრომის ბოლოში რამდენიმე საინტერესო ეტიმოლოგიას გვთავაზობს.

განსაკუთრებით გამოვყოფთ სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებს: ფაქტობრივად, ავტორმა წარმოადგინა სვანურის მეტისმეტად რთული, არქაიზმებითა და ინოვაციებით შეჯერებული ბრუნვათა თანამედროვე სისტემის სრულყოფილი სინქრონიული ანალიზი – რაც მთავარია, ი. ჩანტლაძემ შეძლო, ნათელი მოეფინა მრავალი სადაო საკითხისათვის, მკვეთრი ზღვარი გაევლო საკუთრივ სვანურისთვის დამახასიათებელ მორფონოლოგიურ ცვლილებებსა და საერთოქართველურ მონაცემებს შორის, რამაც საშუალება მისცა, არგუმენტირებულად მსჯელობის საფუძველზე, აღედგინა ბრუნების პრაქართველური პარადიგმის თავდაპირველი სახე. დამაჯერებელი და ლოგიკურად გამართულია ავტორის თვალსაზრისი სვანურში ორფუძიანობის (resp. სამფუძიანობის) პრინციპის ჩამოყალიბების თაობაზე. რასაც იგი ფუძის აუსლაუტთან მჭიდრო ურთიერთკავშირში განიხილავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალბატონ იზა ჩანტლაძის საკვლევი ობიექტი სვანური ენაა,- მაგრამ თითოეული საკითხი მონათესავე ქართველური ენების მონაცემთა საკუთარი და საფუძვლიანი ურთიერთშედარება-შეპირისპირების საფუძველზე წყდება.

უეჭველია, რომ პროფესორ იზა ჩანტლაძის ახალი ნაშრომი ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის შედგენის საშვილიშვილო საქმეში ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს.

**კახა გაბუნია**

**ნომადი ბართაია**

# ფერეიდნული ლექსიკიდან

## პატრონი

ცნობილია, რომ საქართველოში სანამ ბატონყმობა გაჩნდებოდა, პატრონყმობის ინსტიტუტი არსებობდა. ტერმინი ბატონი რომ პატრონის ფონეტიკურ ვარიაციას წარმოადგენს, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება, იმდენად გამჭვირვალეა მისი ეტიმოლოგია.

ვნახოთ როგორ განმარტავს ამ ტერმინებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი:

პატრონყმობა (ისტ.) საქართველოში – ფეოდალური წყობილების ადრინდელი საფეხური, რომელიც წინ უსწრებს ბატონყმობას; მთელი საზოგადოება მეფიდან მდაბიოებამდე დაყოფილი იყო პატრონებად და ყმებად: მეფე პატრონი იყო თავისი ქვეშევრდომებისა, რომლებიც ყმებად ითვლებოდნენ; ეს ყმები კიდევ თავიანთი ხელქვეითების ანუ ყმების პატრონები იყვნენ და ა. შ.

ბატონყმობა (ისტ.) სოციალური წყობილება, რომლის დროსაც ყმა (გლეხი) და მთელი მისი ქონება ბატონის საკუთრებას წარმოადგენდა. ბატონყმობის უღელი, ბატონყმობის გადაგდება.

ამ განმარტებებიდან გვინდა ყურადღება გავამახვილოთ შესიტყვებაზე – ბატონყმობის უღელი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ პატრონმა ფონეტიკურთან ერთად, სემანტიკური ცვლილებაც განიცადა. პატრონში თუ მზრუნველი გაიაზრება, ბატონში მესაკუთრე იგულისხმება.

იმასთან დაკავშირებით, თუ როდის გაჩნდა პატრონყმობის გვერდით ბატონყმობა, მივმართოთ ივანე ჯავახიშვილს: „მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XVI საუკუნემდე საქართველოში პატრონყმობა გვხვდება მხოლოდ. სოციალური ურთიერთობის ამ მოვლენის ერთ წარმომადგენელს პატრონი ეწოდება, მეორეს ყმა. ხოლო ბატონის სახელი ამ ხუთი საუკუნის განმავლობაში წერილობით ძეგლებში არსად გვხდება. ბატონი მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება".(ი. ჯავახიშვილი, ტ.III, თბილისი, 1982,460).

ფერეიდნულ მეტყველებაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ტერმინ ბატონის ნაცვლად პატრონის ხმარებამ. „პატრონო!" – ასე მომმართა ერთმა ფერეიდნელმა ირანში.

როგორც ჩანს, ფერეიდნულმა მეტყველებამ შემოგვინახა სოციალური ურთიერთობის ამსახველი ადრინდელი ფორმის – პატრონყმობის ამსახველი ტერმინი პატრონი, რომელიც, ეტყობა, ბატონყმობის დამკვიდრების შემდგომაც, XVII საუკუნეშიც, ფერეიდნელთა ირანში გადასახლებამდე, ბატონის გვერდით, ინერციით აგრძელებდა არსებობას.

## შამწყრომი

ფერეიდნულ მეტყველებაში მძღოლის აღსანიშნავად სამი სხვადასხვა ენის ლექსიკური ერთეული იხმარება: შოფერი, რანანდე და შამწყრომი.

აქედან შოფერი ფრანგული სიტყვაა, რანანდე – სპარსული, ხოლო შამწყრომი – ქართული.

შოფერი საერთაშორისო ტერმინია და მისი მნიშვნელობა ყველასათვის გასაგებია.

რანანდეს მნიშვნელობა მხოლოდ სპარსული ენის მცოდნეთათვის არის გასაგები. ზმნა რანდან ნიშნავს: 1. გაგდებას, გარეკვას. 2. მართვას, წაყვანას (მანქანის). რანანდე წარმოადგენს რანდან ზმნის ნამყოს მიმღეობას.ე.ი. რანანდე ნიშნავს – წამყვანს (მანქანის).

როგორ გახდა შამწყრომი შოფრისა და რანანდეს სინონიმი?

საქართველოში, კერძოდ, მის აღმოსავლეთ ნაწილში, საიდანაც არიან გადასახლებულნი ირანში ფერეიდნელები, ქართველი კაცი დღესაც შაუწყრება პირუტყვს – ტრანსპორტის ცოცხალ გამწევ ძალას..

როგორც ჩანს, შამწყრომმა, ტრადიციული ტრანსპორტის მოდერნიზაციასთან ერთად ახლებური სემანტიკური დატვირთვა მიიღო და მძღოლის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა.

ხოლო ის ფაქტი, რომ ფერეიდნული მეტყველება არ დაკმაყოფილდა ერთი ცნების გამომხატველი ორი ტერმინით და მშობლიურ წიაღში მათი ახალი სინონიმი შექმნა, თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე იზოლირებულად მყოფი ენის სასიცოცხლო ძარღვის ძალუმად ფეთქვაზე მეტყველებს.



შრომის საბედისწერო მოსახვევში გარდაცვლილია ულამაზესი ოჯახის სამი წევრის სული შეერთო მარადისობას: ელიშერი, ნინო ბაღათურია და მათი თვრამეტი წლის მარიამი 5 სექტემბრიდან ზეციური საქართველოს მკვიდრებად იხსენიებიან.

აცხადდა დავით მეფსალმუნის სიტყვები: "მეყსეულად მსგავსად იგი მოვიდეს და თითოეულისა საქმენი განმიშელდნენ":

ოთხი ათეულის ათავებისთანავე წამოეწიათ სიკვდილის ცელი ნინოსა და ელიშერს. გასაოცარია, რამდენი მოუსწრიათ ამ მცირე დროში!.. რამდენი უფიქრიათ!.. რამდენი შეუქმნიათ!.. მხოლოდ მათებრ ნელეიძარე სულის ადამიანთა ხვედრია ამდენის დაგეგმვა და განხორციელება.

იღვწოდნენ, როგორც შეეძლოთ.. ბევრი კი შეეძლოთ: დიდი ენერგიაც ჰქონდათ ბოძებული და მისი ღირსეულად მოხმარების საშუალებაც..

ოღონდ დრო ჰქონიათ მცირე..

ალბათ, ამიტომაც ცხოვრობდნენ გასაოცარი სულიერი რიტმით: მეცნიერება.. ექსპედიციები, ბილიკ-ბილიკ დავლილი საქართველოს მთა-ბარი.. ბავშვთა სტუდია.. სახელმძღვანელოები.. კონფერენციები.. წარმოდგენები.. ახლობელ-ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების ლხინისა და ჭირის გაზიარება.. შობის მახარობელი მეალილოვეებივით უამრავ ადამიანს ამხნევებდნენ და ათბობდნენ. მათ ზნეობრივ ველში ყოფნა ბედნიერება იყო ყველასთვის, მათი ოჯახი – ჩვენი თაობის გამართლება: სულიერებისა და პროფესიონალიზმის საზომი, მიმტევებლობისა და პრინციპულობის, პირადი და საქვეყნო საზრუნავის გასაოცარი ნაზავი.



ოჯახის გვირგვინი – ღირსეული შვილები: მარიკა და გოგი..

დამანგრეველი მიწისძვრის დროს ნაპრალში გაჩხერილი ადამიანები თავდაპირველად ვერც ფიზიკურ ტკივილს შეიგრძნობენ და ვერც ზარალს ისიგრძეგანებენ მთელი სიმწვავით.

..ეს მოგვიანებით ხდება.. მანამდე კი



გონება უარს ამბობს მომხდარის გააზრებაზე. გული – შეგრძნებაზე. თვალი – ნანახის აღქმაზე. ხელი – ასოების მოხაზვაზე.

წინამდებარე სტრიქონებიც სწორედ ამ მდგომარეობაში იწერება.

ერთ რამეს ვხედებით მხოლოდ:

წარუვალ სიცხადეთა საუფლოს სამი განწმენდილი სული შეემატა.. ისედაც მრუმე და გაუტანელი წუთისოფელი კი სამასგზის უფრო უხეში და უვარგისი გახდა.

ამიტომაც ვტირით..

არა, თქვენს ამაღლებას არა! – უთქვენობით ფერდაკარგულ სამყაროს ვტირით..

ჩვენს გაღარიბებულ და შეკვეცილ სულებს ვტირით..

მშვენიერებისა და სიყვარულის ლაბირინთში უთქვენოდ არიადნას ძაფდაკარგულ ბავშვებს ვტირით.. თქვენგან დალახული სამშობლოს ბილიკების დაობლებას ვტირით.

-მე წავალ თქვენი ცხოვრებიდან (თუმცა ძალიან დამწყდება გული და მეცნიერება)... მე წავალ, მაგრამ ვეცდები ვიყო ისევ ისეთი ღიმილიანი, მოლაპარაკე და „მათინეკებიანი". თქვენც სულ ეგეთი უნდა გახსოვდეთ – ბედნიერი მარიკა!

მარიამ გარაყანიძის დღიურიდან

**პროფესორ ბესარიონ ჟორბენაძის არქივში დაცულია რეცენზია ემზარ გარაყანიძის საკანდიდატო დისერტაციის – „ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება" – ავტორეფერატზე. მისი გამოქვეყნება, ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველს შეუქმნის შთაბეჭდილებას, თუ რა დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა მეცნიერებამ ბატონი ემზარის ძალზე ნაადრევი წასვლით.**

ქართული ხალხური მუსიკის მრავალფეროვნება, მაღალი პოლიფონიური დონე კარგა ხანია იპყრობს სპეციალისტების ყურადღებას. შეკრებილია დიდძალი მასალა. შესწავლილია საკითხთა მთელი წყება, გამოტანილია მნიშვნელოვანი დასკვნები. მიუხედავად ამისა, უთუოდ იგრძნობოდა საჭიროება იმისა, რომ შექმნილიყო განმაზოგადებელი მონოგრაფიული ნაშრომი ქართული მუსიკალური დიალექტების შესახებ, სადაც ერთი პრინციპით, ერთი სისტემიდან ამოსვლით შესწავლილი იქნებოდა ყველა ქართული მუსიკალური დიალექტი მათი განსხვავება-მსგავსების სრული ანალიზის საფუძველზე. საჭირო იყო აგრეთვე მუსიკალური დიალექტების გამოყოფის პრინციპების დახვეწა-დაზუსტება. გასარკვევი რჩება მუსიკალური დიალექტების მიმართება ქართული ენის დიალექტებთანაც: რამდენად თანხვდებიან ისინი ერთმანეთს, რა თქმა უნდა. ზემოთჩამოთვლილი იმ რიგის პრობლემებია, რომ მათ ხანგრძლივი, კომპლექსური შესწავლა ესაჭიროება და ამიტომაც უთუოდ ღირსშესანიშნავია, რომ ქართული მუსიკალური დიალექტების შესახებ შეიქმნა ნაშრომი, რომელიც ეფუძნება ამ დარგში დღემდე არსებულ ფასეულ ტრადიციას და იმავდროულად ფართო პერსპექტივის გათვალისწინებით იკვლევს მუსიკალური დიალექტოლოგიის სადღეისო აქტუალურ პრობლემებს. ე. გარაყანიძეს შემოაქვს ქართული მუსიკალური დიალექტების კლასიფიკაციის ახალი პარამეტრები (განვითარების დონე, რეპერტუარი, შესრულების ტემბრი). გარდა ამისა, აზუსტებს უკვე არსებულს, რის საფუძველზე უფრო სრულყოფილს და დამაჯერებელს ხდის ქართული მუსიკალური დიალექტების თავისებურ კლასიფიკაციას.

ე. გარაყანიძის სადისერტაციო ნაშრომს თავისი სპეციფიკური დანიშნულება აქვს, მაგრამ ამასთანავე იგი ინტერესს იწვევს მომიჯნავე დარგების – ეთნოგრაფიისა და ენათმეცნიერების – თვალსაზრისითაც. საგულისხმოა, მაგალითად, ის ფაქტი, რომ დისერტანტისეული დახასიათება ცალკეული მუსიკალური დიალექტებისა მეტ-ნაკლებად თანხვდება ქართული ენის შესაბამისი დიალექტების კვალიფიკაციას (იხ. რაჭული, იმერული, ლეჩხუმური დიალექტების დისერტანტისეული შეფასება და მისთ.). ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ავტორის მიერ ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი სამხრეთ-დასავლური დიალექტები, რაც ანალოგიას პოულობს ქართული ენის დიალექტების კლასიფიკაციის დონეზეც. საქართველოს ეს რეგიონი მრავალი თავისებურებით გამოირჩევა, რაც ამ კუთხის ისტორიულ-ეთნიკური სპეციფიკით არის შეპირობებული. თუკი გამოვრიცხავთ სუპერსტრატულ დანაშრევს, რაც სხვა მოდგმის ხალხებთან ხანგრძლივი კონტაქტით აიხსნება (ეს კი შედარებით ადვილად ხერხდება მეტყველების დონეზე, ხოლო დისერტანტმა შეძლო იგივე გაეკეთებინა მუსიკალური ფოლკლორის დონეზეც), აშკარად დაინდება უძველესი ქართული ნაკადი, რამაც შემდგომ მეტ-ნაკლები გავლენა იქონია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ეთნოგრაფიულ რეგიონში. ესაა ისტორიული მესხეთის კულტურა, კულტურა სამცხისა და ჯავახეთისა, ტაო-კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარა-გურიისა, რამაც ადეკვატური გამოხატულება ჰპოვა ენაში (რაც აქამდეც იყო ცნობილი), და, როგორც ჩანს, მუსიკალურ აზროვნებაშიც (როგორც ამას დისერტანტი ვარაუდობს ბ-ნ ე. მადრაძის მიერ მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე). თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ დისერტანტი სამხრეთ-საქართველოს რეგიონში აერთიანებს მხოლოდ აჭარას, შავშეთსა და ჭანეთს (ლაზეთს, უფრო ზუსტად ლაზისტანს), ხოლო მესხური (რომელიც არსებითად სამცხურია) ცალკე აქვს გამოყოფილი. შესაძლოა, ამის მიზეზი ისაა, რომ მუსიკალური დიალექტოლოგიის თვალსაზრისით ამ რეგიონებს შორის თვალსაჩინო სხვაობა დაჩნდება (საპირისპიროდ ამ ტერიტორიაზე გავრცელებული ქართული ენის დიალექტებისა).

საგანგებო ყურადღებას იქცევს დისერტაციის მეორე ნაწილი, სადაც განხილულია ქართული მუსიკალური დიალექტების ურთიერთმიმართება. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ქართული მუსიკალური დიალექტების განვითარება დისერტანტის მიერ განხილულია როგორც ერთიანი პროცესი. მოცემულია ცდა ამ პროცესის ახსნისა ისტორიულ-ეთნიკური მოვლენების საფუძველზე. საერთოდ, დიალექტოლოგიის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ იმის ჩვენება, თუ რა განასხვავებს ერთმანეთისაგან დიალექტებს, არამედ იმის ჩვენებაც, რა აქვთ მათ საერთო და რატომ. ე. გარაყანიძის საკანდიდატო დისერტაცია, ვფიქრობთ, ამ პრობლემასაც სვამს და სათანადო პასუხსაც იძლევა.

ჩვენ ე. გარაყანიძის სადისერტაციო ნაშრომს ვაფასებთ მომიჯნავე დარგის (ენათმეცნიერების) პოზიციიდან. ამ მხრივ, როგორც ითქვა, ლინგვისტს ბევრი რამ დაურჩება საგულისხმო და ანგარიშგასაწევი ამ ნაშრომის გაცნობისას.

იმავდროულად კითხვებიც დაჩნდება. მაგალითად, რამდენად მიზანშეწონილია დიალექტების განსაზღვრა სტილისტურ თავისებურებათა კომპლექსის საფუძველზე (იხ. ავტორეფერატის გვ. 22), რადგან სტილისტური ნაირსახეობანი, როგორც წესი, ერთი დიალექტის ფარგლებში იჩენენ თავს და, ამდენად, არ განასხვავებენ ერთმანეთისაგან სხვადასხვა დიალექტს. დისერტანტს, რა თქმა უნდა, ეს კარგად მოეხსენება: ავტორეფერატის იმავე გვერდზე მას ჩამოთვლილიც აქვს მუსიკალური დიალექტების გამოყოფის საკუთრივ მუსიკალური პრინციპის განმსაზღვრელი ნიშანთვისებანი.

შემდეგ: მუსიკალური დიალექტი ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის განშტოებაა (როგორც ამას დისერტანტი განსაზღვრავს; იხ. ავტორეფერატის გვ. 22), თუ: ხალხური (ეროვნული) მუსიკის ნაირსახეობა, გავრცელებული ამა თუ იმ ტერიტორიაზე, ეთნიკურ ჯგუფში და ა.შ.? თვით ავტორის ანალიზის საფუძველზე სწორედ მეორე დეფინიცია უნდა იყოს მისაღები. შესაძლოა, ეს ორი დეფინიცია გარეგნულად მხოლოდ ნიუანსებით სხვაობდეს, მაგრამ არსებითად მათ შორის პრინციპული სხვაობაა.

დაზუსტებას საჭიროებს, ვფიქრობთ, ასეთი განსაზღვრაც: „კილოკავი არის დიალექტის ნაწილი, გავრცელებული უფრო მცირე ტერიტორიაზე" (იხ. ავტორეფერატის გვ. 22). მხოლოდ გავრცელებულობის მიხედვით კილოკავი ალბათ ვერ განისაზღვრება, აქაც იმანენტური პრინციპის მომარჯვებაა საჭირო. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ მხოლოდ ავტორეფერატის მიხედვით ვმსჯელობთ, თვით სადისერტაციო ნაშრომში, სავარაუდოა, უფრო დაწვრილებით იქნება ამის თაობაზე ნათქვამი.

მთავარი კი ის არის, რომ შეიქმნა უთუოდ საჭირო ნაშრომი, რომელიც სათანადო მეცნიერულ დონეზე განიხილავს ფრიად აქტუალურ პრობლემატიკას, ავტორის ხელეწიფება მოპოვებული მასალის თეორიული განზოგადება, რითაც არა მხოლოდ შესაბამის კვალიფიკაციას აძლევს ამა თუ იმ კონკრეტულ ფაქტს, არამედ ახალ საკითხებსაც სვამს. მეცნიერებისათვის კი რომელიმე კონკრეტული საკითხის გადაწყვეტაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ პრობლემების წარმოჩენა, რომლებიც ახალ აზრს აღძრავენ. ეს ღირსება, ვფიქრობთ, ე. გარაყანიძის სადისერტაციო ნაშრომსაც აქვს.

დისერტაციის ავტორი უთუოდ იმსახურებს საძიებელ სამეცნიერო ხარისხს.

ნაშრომი კი უნდა გამოქვეყნდეს, რათა ყველა დაინტერესებულ პირს მიეცეს მისი გაცნობის, ხოლო სპეციალისტებს მისი გამოყენების შესაძლებლობა.

**ბესარიონ ჟორბენაძე**

*1990 წლის 23 ნოემბერი*

## ახალი წიგნები




























# შეიძინეთ!

**ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. II**

თბილისი, 1998 წ., 676 გვერდი.

თავი I. ქართული ენის დიალექტების ზოგადი შესწავლა
თავი II. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებანი
თავი III. თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებანი
თავი IV. მორფემათა ფონეტიკური ნაირსახეობანი

წიგნი დაიბეჭდა მცირე ტირაჟით.
ფასი 5 ლარი.

ბ. ჯორბენაძის საზოგადოება
პ. ინგოროყვას ქ. №8, ოთახი 103

1998 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე ბ. ჯორბენაძის საზოგადოებაში საგრძნობი ფასდაკლებით შეგიძლიათ შეიძინოთ შემდეგი წიგნები:

**ბ. ჯორბენაძე**, ქართული დიალექტოლოგია, ტ. II (ფასი 5 ლარი)

**ბ. ჯორბენაძე**, ენა და კულტურა (ფასი 2 ლარი)

**საენათმეცნიერო ძიებანი**, IV (ფასი 1 ლარი)

**საენათმეცნიერო ძიებანი**, V (ფასი 2 ლარი)

**საენათმეცნიერო ძიებანი**, VI (ფასი 1 ლარი)



ილუსტრაცია
ნიკოლოზ ბარათაშვილის
ლექსისა „ვპოვე ტაძარი“

მხატვარი
გია ლაშხი

ცრ 82/4

